



№3. 2017 ♡.

მადლიანობა

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო  
სსიპ „აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრი“

**იალქანი** - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის  
**აფქიო** - ჯონა-ჯრებული ყველაზე პატარებისთვის



რედაქტორი - ნანა ჯანბურია

მხატვრული რედაქტორი - ნუნუ ჯანელიძე

პასუხისმგებელი მდივანი - ვახტანგ ზაქარაია

მხატვარი - დალი მუხაძე

„საგამომცემლო ცენტრის“ დირექტორი

ირმა ირემაძე

**იალქანი** - დაარსებულია 1996 წელს

**აფქიო** - დაარსებულია 2010 წელს

გამოცემა განახლდა 2014 წელს




**საგამომცემლო ჯგუფი:**

სალომე ხაჯანაძე, ნატო ჯორსაბია, ნინო ვახანია, გელა ჩქვანავა, ნუგზარ გვალთობლიძე, ოთარ ჟორღანია, სოსო ჯაბურია, [დიმა ჯანია].



# XIX საუკუნე... რუსეთის იმპერიალიზმის ახალი წიგნი - "საქართველოს მეფე"



Видъ на Чернявскую Гору

Сухумъ

Фот. Л. Н. Пимениди

Акт. О: во Гранбергъ, Стокгольмъ

1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა - ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეეხიობის მანდიფესტს: ასე დაიწყო რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია, ქვეყნის ისტორიაში უახლოესი პერიოდი. რუსეთის იმპერატორის ტიტულს შეემატა ახალი წოდება - «საქართველოს მეფე». გაუქმდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია - კათალიკოს-პატრიარქის ნაცვლად ეკლესიას სათავეში რუსი ეპისკოპოსი ჩაედგა. ქართული ენა განიდევნა ადმინისტრაციული დანებებულებებიდან, სასამართლოებიდან და, რაც მთავარია, სკოლებიდან. იმპერიამ სისასტიკით ჩაახშო იმედიანობა და კახეთის აჯანყებები; მიხვალნიანი წინააღმდეგობის მიუხედავად, სვანეთთან და სამეგრელოთან ერთად მან აფხაზეთის სამეფოც გააუქმა.

სტატეგიული ფორმისტი რუსეთს განსაკუთრებით სჭირებოდა სწორედ სამხრეთ საქართველოში, აფხაზეთში, იმ კუთხეში, სადაც იმთავითვე ჩაახსნა ედრე სხვადასხვა კუთხიდან ჩამოყვანილი მოსახლეობა: ბალტიისპირელები, სომხები, ბეჩენები, კახელები და, ძირითადად, მაინც რუსები. მათ სწორედ შუაღვათიანად ან, სულაც, უფასოდ უჩივებდნენ საჯახიდადმ ნაკვეთებს.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გუბაილი იყო, იმაც ამბობდა:

- მარევე ენდა შევედგეთ აფხაზეთის კოლონიზაციას კახე-რუსების მეშვეობით!

მთავარმართებელ ალექსი ეხმოდვს მიარნდა, რომ «ქართველებს ადამიანობაზე უჩვეუნიაც ახ ენდა გააჩნდეთ»; თვლიდა იმასაც, რომ:

- ვიდე საქართველოში მინა ქართველების ხელში იქნება, 200-500 წლის შემდეგაც აქ ვეხაფეხს გავხელებოთ; ამიკომაც, რაც შეიძლება, უმოკლეს ვადებში სოხუმი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რუსეთის დასაყიდნი ენდა გავხედს!

აფხაზეთთან მიმართებაში კატეგორიული იყო მთავარმართებელი ივანე პასკევიჩი:

- მიმართება ისე ენდა მოვანყოთ, რომ ქართველმა ხალხმა იმეყველოს, იახოვნოს და იგხდნოს მხოლოდ რუსულად!

მეთესნაცვალი მიხეილ რომანოვი, რომელიც თუხმე ქართული რხობა-ახალეხით გამომყობილი თავსაც კი იწონებდა, იმპერატორის ასე მოახსენებდა:

- საქიომა, ვიმოქმედოთ წინდახედეად, მაგამ გაბედეად, რათა საბოლოოდ გავწინდოთ ქართველებისგან შავი ზღვის სანაპირო!

რუსი რწონვენიეები ქართველებს აიძლებდნენ, მათ სასტიკ, დამამციხებელ კანონებს დამოხრილებოდნენ, რაც, ბუნებრივია, უმყოფილებას იწვევდა მოსახლეობას შოხის. აჯანყებულთა ერთ-ერთმა თავკაცმა, მიქილოპოლიტმა ევფთიმე შჩევაშიძემ, რომელიც ადე რუსეთის მეფეელობას მხარს უჭეხდა, იწება იმპერატორის ნახვა. სამეფო კარზე ის დიდი პატივით მიიღეს. მაგამ ალექსანდრე პიხველისთვისაც მოულოდნეად, მან მეფეს «ახალი ნეიონი»\* ეწოდა (საქადრისადაც აღისაჯა - გადაახსნეს რუსეთის შოხეულ გუბერნიამში).

აფხაზეთის კოლონიზაციაში რუსეთმა, რა თქმა ენდა, სასუხვედ შედეგებს მიარწია.

«სოხუმი, ბუნებით ეს უხვად დაჯილოებული ნაწილი აფხაზეთისა, მოსყოვიდ და პეტეხუტეად უბეხედიანათ ხელშია ეევე. მიდნახ, მისდევ მის ნაპიხს, სადაც ბალია, სახედაც «Отрадное», იქეეა «Счастье»-ც; ფებს მოინაცვლებ და «Любовь»-სა და «Дружба»-ს მიადებები», - წეხდა იმეხოინდეი ქართველი კოხეპონდენტი.

(თემის გაგხელება: გაეცანით «იარქის» ჩანახოს - 2017 წლის #3).

\* - სისასტიკით ცნობილი რომაელი იმპერატორი.



მერაბ ელიაშვილი

მეხაბ ელიოზიშვილი - მხავანდობითი შემოქმედი, ხამდენიმე ჰიოზაეი ქიბულისა და კინოსცენარის ავტორი, მსახიობი, მუსიკოსი, (სტუდენტობისას უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრში ვოლინოზე უკრავდა). თუ გავიხსენებთ მისი სცენარების მიხედვით გადაღებულ, ქართული მათემატიკის საყვარელ ფილმებს - 'თუთი ქაივანი', 'დიდი მწვანე ველი', 'ბებუნი მუხუნები', 'დიდებუნი და შვილიშვილები', ცხადი გახდება, ხოგოხ ნიჭიერი ადამიანზე ვსაუბრობთ. თუმცა, თუ გვინდა, ფილმის კიტხებში შემადგენელი ავტორი უფრო კარგად გავიცნოთ, მივიძიოთ ამ კინოსცენარების სათავე, მეხაბ ელიოზიშვილის ჰიოზა (სამწახიოდ, სმიხად ისე ხდება, ფილმით ვეცნობით ამა თუ იმ ავტორის შემოქმედებას და მეხე კუქსის ნაქითხვისთვის თავს ახ ვინუხებთ).

ძახლვიანი, გემიოელი ქართული მწეხალი გვიყვება ამბავს, ხომესაც, თუ ჩაუვლმავებუთ, სუვიანი ხაზი გახდევს: ერთი გზით მიდის თავისი ჰიოფესიით გატყუებული ახადგახდა კაცის ცხოვრება, მეოხე გზით კი - სახლში, ოჯახის ჰატხონად დახინილი მეულისა და ხანშიშესული, მახად შვილს მონატებული დელის ყოფა. ვხედავთ, ყოველი ნლის გასვლის შემდეგ ხოგოხ უეცხოვდება და უბეღიღდება ერთმანეთს ერთად

ყოფნას გადაჩვეული ცოლ-ქმახი. დღეს, ხოცა უეხოვამიხმა ფართოდ გავვილო კახი და მთელი ქვეყანა(ერთმანეთის ნამხედურობითაც) ასაყიდად ემზადება, ვილას გაუკვირდება ერთი რვეულებიოი ოჯახის დანიინდაყების ისტოხია. მაგხამ დიდი და მცხიე მიგხაცეები აქ ახადუეი შუაშია. ამოსავალია ბიბლიური სიბიძნე, ხომ ცოლ-ქმახი, სიკვილის გახდა, ახადუეიმა ახ უნდა დააშოხოლ. თოხემ მეხე, ხა გასაკვირია, ოჯახის გაყოფის მიზეზი ფილოლოგიით გატყუება იქნება, თუ გეზე შემონთებული ვინმე თავშენახელი ქხივის მხეხა.

# გალკათიელი

## მერაბ ელიოზიშვილი

შორეულ სოფელში გაანანილეს ქართულის მასწავლებლად. შინ სამოცდაათი წლის დედა და ახალშერთული ცოლი დატოვა.

დედას ჯერ კიდევ შეეძლო საკარმიდამოში ყორეების\* აშენება. ცოლი პირველდედობას ჰპირდებოდა და იმიტომ დარჩა, თორემ ისიც მალალმითან სოფელში იყო მივლინებული სამასწავლებლოდ ქმართან ერთად.


ცოლის ალერსი ჯერ ისევ სცემდა საფეთქლებში და ამიტომაც იუარა მთის სოფელში წასვლა. განათლების განყოფილებაში ჩაირბინა სასმელით შეხურებულმა, ჩემს სოფელში დამტოვეთ მასწავლებლადო. აქეთ „ჰო“, იქით „არა“; ამ „ჰო“ და „არას“ მირთმევ-მორთმევაში კინალამ ვილაც შემოებერტყა. ძლივს დააშოშმინეს: ერთი წელი და მერე ჩვენ ვიცითო. ნელ-ნელა სასმელმაც გაუარა და სიბრაზემაც. დედა დააიმედა, ცოლიც დაამშვიდა. კიდევ ერთი სასიყვარულო ღამე შეადნეს ერთმანეთს და მეორე დღით ძლივს შეტენა ბარგი ხალხით გადაზეული ავტობუსში.

მტვერთან ერთად გუდის ყველის სუნი შემოაკვია გასაცილებლად მოსულ მეუღლეს კარგად შელახულმა ავტომობილმა და გაუჩინარდა.

გვიან შემოდგომამდე ყოველ შაბათ-კვირა ჩამოდიოდა შინ. მერე გზები აიჭიჭყა და თოვლიც ჩამოყარა. ზამთარში მხოლოდ წერილებს სწერდა. წერილი ადვილად იფიფქებოდა სოფლსაბჭოზე მიკრულ საფოსტო ყუთში და შეყვითლებული და მელანგადღაბნილი მოდიოდა. კვირაში ორ წერილს გზავნიდა. თუმცა შინ ორივე წერილს ერთდროულად ღებულობდნენ. შიგადაშიგ საკუთარ ლექსსაც გაატანდა ხოლმე საფოსტო ყუთში შეუჩანგულ წერილს. „ოჰ, წერილო, წერილო“...

მეორე ნელსაც ჩაირბინა განათლების განყოფილებაში. იქ უკვე ახალგამოჩეკილი მასწავლებლების განანილებაზე იყო განწევ-გამოწევა; კარგად დოროყინა, მასზე უფრო მხარმკლავიანი ბიჭები არახუნებდნენ მუშტს მაგიდებზე. ძლივს გაიკვლია გზა აყყანებულ ცოლ-ქმრებსა და საცოლქმროებში. გამგის მაგიდასთან მივიდა და გაუღიმა. გამგემაც გააპო ბაგე, მაგრამ მერე კი შუბლი შეიკრა. ერთხანს ისრისა შუბლი და საფეთქლები გამგემ, მერე გვარი დაუმახინჯა: ამადამშვილის ნაცვლად იმადამშვილი უთხრა. გამოორკვა, რომ აღარც ის ახსოვდა, მასწავლებელი ცოლიანი იყო თუ უცოლო. სხვაც ბევრი მიუკიბ-მოუკიბა განათლების განყოფილების გამგემ და ბოლოს ფიზკულტურის მასწავლებლის ადგილი აღუთქვა დანყებითში...

– არა გვინდა რა, შვილო, შენი შემოტანილი, – გაუბედა დედამ, – წველა კარგი გვაქ, სიმინდ-ლობიო ბლომად მოგვივიდა, ღორია და – ძლივს დააქ ჩუმში.\*\*



4 \* – უკირო, უტალახო, ქვებისგან ნაგები კედელი.  
\*\* – დიდი დაშვებული მუცელი.



დარჩი, შვილო, ცოლ-შვილს მიხედე. დარჩი, შემოგვევლე!

– რას ამბობ, დედი?! ფიზიკულტურის მასწავლებლობა რა ჩემი საქმეა! ქართულის გაკვეთილი თუ არ ავხსენი გარინდულ კლასში, მე ისე ვერ გავძლებ, „მინა ვარ ნიადაგ მენა“... ნელსაცა და, მერმის, მე ვიცი, დავტრიალდე რო!..

ცოლი უფრო მაგრად დაუდგა, მაგრამ ვერც ის გახდა რამეს:

– იცოდე, აი, იცოდე, აი... ერთ მშვენიერ დღესაც... იცოდე, აი, მერე ნადი და... – ტიროდა მეორეზე მუცელშებერილი ცოლი, – შენ მე მასწავლი, რა ამბებიცა ხდება, შე, გადამთიელო, შენა?! თუ თვალი არ მოსთხარე, თუ არა მიუქონე რა, ისე არაფერი გამოგივა, მარტო შენი ალალობის ყოყინით ვერას გახდები, ვერა!

მთისკენ მიმავალი პატარა დაკერებული ავტობუსის მტვერმა გაგუდა დედა-შვილი...

გაზაფხულობით მასწავლებელი საკარტოფილე ნაკვეთს ბარავდა ხოლმე სკოლის ფართობში უფროსკლასელებთან ერთად:

**„მინა ვარ ნიადაგ მენა“, – რაფიელ ერისთავის ლექსს ჩააყოლებდა გადაყუდებულ ბელტს ქართულის მასწავლებელი.**

წერილებს იმდენს ვეღარ გზავნიდა; ხანდახან შაბათ-კვირის რეისსაც აცდენდა; „ჭირს, ეს ოხერი“, – იტყოდა ხოლმე. რამდენჯერმე იანვრის არდადეგებზეც ჩაიკეტა გზა.

ზაფხულის შვებულებას კი მთლიანად ოჯახში ატარებდა...

ერთ ბიჭს მეორე მიემატა, მეორეს – მესამე. შუა ზამთარში ძლივს ააღწევდა ხოლმე ცოლის წერილი თოვლით ჩანამქრულ მთის სოფელში.

„მეორე ხომ შენა გგავდა და ეს მესამეც შენი ასლია“, – აცნობებდა ცოლი ბავშვის დაბადებას. ამბის აღსანიშნავად საკლავი იკვლებოდა მთაში და სიცივისა და სმისაგან დაბოხებული მასწავლებლები ჟიპიტაურში იჟუჟებოდნენ.

„მინა ვარ ნიადაგ მენა“...

მერე დედა სამოცდათხუთმეტისა გახდა. მარტოობით გაბეზრებულმა ცოლმა ჯაჯღანი და წყევლა ისწავლა. თვითონ იყო და ფეხი მოიტეხა ერთ ნამქრიან ზამთარს და მას აქეთ გამუდმებით სწინკნის ნაბზარი უამინდობაში. ბავშვები გარუჯულები დარბოდნენ სხვა ბავშვებთან ერთად მთელი ზაფხული და რიგინად ვერც კი აამებდა მამობით. გასაშლელ სანოლზე წამონვებოდა ჭანჭურების ჩრდილში და „კეკელიძეს“ კითხულობდა.

– იცოდე, აი, იცოდე, აი... ერთ მშვენიერ დღესაც, ავდგები და... მერე ნადი და... – დილიდან საღამომდე მოთქვამდა და წუნუნებდა ცოლი, – შენ მე ნუ მასწავლი, რა ამბებიცა ხდება, შე, გადამთიელო, შენა! თუ თვალი არ მოსთხარე, თუ არა მიუქონ-მოუქონე რა, ისე არაფერი გამოგივა! იცოდე, აი... ე ფეხებიც ხო დაიმტვრიე, ახია შენზე, ახი!..

მიჭმუჭნულ-მოჭმუჭნული კაბა ჩასთრევდა ცოლს. უგემურად ნაავლებდა ხოლმე ხელს და აფიცრულ მკერდს ნაუჩქმეტავდა ღიმილით.

ზაფხულის გასულს დედა ჩამოუჯდებოდა ჭანჭურის ჩრდილში გამართულ დიურალუმინის სანოლზე. მაშინ კი წამოჯდებოდა, რაფიელისა ან კეკელიძის კრებულს გვერდზე გადასდებდა და ღიმილს მოირევდა.

– არა გვინდა რა შენი შემოტანილი, შვილო. ე წველა კარგი გვაქ. შენც კარგად იცი, სიმინდ-ლობიო ხო, ნელს რო ზღვა გასკდა, აგრე არასოდეს ყოფილა, ღორია და, ძლივს დააქ ჩუმში. დანარჩენი სიკეთეც ნელ-ნელა მოგვაკითხავს; ჩვენ მარტო უშენობა გვიჭირს, შვილო! გამიგონე, გენაცვა, გამიგონე!..

– ვაჰ, დედი, არ ვიცი, რა ვქნა, არ ვიცი! მე თუ ქართულის გაკვეთილი არ გადავეცი გასუსულ კლასში! „მინა ვარ ნიადაგ მენა“...

– მინა შენი მტერი და შენი დამანყევარი იყოს, შვილო! შენ ჯერ სამინე არა გაქ რა! დარჩი, გენაცვა, დარჩი, შემოგვევლე!

ავტობუსმა მთის ძირამდე მიიყვანა მასწავლებელი. ბარემ არ ანებებდა, მაგრამ ნატკენმა ფეხმა გასწინკნა

\* – ფარდავის მსგავსი ტომრისაგან შეკერილი განიერი ტომარა.

\*\* – ბაგე, პირი.



აღმართში და მაინც დაუთმო თავისი ბარგი-ბარხანა მონაფეებს.

- კარტოფილმა როგორ დაიყვავილა?
- კარგა, მასწავლებლო!
- გვირილებივით იყო გადაპენტილი, - მხარი აუბა ჩემოდნის მტვირთელ მონაფეს მაფრაშანამოკიდებულმა. მაფრაშის\* ერთი ლაშიდან\*\* რაფიელ ერისთავის ახალგამოცემულ წიგნს გადმოეყო წიბო.

- მაშ, გვირილებივით გადაიპენტაო, ჰა? კარგა კი თქვი! „მინა ვარ ნიადაგ მენა“... ეგ შუბლი სად გაიპე, ბადრია? - ჰკითხა ჩემოდნიან, ბეჭვანიერ მეთათეკლასელს მასწავლებელმა.

- ხატობაში გამიპეს, მასწავლებლო, - დაიმორცხვა ბადრიამ.
- ერთი შენ იყავ მთელ შენს ტოლებში და შენც მოახერხე, ჰა?! ყველა ეგრე როგორ ხართ დაპობილები?!

ჩემოდნიანი ბადრია მორცხვად იღიმება და უხეშად შეხორცებული შუბლი უფრო ეკოხება.

- თივები დააჯაურეთ? - კვლავ იკითხა მასწავლებელმა და სათიბეს მიაველ-მოავლო თვალი.

- ზოგი დავაჯაურეთ, ზოგიც მაკულებად დავდგი.
- ოჰ, ეს მაკულები, ეს მაკულები! - თავის ქნევით წაიღიღინა მასწავლებელმა და მაშინვე რითმა დაებადა:

- ეს მაკულები, ეშმაკუნები, ფრიალოებზე ჩამოსხდებიან! - მეტი ვეღარ გართიმა. ფიქრით კი მაინც ფიქრობდა მაკულაზე, თივის პატარა კობტა ზვინზე, თხილის წიკვლებისაგან დაწნულ ლასტზე რომ დევს, რათა ადვილად ჩამოაცუროს თოვლობაში კაცმა ან უკაცო ქალმა. ხანდახან ბარელი მასწავლებელიც გაბედავს, თავშენახული ქვრივის ეშხით, თოვლში გაყურებული მაკულის დაცურებას. გაბედავს და, აჰ, გაბზარული ფეხი, - იღიმება ფიქრში წასული მასწავლებელი.

- აკი აღარ ამოვალო, მასწავლებლო?! - იკრიჭება მაფრაშანამოკიდებული მეთათეკლასელი და ილღიის ქვეშიდან აპარებს ცალ თვალს მასწავლებლისაკენ. ერთ მუჭა მთის სოფელში ძნელია საიდუმლოს დამალვა და მასწავლებელიც ცალყბად იღიმება.

- ცხვრის პარსვას მორჩით? - კითხვა ააფარა ღიმილს.

- ჰო, მასწავლებლო.

- კარგია.

- რა, მასწავლებლო? - კვლავ არ ეშვება ილღიის ქვეშიდან გამონათებული წარბგაპობილი თვალი.

რა და, ცხვრის პარსვა რომ მოგითავებიათ, - ცოტა მოზიდა წარბები მასწავლებელმა. მოლღილი მეთათეკლასელებიც მიყურდნენ, უხმოდლა მიქოშინებდნენ სოფლის მისადგომ აღმართებში. ათწლობით ჩახურებულ ნაკელის გორებზე შოშიები დაკინკილებდნენ ქათმებთან ერთად. ნაკელის გორებს იქით ბანიანი სახლები მიცოცავდნენ კლდეზე. უფრო ვაკობში თითო-ოროლა კრამიტინი სახლიც კიაფობდა ჩამავალ სხივზე.

საცალფეხო შუკები ბებერ ქოფაკებს ჰქონდათ გადაკეტილი.

უხმოდ მიდიოდნენ. ყველა სალამს აბოძებდა მასწავლებლის დანახვაზე. მასწავლებელიც ღიმილით ესალმებოდა.

- ბარგი ისევ იქ მივიტანოთ, მასწავლებლო?

- აკვიატებული ღიმილის გაქრობას ცდილობს მაფრაშანამოკიდებული მეთათეკლასელი.

- ჰო, - თავს აქნევს მასწავლებელი, თან თავის ქნევას საპასუხო სალამად იყენებს, სკოლის დამლაგებელს უღიმის, ჩერდება, მერე ისევ მიდის. ბიჭებმა ბარგი სახლის წინ დაანყვეს, მასწავლებელს დაემშვიდობნენ.

- ფიზკულტურის საათები შემომადიღეს დანყებითში და აბა, ეგ რა ჩემი საქმეა, - ეუბნება მასწავლებელი, - მერმისისთვის კი ქართულის გაკვეთილებს შემპირდნენ. მერმისს, ალბათ, გილალატებთ, რა ვქნა! აბა, ცოლი, შვილები, ოთხმოცს მიტანებული დედა. მართალია, ჯერ კიდევ შეუძლია ყორეების შენება დედაჩემს, მაგრამ, ეჰ, „მინა ვარ ნიადაგ მენა!“ გმადლობთ, ბიჭებო!





საქართველოს\* ძირძველი კუთხე – აფხაზეთი რომ უძველესი დროიდან დასავლურ-ქართველური ტომებით იყო დასახლებული, ამაზე მეტყველებს არაერთი ფაქტი.

...სტრაბონის (ძვ.წ.აღ.-ით 64-24 წ.წ.) მონაცემებზე დაყრდნობით ფრანგმა მეცნიერმა, ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრანსუა ლასურმა 1975 წელს შეადგინა რუკა. ამ რუკის მიხედვით კოლხები განსახლებულნი არიან სოხუმსა და ტრაპეზუნდს შორის.

...შავი ზღვის ვენეციურ რუკაზე, რომელიც შედგენილია XIII ს.-ში ვენეციელი ვაჭრების მიერ, აფხაზეთის ყველა ჰიდრონიმი\*\* და ტოპონიმი მხოლოდ ქართულია.

...არანაკლებ საინტერესოა, ასევე, იტალიელი პეტრუსა ვესკონტის 1318 წლით დათარიღებული შავი ზღვის რუკა, რომლის ორიგინალი პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება. გეოგრაფიული სახელები, რომლებიც აქ გვხვდება, ქართულია.

...1367 წლის შავი ზღვის აუზის რუკაც შედგენილია ვენეციელი მოგზაურების, ძმების – კრანცისკასა და დომინიკას პიციგანეზების მიერ. ამ რუკაზე აღნიშნულია დასავლეთ საქართველოს პროვინციები: ჯიქეთი, აფხაზეთი და სვანეთი, ანუ, აქაც მეორდება თითქმის იგივე გეოგრაფიული სახელები, რაც ვესკონტის რუკაზეა მითითებული.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: დასახლებულ რუკებზე აგუბედიას ჰქვია გურბედია (გურ ბედია), რაც მისი ნამდვილი სახელია და მეგრულად ნიშნავს „შუა ბედიას“ („აგუბედია“ მისი შეცვლილი ფორმაა).



1385 წელს ევროპელმა მოგზაურმა გილერმო სოლერმა შეადგინა ხმელთაშუა აუზის რუკა და ისიც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. ეს რუკა შავი ზღვის აუზსაც მოიცავს.

ამ რუკაზე სოხუმის ჩრდილოეთით მითითებულია დროშა, ხელისგულის გამოსახულებით. იგივეა გამოხატული აფხაზურ დროშაზეც, მაგრამ არაერთგანაა იგი ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზეც.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ხელი მეფის ხელისუფლებას აღნიშნავდა. აქედან მომდინარეობს თვით ტერმინი – „ხელისუფლება“, ანუ ხელის უფლება.

დროშა ხელის გამოსახულებით ნიშნავდა ბატონობას (ხელისუფლებას) ამა თუ იმ ადგილას.

მოგვეპოვება თამარ მეფის, ლაშა-გიორგის, რუსუდანის, მეფე დავითის დროინდელი ხელის გამოსახულებიანი ფილები.


XIV ს.-ის დოკუმენტები ცალსახად მიგვანიშნებენ იმაზე, რომ სოხუმი და მისი მიმდებარე ტერიტორიები ქართულია.

სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის არაბი ისტორიკოსის – ალ მუჰიბის ცნობა, დათარიღებული 1384 წლით:

„ქართველებს ჰყავთ ორი მეფე – მეფე დავითი, რომელიც განაგებს თბილისს და მეფე დადიანი, სოხუმისა და აფხაზეთის გამგებელი.“

\* – ამონარიდები პროფესორ-მკვლევარის – თეიმურაზ მიზჩუანის წიგნიდან „აფხაზეთის ისტორია“.

\*\* – წყლების (მდინარეების, ტბების...) სახელწოდებანი.





ბონდო ქურდაძე

კომპიუტერულ ეპოქაში, ჰოცა ძომ და მანძილი განზომილებად აიყალიბება, პაიზიდან მიღებულმა ბონდო ქურდაძის პუბლიკაციამ თითქმის კრიტიკულგამოვლილი, ფოსტის ბაზათის მადლიც მოიყოლა თან.

ისე მოუთმენდად ველოდებოდი ამ წეიღს, მით უფლო, კი მესიჯს, ჰომ ახამაიკო «იარქნის» მკითხველს უნდა ცოდნოდა ამ თბილისელი კაცის სოხუმეი ამბავი.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, ჰოცა ქათულ სინამდვილეში პიესა სხეიად განსხვავებული აზომვნებითა და ფოიმაკით მკვიდიდებოდა, კითულ პუბლიცისტებს შოიხის ბონდო ქურდაძის თამამი სიკყვაც ახსოვს საზომადოებას.

მაგამ მთავაიი კეი აი გკითქვამს: აფხაზეთში საომაიი მოქმეების ძომ მიღებული გადაწყვეტილება, ჰომელიც უკავშირდება მას, იყო უკიყუნდენტო (პიიველი!) მსოფლიო ექინაღისტიკის ისტოიიში. და ამის შესახებ დღესაც ბევიმა უნდა გაიგოს! ქვეყანას კი, დომადელო, ადამიანკით სიამაყის განცდა დაუფლოს.

სწოხედ მაშინ, თბილისიდან სოხუმში, ანუ, ქარქიდან ქარქში გადაბაიგებული (ამ სიკყვის პიიდაპიიი მნიშვნელობით) ჰედაქცია, იგივე გაზეთი «შანსი», მისი ჰედაქციი ბონდო ქურდაძე და 12 თანამშომელი მონის დღეების ამალეკვებული ქომიკის მემაკიანე ხდება.

საფხანგეთიდან მიღებული პუბლიკაცია ამბავა; მაგამ ასე წეიას და მოყოლა - ეს უკვე მსტაკობაა.

თითქმის 25 წლის შემდეგ ბონდო ქურდაძე ისევე სოხუმშია: ფიქიებით, კვიიილით, ჩვეული სითამამით, სიკიუტით აი გათქვას სველ სანაპიოხოსთან ჩაფელი ქათული კონიაკის საიღუმლო; მაგამ, კეი უნდა დაბეუნდენ...

«იარქანს» დასაბეჭდად ვამბავებდით, ჰოცა ბონდო ქურდაძის კოლეგამ და მეგობაიმა, ცნობიღმა ექინაღისტმა - გიღლა გობეჩიამ\* თავის აიქიში კითი ძველი ფეიყელი მოიძია. იმ დღეებში კიიკატებით ყოფიღა მიმბაიებული ჩაკეიღი «შანსის» კაებთან. მოხსენია და შეუნახავს. გამოგადებათო გკითხა და ჩვენ გადმოგვცა ეს სამსიკყვიანი ფეიყელი წაწეიი: «წაველით ფიომსებე მანსელები».

თვითონ ბონდო ქურდაძე კი, აი, ხას პყვება თავის თავზე:

«გავიღი მქვს ბაკონ წოდაი კაბიძის «მასკეი-ქანსის» სხეიი კეიხი, ჰაც ჩემი ცხომვიების მთავაიი სავიზიკო ბაზათია. ბედმა მაიგუნა, საჭიომ ძომ საჭიომ ადგილას ვყოფიღიყავი.

1988 წლის წომებიის მოვლენების ძომ ბაკონი ზვიად გამსახელია მაძლევეს სიკყვას, ჰომოიყ ახადგახდა ექინაღისტს და მეც მოვწოდებ ქათულ გაზეთებს გაფიცივისაყენ. იმ დღეს პიიველად საბჭოთა კავშიიის ისტოიიში შევარეიეთ ჰესპუბლიკის ცენსიარეიი გაზეთი «კომუნისტი», «ახადგახდა კომუნისტი» და «Молодежь Грузии» კი დაიბეჭდა ცენსიიის გაიეშე. 1989 წლის წომებეიში ვსებეი პიიველი თავისუფად გაზეთი «შანსის» ჰედაქციო-გამომცემელი. ჰესეთთან მონის ძომ ჰედაქცია შეცვლიღი სახედწოდებით - «შანსი ფიომსის საზზე» - გადაგვქვს სოხუმში. სააკაშვილის პიიზიენდებობისა და საენის აქციების ძომ ჰედაქციას კაიავში ვანთავებთ და ვეშვებთ «ქჩის გაზეთი მანსს» - «წეიღებთ მიმას». 2010 წელს ვკოვებ საქათველს და მკახით ემიგრაციამი მივივივაი. საფხანგეთის ჰესპუბლიკა მანიქებს «პოღიკეიეი ემიგანის სტატუსს». ვახსებ მოძიომბას - «საქათველსაყენ» და ვანყობ დემონსტრაციებსა და საპიოტესტო აქციებს. ვაი გამოუნსომეიღი მოპოიციონეიი. აღბათ, ამიკომაც აი ანყობთ ჩემი დაბეუნება საქათველში(!)...

### სოხუმში მომლოდინე, ქართული ხეივანსეკლავიანი კონიაკი(!)... ანუ შერეიღი ფუნაღისცენა გაზეთი "შანსიდან"

ბონდო ქურდაძე წერილი საფრანგეთიდან

### წროლოგის მაგიერ...



თბილისის ერთ-ერთი მიტინგი. მარცხნიდან: ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი, ბონდო ქურდაძე, მერაბ კოსტავა. 1988 წლის წომებერი

საშინლად ცივა, ცოტას მაკანკალებს, ვილაც თეთრებში ჩაცმული კაცი ვენებს მისინჯავს, წარკოზი შეყავს... ვლოცულობ, როგორც ყოველთვის, და ვატყობ, როგორ მიმძიმდება თვალების ქუთუთოები, თეთრი ლაყვარდი ჩნდება...

– სად დამარხე, ის კონიაკი! – ჩამძახის ვილაც უცნობის ცივი და ცბიერი ხმა...

– გურამმა იცის, მგალობლიშვილმა, ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა, – ვპასუხობ, ირონიით...

\* – ჟურნალ „ფენომენის“ დამაარსებელი და რედაქტორი.



– მგალობლიშვილი მკვდარია, მკვდრები არ ლაპარაკობენ! – კბილებში ცრის უცნობის გამყინვარე ხმა...

– ხაა, ხაა... ისტერიულად ვხარხარებ, – ფაჩუაშვილს ჰკითხე, მამუკას, „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოფილ რედაქტორს...

– ის მაშინ იქ არ ყოფილა, – მპასუხობს უცნობი მკაცრი ტონით...

– ხო, ხო, კარგი, გეტყვი... თემოს დაურეკე, ჟღენტს, გაზეთ „კასპის“ ყოფილ რედაქტორსა და ჩემს მაშინდელ მოადგილეს...

– არც ის ყოფილა, – ცრის უცნობის ხმა...

– ზურას, ზურას ჰკითხე, კორკოტაძეს, ის ხომ იქ იყო, მინას რომ ვთხრიდით...

– ზურა, არაფერს ამბობს, მთვრალი ვიყავიო...

– მოიცა, სად მიდიხარ, არ გინდა რომ უშენოდ გაიხსნას კონიაკი?..



ბონდო ქურდაძე „შანსებთან“ ერთად რედაქციაში

უცნობი მოსდევს ბორბლებზე შემდგარ ჩემს საკაცეს... თვალეები რომ გავახილე, სანოლთან ჩემი შვილი, ნიკა იჯდა და ბედნიერი გამომეტყველებით მათვალეირებდა. თვლაც აერია ბიჭს. ვინ იცის, რამდენჯერ მხვდება საოპერაციოდან გამოსულს. ისტერიულად ვხარხარებ. ნიკას თვალეები უფართოვდება. მახსენდება, მოჩვენებამ ვერაფრით რომ მათქმევინა სოხუმის მინაში დაფლული ქართული კონიაკის ადგილი, ვერ მომიკლა იქ დაბრუნების დიდი სურვილი!.. ჩემი პალატის ფანჯრიდან ხელისგულივით მოსჩანს ეიფელი, მდინარე სენის ნაპირებზე გადაჭიმული პარიზი, სიყვარულისა და პოეზიის მარადიული ქალაქი. თვალეებით ვეფერები ამ საოცრებას, გონებით კი, ჩემი ფიროსმანის, ნაცრისფერ თბილისში დაფვრინავ... ისევ ცოცხლდება ოთხმოცდაათიანი წლები, სამოქალაქო ომი, რასაც აფხაზეთის სისხლიანი კონფლიქტი მოჰყვა.

### „წავლით ფრონტზე. „შანსელები“

...თვითმფრინავის სალონის უკანა მხარეს ვილაც შამპანურს ხსნის.

– „შანსელებსა“ და გაზეთ „შანსს“ გაუმარჯოს, – მესმის ჩვენი რედაქციის ჟურნალისტი გოგონას საოცრად ნაცნობი ხმა, რომელიც რამოდენიმე წუთის წინ, ტრაპთან დაგვემშვიდობა და სოხუმიდან მშვიდობით დაბრუნება გვისურვა.

– აქ რა გინდა? – გაკვირვებული ვეკითხები დია ცუცქირიძეს, რომელსაც მშობლებმა ჩვენთან წამოსვლის ნება არ მისცეს და თბილისის აეროპორტში ჩვენს გასაცლილებლად გამოუშვეს თავისი ავტომობილით.

– მანქანა საიმედო კაცს ჩავაბარე, ოთარ ტურაბელიძეს, ის მიუყვანს მამაჩემს, – მპასუხობს




**შანსელებო,**  
**შეგვხატეთ გამარჯვების**  
**შანსი!**

როგორც ცნობილია, გაზეთ „შანსის“ რედაქციის კოლექტივი დღეიდან – 16 ავლისიდან – „შანსს“ სოხუმში გამოსცემს.

ჩვენმა ჟურნალისტებმა თქვენს ნიშნულზე „შანსის“ კოლექტივი სოხუმში გამგზავრების წინ გადაიღო.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ერთ-ერთი გვერდის ფრაგმენტი. 1993 წლის 16 ივლისი



გიგლა გობეჩიას არქივში მოძიებული ფურცელი

დეა და ბოლომდე ცლის შამპანურის ფუფერს.

გულში მომნონს დიას გმირობა, მაგრამ ძალიან მეცოდება ოთარი; წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდება, ავტომობილის გასაღებს რომ მიუტანს დიას მშობლებს.

პილოტების სალონში შევდივარ. იქ ჩვენი კორესპონდენტი, მარია კახაძე მოკალათებულა და რეპორტაჟს ამზადებს.

– შეიძლება, გკითხოთ? – აქეთ მისვამს კითხვას ხომალდის მეთაური, – რატომ აიღეთ ამხელა პასუხისმგებლობა და რატომ მიგყავთ სამოქალაქო

გაზეთის რედაქცია ომში? სახელიც შეგიცვლიათ გაზეთისთვის – „შანსი ფრონტის ხაზზე“...

– შეიძლება, მეც გკითხოთ, თქვენ რატომ მიგყავთ სამოქალაქო ხომალდის ეკიპაჟი ცხელ წერტილში? გამოფრენამდე გამაფრთხილეთ, რომ შესაძლოა, თვითმფრინავიც ააფეთქონ...

– მე პილოტი ვარ, ხომალდის მეთაური, კაპიტანი!..

– მე კი ჟურნალისტი, გაზეთის რედაქტორი, კაპიტანი!..

– კარგით, მე ახლა შორიდან მოვუვლი, ზღვიდან უფრო უსაფრთხოდ რომ დავსვათ ხომალდი. ეცადეთ, თქვენც შორს დაბანაკდეთ ფრონტის ხაზიდან; ვინმე რომ დაგელუპოთ, ვერასოდეს აპატიებთ თქვენს თავს, – მითხრა და მაგრად მომიჭირა მკლავზე ხელი...

მადლობას ვუხდით...

სკამზე მოცელილივით ვეცემი. მხოლოდ ახლა ვაცნობიერებ, თუ სად შევტოპე. რატომღაც მომინდა, ყველას სათითაოდ ჩავხუტებოდი; ისინი ხომ იმ წუთას, ყველას თვალწინ გმირებად იბადებოდნენ. მხოლოდ წლების შემდეგ გავაცნობიერე, რომ მაშინ, ჩვენ მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორიას ვწერდით, რადგან არასდროს, არსად, არც ერთ ქვეყანაში არ წასულა სამოქალაქო გაზეთი ფრონტის ხაზზე, ჩვენ კი... წავედით – რედაქცია თბილისიდან სოხუმში გადავიტანეთ(!)... საქართველო ამას შეესწრო, ამას ხედავდა; მაგრამ არც ერთ ჟურნალისტს, ჩვენი მეგობრების გარდა, ამაზე არსად, არასდროს, არაფერი არ უთქვამს... სად გვეჩქარება, დანერვენ, ჩვენ რომ არ ვიქნებით!..

მიცვალებულები ხომ ძალიან უყვართ საქართველოში...

### ძველი დღიურის ფურცლებიდან

...ძაიოცა ყახაძე მციოქნლოჯანი ძვილი დაცოჯა სახლძი და ჩვენთანაა. სულ წინა ხაზზეა. აი ვიცი. ის ძოჯახეობო ამ ეოეოს...

...ლიანა ვაჭოძვილი და ღია ცყცქიობიძე თუ ვაძოჩნდენ. „ვაყბახცქი“ ჩაჯჯაჯ, სისხლი

ვაძიძოქს... ღძოთო დაევიჯაოქ! ოლონდ ახლა ძოჯიღნენ და ცხვირს აი ვაჯაყოფინქ პულაქციიღან...

...ღია ქათაძაძე დაიევიანა. ნათესაჯთან წასულა და პოოღყქი წაყლია: ყაბეია. ძაეობამ ისაქ სობ ძოსკლოდა? საჯსა ქალაქი ძოპოილიოქით... ის ძეძქულუქოდა. ქოთინო ეოეოლაძე და ძისი სქემო. ზაქოო ქოლტოპილი აქ სობ აი იყენენ?! ვინ ააძაქაქაქა და ყოძაიყყოქს...

...ეკობამ ძეალოტლოძვილი და ზყობა



„შანსელები“ სოხუმში გადაფრენის წინ. თვითმფრინავის ტრაპზე – იმედიანი განწყობით



კორკოცადე ღმერთმა ეპოვევიშაჟნა! უღნი ზომ ამ იყვნენ.  
ზინ გვაყინებდა: ეუძინ თუმი ვღენცი და მამყა ფაჩყაძილი  
ღანასტეს. ზეჟი ვიცინეთ...

...მეგობი ფოტოჰი ვალაყლია ეუბამს. ფონციის წინა ხაზზე...  
ეაზილილი ჰონოზიანი უნდა ეპოვანგინინო ღენის...

...ზუმა შა მეგობია, კორკოცადე, ჰმოლყყეწით მოამაშაეა  
შელაყცია: ენო აღამიამ მოეყცაო, სალოლ!..

...ღენის ფყყაყამადე ზომ ამ მყაღეს, შა მეძჟელუბოლა!  
ბყლალყეჰი ჯი აზა, ნამღვილი მზჟეზიჟია, ყყლაფჟი წინასწანი  
იცის... ჯელასუბი, ზომ წაყსულიყავით, იმ ჯოთი ღიღი ყმოლიჟით  
აფოტჟელუბოლა ნალმზე ჩჟენი მანჯანაც... ჯიღჟ ჯაზევი, აზინბზას  
ამ ჰყაჟს ასეთი ჯაცი...

...თუმი ვღენცი ცყჟელ ზომ აიყვანონ, შას ვალახილი  
ეამოსასყილს, ეუბამ მელოზლიძილი მეღაღაჟეზა... ღაელიჯა  
მამყა ფაჩყაძილმა: ზეჟს ვალაჟიხლით, ოღონღაც ამ ეამოყძან!.. ჯაზევი, ბიჟეზს იყბოზის  
ემძნობა ზომ ბჟეზიათ... მეგობალ ჯაზო ღასტეჟილნი, ცოცა ჯონიჟიც ეჟძჟელის, თოზჟე, ჟყყიღან  
ვალაჟალთ...

...ეუძინ ჩჟეი მეოტაზი, ზუმა ჯაზღანაძილი ჩამოფინღა სოხუმში ჩჟენს სანახაჟალ: ღზინღამი  
წაევიყვანა, ბიძამიღთან სტყემოღ... ბოზიღლას ეჟიღაღღენ სანაცვიღსაყემოღ, ამ ღაჟაყღეჟინე...  
ეაევიღლუბი ჯაცი, შა ღზოზს ბოზიღლაა ამ ეახჟეჟყლ ოძში: შა ჯაზო უს ჟაზოჟელუბი?!



„შანსელეზის“ კიდევე ერთი სამახსოვრო ფოტო სოხუმში

### ბოდოთჟემის მაგეერ...

არ მჯერა ამ მშვიდობის, აქ რაღაც ძალღის თავია დამარხული... მე მგონი, შევეარღნაძესაც  
ატყუებენ...

გუშინ, საათნახევეარი გველაპარაკა „შანსელეზს“ სახელმწიფო მეთაური...  
მინც რა აურა აქეს, ყველა დაგვარწმუნა სოჭის ხელშეკრულები აუცილებლობაში...  
იმ წუთას დავიჯერე...

ხვალ თბილისში მივფრინავთ, ზურა და გურამი რჩებინ მხოლოდ... არ ვიცი,  
საიღან მომივიდა ეს თავში? ხუთვარსკვლავიანი ქართული კონიაკი დავფვალით – როცა  
ღავბრუნდებით, „შანსელეზი“ მაშინ გავხსნითო, დავთქვით...

გურამ ოღიშარიამ, ძირძველმა სოხუმელმა,  
წიგნად აქცია ჩვენი კონიაკის ამბავი... უკვე,  
მრავალი წელია, ფეხზე ადგომით ვამბობ  
სოხუმში დაფლული კონიაკის გახსნისა და  
სოხუმში ღაბრუნების საღღეგრძელოს...

ძალიან გაიწელა. მირბიან წლები და  
რიგში ჩამღგარი ადამიანებიც, ისინი, ვისაც  
შეჟვირღით კონიაკით სასმისს...

გურამ მგალოზლიშვილი აღარ არის, არც  
ბატონი ვახტანგ გოგუაძე. ახლახანს ღიმაც  
წავიღა, ჯაიანი...

ვიღაც ღარჩება, თუნღაც ერთი! ის  
იტყვის, სწორედ ყველას წაცვლად, რომ ჩვენ  
ღავბრუნღით აფხაზეთში...



ბონდო ქურღაძე თანამშრომლებთან ერთად სანაპიროზე. „რაც მთავარია, კონიაკი საიმედო ადღიღასაა ჩამარხული“...



ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის ბავშვობის მეგობარი ალექსანდრე (კობტა) აფხაზი და ილია ერთად გაიზარდნენ (მათ შორის მხოლოდ ერთი წელი იყო სხვაობა). გიმნაზიაშიც და პეტერბურგშიც ერთად სწავლობდნენ.

ილია მაშინ 11 წლის იყო, კობტას ოჯახს რომ ესტუმრა კახეთში, სოფელ კარდანახში. კვირა დღე იყო და ყმანვილებმა მთელი დღე მამითადში დაჰყვეს, რომ გლეხებთან ერთად მათაც მიეღოთ მკაპი მონაწილეობა. საღამოს კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. შინისკენ მიმავალმა ბიჭებმა გზიდან სოფელ ჩალაუბნისკენ გადაუხვიეს და ერთი გლეხკაცის ქოსს მიადგნენ. ღამეც იქ გაათიეს.

ლოგინში ბიჭებს ისეთი რწყილები დაესიათ, რომ გამთენიისას თურმე საწოლებიანად გამოვარდნილან ეზოში და დიდი კაკლის ქვეშ გამოუძინებიათ. მეორე დღეს დაუნერია ილიას თავისი პირველი ლექსი, სახელწოდებით, „რწყილები“\*, სადაც ირონიულად იყო აღწერილი ბიჭების ბრძოლა მკებენარებთან.



დიმიტრი ხივიანი

თეატრი და სცენური სანახაობა ყმანვილობიდან იტაცებდა ილია ჭავჭავაძეს. ჯერ კიდევ 1859 წელს, როცა 22 წლის ჭაბუკმა ავადმყოფობის გამო დროებით თავი გაანება სწავლას, პეტერბურგიდან გამოემგზავრა თბილისში და, როგორც იოსებ გრიშაშვილი წერდა, „თან ჩამოჰყვა სურნელი ზანგი მსახიობის – ოლდრიჯის გასტროლებისა, რომლის „მეფე ლირზეც“ 1858 წელს მთელი პეტერბურგი ლაპარაკობდა“.

მაღევე თბილისის ყოფილი პირველი გიმნაზიის\*\* დარბაზში, სადაც ერთ დროს მწერალმა და დრამატურგმა გიორგი ერისთავმა პირველი ქართული წარმოდგენა გამართა, ილიამ დადგა ცოცხალი სურათები შექსპირის „მეფე ლირიდან“ (ეს იყო დიმიტრი ყიფიანის მიერ შექსპირის პირველი ქართული თარგმანი).

მასში მონაწილეობა მიიღეს თბილისის წარჩინებული ოჯახის წევრებმა; მათ შორის, პოეტ – ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილებმა – სოფიომ და დავითმა. მეფე ლირი კი ილია ჭავჭავაძე იყო. ეს იყო პირველი ცოცხალი სურათების დადგმა საქართველოში.

ცნობილია, რომ შექსპირი ილიას საყვარელი მწერალი იყო. „მეფე ლირის“ თარგმნა მას დაუნყია ჯერ კიდევ 1837 წელს, პეტერბურგში ყოფნისას. ამასთან დაკავშირებით, ინგლისური ენის შესწავლაც დაუნყია. შექსპირის ჩინებული მთარგმნელი ივანე მაჩაბელიც მაშინ გაუცვნია.



ივანე მაჩაბელი

ილია და ვანო მაჩაბელი, „მეფე ლირის“ თარგმანზე მუშაობისას, ძირითადად, ილიას ბინაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ოთახის ერთ მხარეს ილია ჯდებოდა, მეორე მხარეს – ვანო. ვანო წერდა, ილია – კარნახობდა.

როცა რომელიმე ადგილის თარგმნა გაუძნელდებოდათ, ილია წამოდგებოდა და მიუახლოვდებოდა ფანჯარას, რომელიც ფარდით იყო ჩაბნელებული. იქ შუბლს მოისრესდა და, შესაფერი სიტყვის მოძებნით გახარებული, ვანოს ეტყოდა, დასწერეო.

ცნობილი ქართველი პედაგოგის, სეით იაშვილის გადმოცემით, ილია იმ ჩაბნელებულ ფანჯარას თურმე „მუზის კუთხეს“ უწოდებდა.

„ილიას მეტად სათუთად უყვარდა ახალწლის დღეები. მახსოვს, რა სიამოვნებით დასტრიალებდა ხოლმე მეუღლის საახალწლო სამზადისს და როგორ მხურვალე მონაწილეობას იღებდა გოზინაყის შესაფერისად მოდულებში, როგორ ცდილობდა, რომ ზედმეტად არ დამწვარიყო“, – იგონებს მწერალი ოლღა აგლაძე.

პირველ რიგში, მეგობრებს მიულოცავდა. ოჯახებში მათ აუცილებლად გაუგზავნიდა მეუღლის, ოლღა გურამიშვილის მიერ დამზადებულ გოზინაყს.

ოლღა დაასხამდა მონითალო გოზინაყს მშვენიერი ფაიფურის თეფშებზე და ამ დროს ილიაც აუცილებლად გვერდით ჰყავდა, რომ მეგობრებთან გასაგზავნი თითოეული საინი ორივეს ერთად საგანგებოდ მოერთო.

„ყოველწლივ იესო ქრისტეს დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითოეულის გული მოწყალებისათვის და მადლისათვის ძგერს. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ, იყავ მხნე და განძლიერდი“, – წერდა ილია პუბლიკაციაში „საახალწლოდ“.



ოლღა გურამიშვილი

\* – ეს ლექსი არ შემონახულა.  
\*\* – ახლანდელი პირველი გიმნაზია.



ილია ჭავჭავაძეს თავისი კაბინეტის მოსახატავად მოუწვევია იმხანად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი ფერმწერი – გიგო გაბაშვილი და მისთვის უთხოვია, ოთახის კედლებზე საქართველოს პეიზაჟები, ჭერის კუთხეებში – დიდ ქართველთა პორტრეტები, საგანგებოდ შერჩეულ ადგილას კი – წმინდა ნინოს სახე დაეხატა.

– ამ პატარა ოთახში მთელი საქართველო როგორ გინდათ, დაატიოთ?! – გაკვირვებით უკითხავს მხატვარს.

– შე, დალოცვილო, მუშტისოდენა გულში თუ მეტევა ეს ჩემი ქვეყანა, აქ ვერ დაეტევა? – ღიმილით მოუჭრია სიტყვა ილიას.



გიგო გაბაშვილი

ყოველკვირეული ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი, ილიას რედაქტორობით, გამოვიდა 1877 წლის იანვარში (1886 წლის 1 იანვრიდან ის ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა).

ჟურნალის თანამშრომელს, დავით ერისთავს, უთქვამს ილიასათვის:

– ილია, ამ ქართულ გაზეთს ტყუილად აკლავ თავს. ქართველ ხალხს, რაკი იგი რუსეთს ჩაუვარდა ხელში, ვერაფერი იხსნის. ეს 100-მილიონიანი ერი შთანთქავს ერთ მუჭა ქართველობას და ქართული ენაც მოისპობა.

ილიას უპასუხებია: – ეგ არასოდეს მოხდება! საქართველო საუკუნეთა განმავლობაში იგერიებდა მოზღვავებული სპარსელებისა და ოსმალების თავდასხმებს, დღემდე მოიტანა თავისი ენა და კულტურა და დარწმუნებული ვარ, ახლაც არავის დააჩაგვრინებს თავს.



დავით ერისთავი

დიდ ილიას მისი მეგობრები და თანამშრომლები ხშირად საყვედურობდნენ ხოლმე: – ეგ თქვენი ლექსები უჯრაში მაგრად რომ გაქვთ ჩამალული, არ სჯობია, დროზე გამოაქვეყნოთ?

სულმნათი მამულიშვილი ამაზე ღიმილით პასუხობდა:

– აბა, რა გითხრათ? მანამ ლექსი ჩემთან არის, მახარებს, ჩემი მგონია; მაგრამ, როცა კი იბეჭდება და საქვეყნო ხდება, მგონია, თითქოს გულიდან საყვარელი, ღვიძლი შვილი მომგლიჯეს!

დავით მიქელაძემ (ჟურნალისტი, მწერალი, „მეველეს“ ფსევდონიმით) ილიას თურმე ლექსი შეუტანა და უთხრა:

– ილია, ეს ლექსი ვაჟასაგან მოვიდა და არ ვიცი, დავბეჭდო თუ არა!

– აბა, წამიკითხე, – მიუგო ილიამ და როდესაც ლექსი მოისმინა, აღტაცებულმა წამოიძახა:

– არა, ჩემო დავით, ხომ გითხარი, რომ ვაჟას მერე კალამი გვერდზე უნდა გადავდოთ!

დავითმა თურმე გულიანად გადაიხარხარა და ნიშნის მოგებით უპასუხა:

– ქე, მოგალორე, ილია, მაგი ლექსი არტემ ახაზანოვმა დაწერა!

ილია, რა თქმა უნდა, არ დაიბნა და მიახალა მოპასუხეს:

– არტემის კი არა, შენი დაწერილიც რომ იყოს ეს ლექსი, მაინც დავბეჭდავდი, იმიტომ, რომ კარგია!



დავით მიქელაძე

1907 წლის ახალწლის ღამეს რუსმა რეაქციონერებმა მოკლეს ცნობილი მსახიობის, ლიზა ჩერქეზიშვილის მეუღლე, ნიკო ჩერქეზიშვილი (საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ილიას უსაყვარლესი მეგობარი). ილიას ქაშუეთის ეკლესიაში, პანაშვიდზე, უთქვამს:

– იმპერიამ აღვირი წაიხსნა. ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ ღირს. უნდა ვიყოთ უარესი ამბების მოლოდინში. იქნება, მართლაც შევესწროთ ბევრად საშინელ უბედურებას!..

ამ მკვლევლობიდან 7 თვის თავზე მოკლეს დიდი ილიაც.

ილიას მეგობარი, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელი – არტურ ლაისტი იგონებს: „ილიას მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე ვიყავი საგურამოში, სადაც ილიას მაშინდელი მეფუტკრე მეზაღვრობასაც მისდევდა. სწორედ იმ დღეებში დაუმყნია მას მრავალნაირი ხეხილი და უთხოვია ილიასთვის, ენახა ისინი. წავედით ბაღში. მეფუტკრემ სათითაოდ აგვიხსნა, რა ჯიშის მსხალი და ვაშლი დაერგო, თანაც აქებდა ამ ხილის კეთილ თვისებებს. ბოლოს, როცა საუბარი დაასრულა, ილიამ გაიღიმა და უთხრა:

– ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ ნუთუ გგონიათ, რომ ამ ნამყენების ნაყოფს მოვესწრები?

ცოტა რომ მოვშორდით, მეც ჩუმად მითხრა: – საკვირველი კაცია ეს ჩვენი მეფუტკრე, არც კი დაფიქრებულა, რა ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩენია!“



არტურ ლაისტი

\* – ახლანდელი პირველი გიმნაზია.



### უფლის საჩუქარი\*

თეოდორ დოსტოივსკი

რუსულიდან თარგმნა დალი მუხაძემ



შობის წინა დღეს უფალმა  
ანგელოზს უთხრა თავაზით:  
– ნადი, ნაძვნარში იპოვე,  
ნაძვი, ყველაზე ლამაზი!

დედამინას მიაწვდინე,  
მთვარე ბილიკს გაგინათებს!  
თან დასძინა მომლიმარმა:  
– აი, კიდეც, რას გაბარებ:

ნახე ბავშვი ზნეკეთილი,  
სათნო, გულით უპოვარი  
და ნაძვის ხეც მას მიეცი,  
იყოს ჩემგან სახსოვარი!

ანგელოზი შეიშმუშნა:  
– ვის გადავცე, სად წავიდე,  
როგორ მივხვდე, რომელ ბავშვზე  
მადლი შენი გადავიდეს?!

ღმერთმა უთხრა: – შენ მიხვდები!  
და გაფრინდა უფლის ნებით  
ანგელოზი, ციციქნა ფრთებით.

გზას ანათებს შუქი მთვარის,  
ქალაქისკენ მიუძღვება,  
ლამე არის საოცარი,  
ასრულდება უფლის ნება!

ქალაქში კი ზეიმი,  
საშობაო ჟრიალული  
და ევსებათ სიხარულით  
ჩვენს პატარებს ციციქნა გული!

მომლიმარი ანგელოზი  
ნაძვით ხელში მიდის გზაზე,  
უხარია, რომ ქალაქი  
ელოდება შობას ასე!

ფანჯრებშიაც შეიხედეთ! –  
ოთახებში მზეა თითქოს,  
ყველა ბავშვი ხელგანწვდილი  
უფლის ნობათს გულით ითხოვს.

ანგელოზმა ყველა ბინა  
ფრთაფარფატიტ მოირბინა,  
ვინ იქნება ის პატარა,  
ვინ იქნება, ნეტავ, ბოლოს,  
ნაძვის ხე რომ უსახსოვროს?!

მრავალია ქვეყნად ბავშვი,  
დამჯერი და შვლისთვალემა,  
მაგრამ ნაძვის დანახვისას,  
ყველაფერი ავიწყდება.



\* – უდიდესმა პროზაიკოსმა ეს ლექსი დაწერა 1854 წელს.



როგორმე რომ სხვას აჯობოს,  
ზოგი ბავშვი ჯიბრით ცდილობს,  
ზოგს ეტყობა ჩუმი შური,  
ზოგიც ყინჩად ყოყლოჩინობს.

ერთი ყვირის: – მე ვარ ღირსი,  
ასეთია უფლის ნება!  
და პატარა ანგელოზს კი  
ნაღვლიანად ეღიბება.

ქუჩის თავში ხედავს ამ დროს:  
დგას ბიჭუნა, ციცქენა ბავშვი,  
ნაძვს შეჰყურებს სიხარულით,  
უციმციმებს სხივი თვალში.

– ნაძვის ხეო! ნაძვის ხეო! –  
შეძახილი ზეცას სწვდება.  
თანაც ამბობს დანანებით:  
– მე ნაძვის ხე არ მერგება!

– გთხოვ, პატარა ანგელოზო, –  
ჩასჩურჩულა ბიჭმა ბოლოს,  
– ჩემს დაიკოს მიუტანე,  
მას ეკუთვნის ნაძვი მხოლოდ!

ავადაა, ნევს და ელის  
სიხარულს და განკურნებას,  
საჩუქარი ღვთისმიერი  
გულს მალამოდ მოედება!

გადმოფრინდა ანგელოზი,  
უფლის მადლი წინ უძლოდა,  
ღიმილით და სიხარულით  
ბიჭს ნაძვის ხე გაუწოდა.

და ჰა, მოხდა საოცრება:  
ციდან მთელი ვარსკვლავთნყება  
გადმოეშვა, როგორც ფარდა  
და ნაძვის ხე ზურმუხტისფრად  
აენტო და აელვარდა.

მადლიერია ბიჭუნა,  
ციმციმებს ვარსკვლავთკრებული,  
ნიშანს ღვთიური შუქისას  
შეჰყურებს გაოცებული.

აღფრთოვანდა ანგელოზი,  
თვალში ცრემლი გაუბრწყინდა,  
რადგან ბავშვის სიყვარული  
იმ ცრემლივით იყო წმინდა.

და გაფრინდა ცისკენ შვებით,  
ჩაიყენა ფრთებში ქარი,  
და მიართვა ღმერთს ამბავი,  
ვით ძვირფასი საჩუქარი!








რამაჲ ქმნილებები დაუქვემდებარა დამაკნინებელი წვალენადობასა და ხრნნილებას.

საღვთო თანაზიარებიდან გაუწხოებული ადამიანისათვის ისტორიაში ყოფნა გახდა რისკი. დაწემული ადამიანის გამოხსნისათვის განკარებულმა ძე ღმერთმაჲ გამოსწადა ამ ისტორიაში ყოფნის რისკი.

თუ პირველი ადამიანების – ადამისა და ევას მოწყემულობას ნარმოადგენდა სამოხე, საღვთო თანაზიარება და ჰარმონია, ღღევანდელი ადამიანისათვის მოწყემულობას ნარმოადგენს სულიერი და სხეულებრივი გზით გადმოწყემული წოდვისკენ მიდრეკილი, დაწემული, ხრნნადი ზუნება, მისივე წოდვით დაწემისაგან წვალენადი და ხრნნადი სამყარო, ღედამინა თუ კოსმოსი; და ამავე მიზეზით დაწემულ კართა მოდგმისგან შექმნილი კულტურა (კულტურა, როგორც ლოკოკინას მიერ ზიდული თავისი საწხოვრებელი ნიჲარა).



ანჩისხატის ტაძრის (VI ს.) უფლის ხელთუქმნელი ხატი

რით ერწადა ადამიანი, გამკლავებოდა ანუ გადაეღობა ეს ძალიან მრავალნახნაგოვანი სირთულეები, როდესაჲ მას ნინააღმდგომად ექრა ღრორ და სივრცერ? ადამიანის რეაქრია იყო ზავშვეური უმერების მსგავსი, რადგანარ კარბრიობისთვის ეს დრო იყო ზავშვეური ასაკი და შორს იყო დრო „სრულ მამაკარად ყოფნისა“. ამიჭომ ის ერწადა, გადაერჩინა თავი ეგოიზმიითა და ამჰარტავნობით. თეორენტრული გახდა ეგორენტრული, უმანკო – ამჰარტავანი; ამიჭომარ ეგოიზმი და ამჰარტავნობა ის ხავსი, რასარ ღღესარ ეჭიდება კარბრიობა.

მიუხედავად ყველა იმ ნარმატებისა, რასარ კარბრიობა აღნევს მერნიერულ-ტექნოლოგიურ ჰროგრესში, მარადისობის ჰერსპექტივიდან ეს კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ხავსმოკიდებული ადამიანის სულსა და სხეულს. ეგოიზმისა და ამჰარტავნობის ამ ავადმყოფურ ილუზიას, კოლექტიურსა თუ პიროვნულს, ღმერთკარმა იესო ქრისტემ, ჩვენი გადარჩენისათვის განკარებულმა, თავისი გამოხსნელი ღვანლით, წხოვრებითა და სიტყვებით დაუპირისპირა სიყვარული და თავმდაბლობა, საკუთარი თავის მოყვანისადმი მიძღვნისა და საკუთარი თავის აზლოუტურად გარემის მარტვილური მონამებრივი გზა. სნორედ ეს არის პიროვნების პიროვნული სრულყოფის, ნამდვილობის „სრულ მამაკარად ყოფნა“. ამიჭომარ, პიროვნება და ეკლესია იქრა კარბრიობის ჩვენიული ეპოქის ორ ნამდვილ რეალობად.

კარბრიობის ისტორია, როგორც საღვთო ისტორიის ნანილი, ყოველგვარი ქრესტომათიულობითა და ღეჭალებით მიედინება რა მარადიულობის ფონზე, როგორც გარკვეული სამზადისი მარადიული წხოვრებისათვის, განისჯება ადამიანისათვის უმთავრესი ღირსების – არჩევითობის უფლების მიხედვით.

რას გვასწავლის ისტორია?! ისტორია გვასწავლის საკუთარი თავის შეწნობას; საკუთარი თავის შეწნობა ადამიანისა და ისტორიის შემოქმედის შეწნობისკენ მიმავალი გზაა. შემოქმედისკენ სნრაფვა და დაუოკებელი სნრაფვა (რარ ერთადერთია სათნობათაგან, რომელიც შეიძლება, იყოს განუზომელი) სრულყოფილების მიზეზია. სრულყოფილება კი ღმერთის საღვთო ნინაგანგებულება ანუ ჩანაფიქრია.

კიდევ რას გვასწავლის ისტორია?! ისტორია გვასწავლის სახელმძნიფოსა და ეკლესიის ინსტიტუციონალურ მუდმივობას. ამასთანავე, ისტორია გვასწავლის ყოველივე ერისა თუ ადამიანის პიროვნულ განუმიერებლობას, ასევე, მათ მისიურ კავშირს ისტორიასთან: ამიჭომარ ავლენენ ზოგიერთი ერები





ძველი ალექსის ერთ-ერთი უძველესი ქართული თარგმანი (V-VI ს.ს.)

წივილიზირებული განსაკუთრებულ ტენდენციებს, ზოგიერთი ერები კი – კულტურულ სიმდიდრეს, ხოლო ზოგიერთი – თავიანთ რელიგიურ მისიას.

ხშირად აღნიშნავენ, რომ ისტორია, როგორც მეცნიერება, სხვა მეცნიერებებთან შედარებით (რომელთა სიზუსტე პირობითაა გარკვეული სისტემებისთვის მხოლოდ), პირობითად ინოვება მეცნიერებად ან კიდევ პოლიტიკურ მეცნიერებად, რისთვისაც ის ხშირად გამბარა სპეკულაციების საგანი გარკვეული პოლიტიკური ჭკუფებისათვის; ამიტომაც მისი ზუსტება განსჯის საგანი, თუ რომელ სფეროს მიეკუთვნება ისტორია.

რადგანაც ისტორიაში, როგორც საღვთო შემოქმედებაში, ერთნაირად შემოვიდა ხილული თუ უხილავი სამყარო, ადამიანი და თვით ღმერთკაცი, ისტორია სამართლიანად მიეკუთვნება თეოლოგიის სფეროს და არამარტო ისტორია. ამიტომაც ისტორიის ღვთისმეტყველება შეიძლება, არა მათემატიკური თუ ფოტოგრაფიული სიზუსტით განიხილავდეს ან აღწერდეს რეალობას, არამედ ისტორიას ის ნარმოადგენს იკონოგრაფიული სურათით, სადაც უმაღლესი, მარტონებელი, საღვთო იდეები და მოვლენები არ არის განსაკუთრებული კარბრობის ისტორიიდან.

დღეს ხშირად გაიგონებთ არც ისე ახალ პროპაგანდისტულ მონოღებას სამყაროს აღსასრულისა ან ისტორიის დასასრულის შესახებ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის ერები, ან ქვეყნები, რომლებიც ახდენდნენ ისტორიის შეგნებულ გაყალბებას ან სხვა ერების ისტორიის მიჩქმალვას, არ ფლობენ საკუთარ ისტორიას; რადგანაც ისტორიის მიზანი არ არის სიყალბე. ამიტომაც იმათ, ვისაც არა აქვთ ისტორია, არ ემუქრებათ ისტორიის დასასრული; მათ უფრო, ემუქრებათ სამყაროს აღსასრული. ხოლო იმ ერებს, რომლებსაც აქვთ ისტორია, არ ემუქრებათ სამყაროს აღსასრული, რადგანაც მათ შეძლებისდაგვარად აღასრულეს საკუთარი მისია. ამიტომაც მათთვის შეიძლება, დასრულდეს ისტორია, მაგრამ არა საღვთო ისტორია.

ისტორია გვასწავლის იმასაც, რომ ვინც კარგად იცნობს ისტორიას, ის კარგად იაზრებს თავის მოვალეობას, იცნობს ისტორიისათვის ზუსტებრივ კანონზომიერებებს, მისი პერიოდულობისა და ანალოგიურობის მონაცვლეობას. ამიტომაც, ისტორიის კარგი წოდება განაპირობებს სახელომნიფობრივი თუ საეკლესიო მმართველობის ნაყოფიერებასა და შემოქმედებითობას მმართველობით უნარებთან ერთად. ისტორიული ნარსულისა და ანმოს ანალიზი კი იძლევა შესაძლებლობას მისი ნინასნარი განჭვრეტისა და გაანალიზებისა.



ამიტომაც, ღვთისა და ადამიანის ნების შეერთება არის ისტორიის ანბანი. და მხოლოდ ისტორიის მოაზროვნე მესაჭეებს, ამ ანბანის მყოფნით შეუძლიათ, გამოიჩინონ ან შეიგრძნონ ქარიშხლისა თუ საღვთო განგებულებისაგან მობერილი ნიავის ძალა და მიმართულება; შესაბამისად, აღმართონ იაღქნები თავიანთი ერებისა და ეკლესიის გადასარჩენად.

**დეკანოზი მატსიმე ვანტურია  
20 დეკემბერი, 2017 წელი.**



\* ქალწულ მარიამის ქანდაკება, რომელიც გამოირჩევა პირბადის შესანიშნავი ეფექტით, შექმნილია XIX საუკუნეში, ჯოვანი სტრაციის მიერ.

\* სოლომონ დოდაშვილი იყო საქართველოში პირველი უმაღლესდამთავრებული (1827 წელს დაასრულა სანკტ-პეტერბურგის ფილოსოფიის ფაკულტეტი).

\* ზანგების შავი კანი შეიცავს დიდი რაოდენობით პიგმენტს – მელანინს, რომელიც კანის ფერს განსაზღვრავს.

\* „ურთულესი ომი, რაც მე გადამიტანია, ეს არის ომი ჩემს ცოლთან“, – ამბობდა ალექსანდრე მაკედონელი

\* ჩანანერებისათვის პირველი უბის ნიგნაკის შექმნის იდეა ეკუთვნის გამოჩენილ ამერიკელ მწერალს, სამუელ კლემენსს, ცნობილს მარკ ტვენის სახელწოდებით.

\* ბიჭვინთა ისტორიოგრაფიაში პირველად მოიხსენია სტრაბონმა, ძვ.წ.აღ.-ით I ს.-ში.

\* ბეთჰოვენის შეუდარებელ მეცხრე სიმფონიას, რომელიც, სხვა დიდი ნაწარმოებების დარად, მან დაყრუების შემდეგ დაწერა, კომპოზიტორის მუსიკალურ ანდერძს უწოდებენ.

ბიოგრაფების აზრით, დიდმა ხელოვანმა ეს ნაწარმოები მიუძღვნა თავის მონაფესა და უმცროს მეგობარს – ჯულიეტა გვიზარდის. „აჩრდილივით თან მდევდა ჩემი დაქვეითებული სმენა და გავურბოდი ხალხს. მიზანთროპს ვგავდი. სინამდვილეში სულაც არა ვარ ასეთი. ეს ცვლილება ჩემში მოახდინა სიყვარულმა, მშვენიერმა გოგონამ“, – წერდა კომპოზიტორი.

\* „ოთარაანთ ქვრივი“ ილიამ 1886 წელს, ზამთრის რამდენიმე დღეში დაწერა.

\* ქალების გულისცემა უფრო ძლიერია, ვიდრე კაცების.

\* ჩაის ბუჩქი საქართველოში, კერძოდ, სოხუმის ბოტანიკურ ბაღში, პირველად დარგეს 1840 წელს. ნაყოფი შემოიტანეს ყირიმის ბოტანიკური ბაღიდან.

\* იესოს დაბადებამდე ჯერ მთავარანგელოზმა და მერე ელისაბედმა, იოანე ნათლისმცემლის დედამ იგივე ცნობილი სიტყვებით აუწყა ღვთისმშობელს, რომ უფლის შვილს დაბადებდა: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არის ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშვე სულთა ჩვენთა“.

\* შურთხი ჯიხვების „დარაჯია“. შურთხები, ჩვეულებრივ, ჯიხვების ფარის მახლობლად ეძებენ საზრდოს. ძოვით გართული ჯიხვები ზოგჯერ ვერც ამჩნევენ მოახლოებულ მტერს; მაგრამ მას მაშინვე ხედავს შურთხი. იგი კრიახითა და ფრთების მძლავრი ტყლაშუნით წამოფრინდება ხოლმე. მის ხმაურზე კი ჯიხვები ფრთხებიან და თავს შველიან.

\* ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონის გახსნის დღეს, 1976 წლის 26 სექტემბერს, 75-ათასიანმა გადაჭედებულმა აუდიტორიამ ერთხმად დაუსტვინა ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელს, რომელმაც რუსულად დაიწყო საუბარი. მაგრამ ტაშის გრილით შეხვდა აკადემიკოს ვიქტორ კუპრადეს, რომელმაც მისასალმებელი სიტყვა ქართულად წარმოთქვა.

\* ვენეციის კინოფესტივალის მსოფლიოში პირველი კინოფესტივალია და იგი დიქტატორ ბენიტო მუსოლინის დაარსებულია.

\* ცოტ-ცოტა გენიალურ ლევ ტოლსტოიზე: მწერალმა თბილისში დაწერა თავისი პირველი მოთხრობა „ბავშვობა“ (1852 წელს); „ჰაჯი-მურატი“ ტოლსტოის ბოლო რომანია. ჰაჯი მურატის პიროვნებით მწერალი დაინტერესდა თბილისში ყოფნის დროს, როცა მოგვიანებით ისევ ჩამოვიდა აქ; ტოლსტოის არ უყვარდა შექსპირი! „ნიკოლოზ I ტიპური დესპოტია“, – თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა იმპერატორზე.

\* პოეტი ტარიელ ქანტურია იგონებს: რეზო ინანიშვილის დედას სიკვდილის წინ, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად თავისი ქონება ასე „დაურიგებია“: ეს ნივთი ჩემი კაკოს ცოლსო, ესეც ჩემს ქალიშვილსო; ეს ფარდები – ისევე კაკოს მეუღლეს, ეს საკაბე – ისევე ჩემს ქალიშვილსო. რეზოს ცოლს, როზას, ღიმილით უკითხავს, კი მაგრამ, დედა, მე, მე არაფერიო? რატომ არაფერი, შვილო, შენ ჩემი რეზო ინანიშვილიო, უპასუხნია დედას.

\* 1122 წელს დავით აღმაშენებელმა აიღო თბილისი და თურქები განდევნა ქვეყნიდან. ამით დამთავრდა საქართველოს სრული განთავისუფლება. 1225 წელს კი, გარნისთან დამარცხებით (მაშინ ქვეყანას მართავდა თამარ მეფის ასული – რუსუდან დედოფალი), დაეცა თავისუფალი საქართველო. მხოლოდ 103 წელიწადი იყო საქართველო თავისი თავის ბატონ-პატრონი. ამ ერთი საუკუნის განმავლობაში აშენდა გელათი, იკორთა, ფიტარეთი, ქვათახევი, ბერთუბანი, ბეთანია, სამთავრო, ვარძია, გეგუთი, ყინწვისი, წულრელაშენი, თიღვა, წინარეხი, ტიმოთეს უბანი და სხვა; დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“.

\* კირკეგორი: „ბედნიერების კარი გარედან რომ იღებოდეს, შევალბდით და ყველანი შევცვივდებოდით შიგ, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი შიგნიდან იღება; ამიტომაც ვერაფერს გააწყობ“.

\* ძველებური ბერძნული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მითიურმა არგონავტებმა კოლხეთიდან საბერძნეთში წაიყვანეს სილამაზით გამორჩეული ხოხობიც (ფერებით განსაკუთრებით გამოირჩევა თურმე მამრი ფრინველი). იგი ბერძნებს არ ენახათ და, ბუნებრივია, მისი სახელიც არ იცოდნენ. ამიტომ მათ დაარქვეს „ფაზიანოსი“ („ფაზისის\* ფრინველი“). ამ სახელითაა ხოხობი ცნობილი მთელ დასავლეთ ევროპაშიც, რუსეთშიც; ზოოლოგიურ ტერმინოლოგიაში იგი ასევეა შესული, სახელწოდებით – „фазан“.

\* ინდოეთში არის 1200 წლის ტაძარი, რომელიც მონოლითი (მთლიანი, ერთიანი) ქვისგანაა „გამოთლილი“.



ჯოვანი სტრაციის ქანდაკება



ტაძარი ინდოეთში

\* – საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი (თანამედროვე ფოთი).



დიმიტრი შოსტაკოვიჩი

## დიმიტრი შოსტაკოვიჩის ლენინადრული „მეშვიდე სიმფონია“\* 75 წლისაა

გამორჩენილი ხუცი კომპოზიტორი, პიანისტი და საზოგადო მოღვაწე - დიმიტრი შოსტაკოვიჩი (1906-1975 წ.წ.) XX ს.-ის მსოფლიო მუსიკალური სამყაროს ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებდგენელია. სიცოცხლეშივე უდასრულებელი, ამასთან, იყო ოქსფორდისა და ვეხსტონის უნივერსიტეტთა საპატიო დოქტორი, ფინანსური, ბავშვიური, ინგლისური, იტალიური და შვედური მუსიკალური აკადემიების წევრი.

ისმენდა ხა უფროსების გამედუმებელ საუბარს პიხვედ მსოფლიო ომზე, 8 წლის პატიხა დიმიტრიმ შექმნა თავისი პიხველი მუსიკალური ნაწარმოები "ჯახისკაცი". მუსიკალური სამყაროსთვის დღესაც ჯახგად ცნობილი "სამი ფანტასტიკური ცეკვა" ფოხტეპიანოსთვის მომავალმა ხელოვანმა დანეხა 1922 წელს, 16 წლის ასაკში.

დიმიტრი შოსტაკოვიჩი დიდ კომპოზიტორხად უკვე 20 წლის ასაკში აღიხეს, ხოცა მან, პეტეხუხგის კონსერვატორიის სტუდენტმა სადიპლომო ნაშომით - თავისი "პიხველი სიმფონიით" - აადპაჩიხა მუსიკალური სამყარო.

15 სიმფონიისა და ამდენივე უჯახტეცის, 24 საფოხტეპიანო პიხედის ავტორი გეხმანელების მიეხ ბლოკიხებუდ ლენინგადესა და გმიხ ლენინგადელებს უძღვნის საუკუნის შედეხს - "მეშვიდე სიმფონიას". პიხემიხა შედეგა 1942 წლის 9 აგვისტოს და მას ასევე დაეხიჯა: „Ленинградская“.

მიმდინახე 2017 წელი მეშვიდე სიმფონიისთვის საიუბილეოა - ეს მახადიელი ნაწარმოები დინეხა და პიხვეად აეღეხა 75 წლის წინათ.

"იარქნის" პუბლიკაცია იმაზეა, ხოგოხ დინეხა მშობიური ქალქისამდი მიძღვნილი ოთხნაწიანი მეშვიდე სიმფონია "დო მაფოხი", ხოდის და ხატომ შესეხდა იგი გეხმანელებით აცაშემოხტყემუდ, სიცვიისგან და შიმშილისგან დაუძღეხებუდ ლენინგადში, ხოგოხც მეტეხზე გამახიჯეების, იმედისა და სიცოცხლის უდამაზეხი პიხნი.

### 1942 წლის 5 მარტი - სამარს

მეორე მსოფლიო ომის დანეებიდან მესამე თვეს, უფრო ზუსტად, 1941 წლის 16 სექტემბერს, რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა გაარღვიეს ლენინგრადის კარიბჭე. ასე დაიწყო ამ უღამაზეხი ქალაქის 900-დღიანი ბლოკადა. ქალაქი აღმოჩნდა საკეებისა და სანავის გარეშე, მოწყდა გარე სამყაროს.\*\*

იმ დღეებშივე ლენინგრადის სამხედრო საბჭოს ფრონტმა საქვეყნოდ გააფლერა: „მტერი ქალაქის მისადგომებთანაა“. კომპოზიტორმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა კი რადიოინტერვიუში თქვა:

„საათის წინ მე დავასრულე ჩემი ახალი სიმფონიური ნაწარმოების მეორე ნაწილზე მუშაობა. თუ შევძელი, რომ მესამე და მეოთხე ნაწილიც წარმატებით ავაფლერო და მივალწიო სასურველ შედეგს, ამ ნაწარმოებს დაერქმევა „მეშვიდე სიმფონია“.

გერმანელების მიერ ქალაქზე თავდასხმის მერე, ერთ თვეში, შოსტაკოვიჩი, სხვა ხელოვანებთან ერთად, მატარებლით გაამგზავრეს ვოლგისპირეთში, ქალაქ კუიბიშევეში (დღევანდელი სამარა). კომპოზიტორმა იქ დაასრულა „მეშვიდე სიმფონია“ და ნოტების თავფურცელს წითელი მეღწით ნაანერა: „ეძღვნება ქალაქ ლენინგრადს“.

1942 წლის 5 მარტს კუიბიშევის ოპერისა და ბელეტის თეატრში შედეგა სიმფონიის პრემიერა. მას ასრულებდა დიდი თეატრის ორკესტრი (ევაკუაციის გამო იმავე ქალაქში მყოფი), დირიჟორ სამუილ სამოსუდის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა რადიომაუწყებლობით კონცერტი გადაიცა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ცნობილმა მევიოლინემ დავით ოისტრახმა, რომელიც სიმფონიას მოსკოვში უსმენდა, მოგვიანებით დანერა: „ეს იყო კაციობრიობისა და სინათლისაკენ სავალ ჩვენს გზაზე იმედინი წინასწარმეტყველება“.

რამდენიმე დღეში შოსტაკოვიჩის „Ленинградская“ პირველად აფლერდა მოსკოვშიც, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში. „მეშვიდე სიმფონიას“ რადიოთი ისმენდა მთელი მსოფლიო.

საზღვარგარეთული პრემიერები შედეგა ლონდონშიც, ნიუ-იორკშიც. მარტო 1942 წელს აშშ-ს საკონცერტო დარბაზებში სიმფონია 62-ჯერ შესრულდა.

კომპოზიტორს მიაჩნდა, რომ „Ленинградская“ უნდა გაფლერებულიყო, უპირველესად, მის მშობლიურ ქალაქში, რომ ადამიანებთან ერთად მუსიკაც დაპირისპირებოდა ძალადობას. ნოტების ენაზე ეთქვა ყველას ერთად, რომ ომი კაციობრიობის ყველაზე დიდი ბოროტებაა, რომ, თუნდაც, დანგრეულ ქალაქს ლენინგრადელები არავის დაუთმობენ.



1942 წლის ზამთარი. ბლოკირებული ლენინგრადი

20 \* – დიდი მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისთვის. შედეგა სამი ან ოთხი ნაწილისაგან, ერთმანეთისგან განსხვავებული ტემპით.  
\*\* - ქალაქი აღყისგან განთავისუფლდა 1944 წლის იანვარში.



### ვღრე აჟღერდებოდა „Ленинградская“

ლენინგრადის 900-დღიანი ბლოკადა ქალაქის ისტორიის ყველაზე უმძიმესი წარსულია, რომელმაც მილიონობით ლენინგრადელის სიცოცხლე შეინირა.

ლენინგრადის ალებით ჰიტლერს მნიშვნელოვანი გათვლები ჰქონდა: მისი გეგმით, ლენინგრადის მერე შედარებით იოლად დააჩოქებდა მოსკოვსაც. თუმცა, ომის ბედი მასზე ძლიერი სტრატეგიის ხელში იყო.

გერმანელებით გარშემორტყმული, მთლიანად ბლოკირებული ლენინგრადი, რომელსაც შიოდა, ციოდა, 2 წლის განმავლობაში იბომბებოდა, ინგრეოდა და ჰიტლერიც გადამწყვეტი შტურმისთვის ემზადებოდა. მეტიც: გერმანიის ერთ-ერთ სტამბაში უკვე დაბეჭდილი იყო გამარჯვების სადღესასწაულო ბანკეტზე დასასწრები მოსანვევები. საზეიმო ვახშამი ქალაქის საუკეთესო სასტუმრო „ასტორიაში“ უნდა გამართულიყო. ზუსტი თარიღიც იყო დანიშნული: 1942 წლის 9 აგვისტო. ეს არ მოხდა, მაგრამ ის დღე მაინც ჩაინერა ქალაქის ისტორიაში. სწორედ ამ დღეს, ლენინგრადის რადიოკომიტეტის ორკესტრმა შეასრულა ლეგენდარული – „Ленинградская“, დაუძღურებული ქალაქის იმედად აჟღერებული სიმფონია.



კარლ ელიასბერგი

მტერმა ბევრი რამ არ იცოდა; რომ კონცერტამდე რამდენიმე თვით ადრე დაჭრილთა და ავადმყოფთათვის საჭირო მედიკამენტებთან ერთად სამხედრო თვითმფრინავმა ლენინგრადში ნოტებით გავსებული, 4 დიდი მოცულობის რვეულიც ჩამოიტანა. ეს იყო შოსტაკოვიჩის „მეშვიდე სიმფონიის“ პარტიტურა, რომელიც 20 წლის მფრინავმა, ლეიტენანტმა ლიტვინოვმა ჩამოიტანა.

როდესაც კარლ ელიასბერგმა, საკმაოდ მაღალმა და გამხდარმა დირიჟორმა, ხელში დაიჭირა სანუკვარი რვეული და გვერდები გადაფურცლა, აღტაცებული სახე დაუნაღვლიანდა: ეს მისტური მელოდია სათანადოდ რომ აჟღერებულყო, 80 ორკესტრანტი სჭირდებოდა. მხოლოდ მაშინ გაიგონებდა მას მსოფლიო და დარწმუნდებოდა, რომ ქალაქი, სადაც ცოცხლობს ასეთი ბგერები, არასოდეს დანებდება და ხალხიც, ასეთი მუსიკის შემქმნელი, დაუმარცხებელია. მაგრამ ორკესტრის 105 მუსიკოსიდან დაკვრა შეეძლო მხოლოდ 15-ს (ბევრი ევაკუირებული იყო, 30-მდე შიმშილმა იმსხვერპლა, უმრავლესობას გადაადგილება არ შეეძლო).

საიდან მოეყვანათ მუსიკოსები? მაშინ მოიფიქრეს: რადიოთი გამოცხადებინათ, რომ იწყებოდა ქალაქში დარჩენილი ლენინგრადელი მუსიკოსების ხელახალი რეგისტრაცია.

ისედაც დაუძღურებულმა დირიჟორმა, საკუთარი აწრდილისგან არაფრით რომ არ განსხვავდებოდა, კარდაკარ მოიარა ნაცნობი მუსიკოსების სახლები, ქალაქის ჰოსპიტლები.

მოხდა განსაცვიფრებელი ამბავიც: ერთ-ერთ ჰოსპიტალში კარლ ელიასბერგს უთხრეს, რომ თქვენი ორკესტრის წევრი ჟაუდატა აიდაროვი ახლახან გარდაიცვალაო. ცხედრებით გადაძეძილ მორგში მან მართლაც მიაგნო დრამერ ჟაუდატას. დირიჟორი იდგა ამ მძიმე სანახაობის პირისპირ გარინდებული: აი, ასე, რამდენიმეწამიანი მდუმარებით ის პატივს მიაგებდა ნიჭიერი კოლეგის ხსოვნას. ის იყო, წასვლა დააპირა, რომ უცებ თითქოს ადგილს მიეყინაო; თვალებს არ უჯერებდა: ქვის ზედაპირზე განოლილმა მუსიკოსმა მხოლოდ თითების ოდნავი შერხევით ამცნო მაცტროს, რომ ცოცხალი იყო.

ჟაუდატა მეორედ დაიბადა. და კიდევ: მისი ძლიერი ხელებისა და ემოციის გარეშე დასარტყამი ინსტრუმენტიც საჭირო დრამატულობას ვერ შეიძენდა; სიმფონიის კულმინაციურ ეპიზოდში ხომ, 10 წუთის განმავლობაში, სულისშემძვრელად გუგუნებს ბარაბანი და დრამერის სოლო-პარტიაც არაამქვეყნიური ჟღერადობისაა.

თანდათან სხვა მუსიკოსებიც შეაგროვეს. ტრომბონისტმა მეტყვიამფრქვევეთა ასეული დატოვა. ჰოსპიტლიდან გამოიქცა ალტაზე დამკვრელი. ვალტორნისტი ორკესტრში მოავლინა საზენიტო პოლკმა. ფლეიტისტი მოიყვანეს ციგით – მას სიცივისგან ფეხები ჰქონდა წართმეული. მოლასლასდა მესაყვირეც, ნაბდის ჩექმებით (შიმშილისგან დასიებული ფეხები სხვა ფეხსაცმელში არც ეტეოდა). ინსტრუმენტების აჟღერება ყველაზე მეტად მაინც ჩასაბერი საკრავების შემსრულებლებს გაუჭირდათ: ამისათვის საკმარისი ძალა აღარ ჰქონდათ.

სარეპეტიციო ოთახი მეოთხე სართულზე იყო და იქამდე ამოსვლაშიც კი ერთმანეთს შეველოდნენ ორკესტრანტები. ისე იყვნენ შეფუთულები, კაცს ქალისაგან ვერ გაარჩევდი. და მაინც: პირველ რეპეტიციაზე ყველანი შეიკრიბნენ.

მერე იტყვიან და დაწერენ კიდევ, რომ ეს იყო მსოფლიოში ჩატარებული ყველაზე მოკლე რეპეტიცია, რომელიც მხოლოდ 15 წუთი გაგრძელდა – მერე ძალა გამოელიათ.

მაგრამ დირიჟორი (უღონობით თურმე ისიც ბარბაცებდა პულტთან) მიხვდა, რომ სიმფონია აჟღერდებოდა, ორკესტრი ჯერ ისევ ფეხზე მდგარ ქალაქში თავის უდიდეს მისიას შეასრულებდა.

მუსიკოსებს გაუძლიერეს საკვები ულუფა (დღემო ერთხელ უმზადდებდნენ ცხელ კერძებს), თუმცა რამდენიმე მათგანი კონცერტამდე გარდაიცვალა.

აგვისტოს პირველ რიცხვებში ქალაქში გაჩნდა აფიშები, რომელიც იუწყებოდა: რომ 1942 წლის 9 აგვისტოს, ლენინგრადის რადიოკომიტეტის



„მეშვიდე სიმფონიის“ გენერალური რეპეტიცია



ბლოკირებულ ლენინგრადში გამოკრული აფიშა

დიდი სიმფონიური ორკესტრი ლენინგრადის ფილარმონიის თეთრსვეტებთან დიდ დარბაზში შეასრულებდა დიმიტრი შოსტაკოვიჩის „მეშვიდე სიმფონიას“.

მაყურებლებით გადავსებული აუდიტორია კულისებიდან გამოსულ დირიჟორს ხანგრძლივი ოვაციით, ფეხზე მდგარი შეხვდა. თეთრ პერანგსა და ფრაკში გამოწყობილი კარლ ელიასბერგი იმ დღეს საოცრად ელეგანტურად გამოიყურებოდა.

„დარბაზში, რომელიც მთელი ზამთარი არც გამთბარა და არც მაყურებელი უნახავს, აინთო ყველა ბროლის ჭალი და სადღესასწაულოდ გაბრწყინდა“, – გაიხსენებს მოგვიანებით კლარნეტისტი ვიქტორ კოზლოვი.

## 2 საათისა და 20 წუთის განმავლობაში

იმ დღეს, ვიდრე სიმფონია სრულდებოდა, მტრის არც ერთი ყუმბარა არ აფეთქებულა არც ფილარმონიის სიახლოვეს, არც ქალაქში. როგორც მერე გახდა ცნობილი, ლენინგრადის ფრონტის მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა ლეონიდ გოგოროვმა შტაბში მოიწვია გამოცდილი არტილერისტები. მათ მიეცათ კონკრეტული დავალება: რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, კონცერტის მსვლელობისას უზრუნველყოთ ქალაქის სრული უსაფრთხოება და მუსიკოსების სიმშვიდე.

დრო წუთობრივად იყო გათვლილი! სიმფონია გრძელდებოდა 80 წუთი. მაყურებლების მოსვლას 30 წუთი დასჭირდებოდა. კონცერტის დასრულების შემდეგაც იგივე ნახევარი საათი უნდა ევარაუდათ. ჯამში გამოდიოდა 2 სთ და 20 წთ. ამ ხნის მანძილზე გერმანელთა ზარბაზნები უნდა დადუმებულიყო.

ფრონტმა სამხედრო არსენალიდან გამოყო ყველაზე მსხვილკალიბრიანი ჭურვი, რომელსაც უნდა დაეცვა ლეგენდარული „სიმფონიის ხელშეუხებლობა“. საარტილერიო „ორკესტრის“ ხელმძღვანელად დაინიშნა 42-ე საარტილერიო პოლკის მეთაური – მიხეილ მიხალკინი. კონცერტამდე ერთი საათით ადრე პოლკმა ისეთი გრიგალისებური ცეცხლი გაუხსნა გერმანელთა პოზიციებს, რომ ამ სასტიკი ფსიქოლოგიური ზეწოლით განმუხტა სავარაუდო საპასუხო კონტრშეტევა.

ვიდრე კონცერტი მიდიოდა, მონინალმდეგის ვერც ერთმა თვითმფრინავმა ვერ გაბედა ცაში აფრენა.

9 აგვისტოს ინურებოდა ბლოკადის 355-ე დღე.

## 1942 წლის 9 აგვისტო – ლენინგრადი

არაფერი უშლიდა ხელს მუსიკას, ეგალობა ქალაქისათვის, ემღერა მსოფლიოსათვის. და მსოფლიომაც იმ დღეს დაიჯერა: რომ ქალაქი არ დაეცემოდა, ლენინგრადელები დაუმარცხებლები იყვნენ.

სიმფონია, რომელიც პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა რადიოთი, ქალაქში დამონტაჟებული ხმების გამაძლიერებელი ქსელური რეპროდუქტორებით ესმოდათ ბლოკირებულ ლენინგრადელებსაც (ვინც კონცერტზე ვერ მოხვდა ან ვერ მოვიდა) და ქალაქის მისადგომებთან მყოფ გერმანელ მეომრებსაც, რომლებსაც ალყაში ჰყავდათ ლენინგრადელები.

დირიჟორი კარლ ელიასბერგი უფრო გვიან იტყვის: „ასეთი აღმაფრენით არასოდეს დაგვიკრავს. და როცა კონცერტის დასასრულს მაყურებლებით გადავსებულ დარბაზში იქუხა ტაშმა, მომეჩვენა, რომ ყველანი ერთად ძველებურად მშვიდობიან ქალაქში ვიყავით, რომ კაცობრიობის ომებს შორის ყველაზე სასტიკი ომი დასრულებულიყო“.

სიმფონიის არანაკლებ ემოციურ აკორდად იქცა 10 წლის ლუბა შნიტნიკოვა, რომელიც პარტერიდან სცენისაკენ გაიქცა, მინდვრის თაიგულით ხელში. საგანგებოდ ამ დღისთვის სახლის პირობებში მის მიერ გახარებული გეორგინების, ასტრების, გლადიოლუსების შეკვრა გაუნოდა გაოცებულ დირიჟორს. მერე დაწერენ, რომ იმ დღეს, ნახევრადდანგრეულ, მაგრამ იმედიან ლენინგრადში ეს იყო ულამაზესი ყვავილების ერთადერთი თაიგული.



„მეშვიდე სიმფონიის“ პრემიერა ლენინგრადის ფილარმონიაში. 1942 წლის 9 აგვისტო

ძალიან გვიან, გერმანიიდან ჩამოსულმა ორმა ტურისტმა (ყოფილმა ჯარისკაცებმა) გამოძებნა კარლ ელიასბერგი და გამოუტყდა მას:

„მაშინ, 1942 წლის 9 აგვისტოს, ჩვენთვის ცხადი შეიქნა, რომ ამ ომს ვერ მოვიგებდით. თქვენ გვაგრძნობინეთ ძალა, რომელიც ამარცხებს შიმშილს, შიშსა და თვით სიკვდილსაც კი“.

P.S. უდიდესი ხელოვანი დიმიტრი შოსტაკოვიჩი გახდაცვალა 1975 წლის 9 აგვისტოს, იმ დღეს, როცა მის მშობლიურ ქალაქში პიხვედა ალექსა უჯვავი „მეშვიდე სიმფონია“.



ვენეჩა ხუჯას სახელი უცხო ახ ახის «იარქნი» მკითხველისთვის. მისი სიტბოთი და სიყვარულით სავსე წანეხები ახაქთხედ დაბეჭდილა ჩვენი ვეხნარის ფეხცელებზე. მინიატურაში «ანგელოზის დღე» ავტოი გვიამბობს, ჰოგოი ცილობს, გუდაუთე ჰატაჩა გაბიელს ტეეფონით მიულოცოს თავისი მოსახელე წმინდანის დღე. ჩაქი ამას ვეი ახეხებს (მობილეხების ეპოქაში!), სასნახათოდ მოიფიქებს, ლოცვით შეეხმინაროს გაბიელს. სწამს, ჰომ ლოცვა - უხენაესთან ჰიხდაჰიი ჯავშიი - ახასოდეს დალადატებს, ხოლო უდის ანგელოზები უსნახაფესად მონახავენ ახესატს და მას ეთიღ სუხვილებს გადასცემენ.



ვენერა რურუა

იმასაც ვიგებთ, ჰომ იაშვილის ქლინიკაში აფხაზეთიდან ჩამოყვანილი ჰატაჩა დაქი, თავის სიმსივნის დიაგნოზით (ახავის უკვიხს საქითველოს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში აფხაზეთიდან სამედიცინო ჩამოსული, აფხაზეთიდან მოდაჰაჩაქე ადამიანები), წახმატებული ოპრაციის შემდეგ ედამ და ბებია მასწახათოდ ჰოგოი მონათლეს და დაქი ჰოგოი იქცა გაბიელად.

მთავლისმთქმელია გაბიელის მოსანახელებად ქლინიკაში მისული სხელიად უცნობი ადამიანის (ამ შემთხვევაში, ავტოიის), გაბიელის დელისა და ბებიის შეხვედრის სცენა.

ჰოგოიჩ სახაზებაშია, სიყვარული ყვედაფეხს ფაჩავს; იქნებ, ოხივესი, ქაითველი და აფხაზი ხალხის ხედახალი გაქიხსტიანებაა საქიომ, ხედახალი მოქცევა, ჰომ დავბიუნდეთ ლვითის სიყვარულში, ხოლო ჩასაც უვადი და სიყვარული გააქითიანებს, მას ვეჩაფეხი დააშოიშოიხებს.

ვენეჩა ხუჯამ, გაგის საქადაქო გაზუთის ყოფიმა ვეხნარისტმა ლიკვედ ჯოღეგასთან ეთიად აფხაზეთში დააფეძნა ჰიხველი ჯომჰიუტეხილი გაზუთი «მეცხე ტაღლა» (იყო მისი ხედაქოიცი); ომის დროს მუშაობდა გაგის სამხედრო ჯომენდატეხის ჰეხსამსახეში და მის მიეი მომზადებული სიუეუტები გადაიცემოდა ტეევეიზიით; ამ ჩამეწინე წლის წინ ვენეჩა ხუჯას ჰუბილქაცია - «გაგა - ჩვენი დაქაჩველი სამოთხე», შეფასებული მაღალი ჰეიციწგელი ქელით, დაბეჭდა გაზუთი «ქვიხის ჰალიტამ».

ღლეს ის აფხაზეთის მთავრობის აპრაციში ადმინისტრაციული სამმართველოს უფოსის მოადგილა.

## ანგელოზის დღე

ვენერა რურუა

გიორგობისთვეა.

პატარა გაბრიელის მფარველი ანგელოზისა და მოსახელე წმინდანის დღეები ახლოვდება.

მინდა დაფურეკო, მიულოცო, მაგრამ როგორ?

გაბრიელი გუდაუთაშია, მე - თბილისში.

ვერ ვრეკავ!

ესეც ჩვენი ნაქები მობილური კავშირგაბმულობა - ქვეყნიერებასთან ამყარებს კავშირს ერთ ნამშიო... აგერ, თითქოს ხელის განვდენაზეა გუდაუთა და რომ ვერ ამყარებს?!

არა უშავს - უკეთესი გზა ვიცი, რომელიც „კაცთათვის შეუძლებელს შესაძლებლად“ გახდის. თანაც, ის ერთმანეთთან დაკავშირების ყველა სხვა საშუალებაზე უსწრაფესი და სანდოა - ჩუმად, ჩურჩულით, ან სულაც, უხმოდ შევევედრები პატარა გაბრიელის მფარველ ანგელოზსა და მის მოსახელე ჩვენს დიდ წმინდანს, რაც ამ სისხამ დილით უსურვე აფხაზ ბიჭუნას და ისინიც, როგორც კეთილის მახარობლები, მყისიერად, ქარზე უსწრაფესად გადააფრენენ ჩემს (მი)ლოცვას... მცხეთას, ენგურს, ოჩამჩირეს, სოხუმს და სიყვარულის სხივებს გუდაუთაში აუთამაშებენ დედის კალთაში მონებივრე გაბრიელს...

მეც ეს მინდოდა, სხვა კი - არაფერი.



...გაბრიელი აქ გავიცანი, თბილისში, იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში.

მანამდე...

მანამდე დაური ერქვა - აფხაზებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი.

თავში სიმსივნით დაიბადა.

მოიარეს ადგილობრივი ექიმები, რუსეთის კლინიკები... უშედეგოდ!

თბილისი ბოლო იმედად რჩებოდათ.

წამოვიდნენ!

თავიდან ქართველი ექიმებიც ორჭოფობდნენ - სიმსივნე დიდი იყო, ოპერაცია - ძალიან სარისკო, დროის დაკარგვა - ორმაგად!


ოპერაცია გადაწყვიტეს!

სავადმყოფოშივე სასწრაფოდ მონათლეს!

გაბრიელი - ეს სახელი მამამ შეურჩია და ნათლიადაც თვითონ დაუდგა.

ხილული სასწაულებიც მერე დაიწყო...





...დედამ და ბებია ახალნაოპერაციევი და ექიმებისათვის მაინც ნაკლებად საიმედო გაბრიელი მცხეთაში გააქანეს და ბენვზე დაკიდებული პატარას სიცოცხლე მის მფარველ წმინდანს შეავედრეს.

არავინ იცის, როგორ მოეფერა, დაუყვავა და დალოცა მის საფლავზე მოკოტრიალე აფხაზი ბიჭუნა მამა გაბრიელმა...

ეს მარტო გაბრიელმა იცის – იმ ღამით მშვიდად ეძინა. სიმშვიდე იყო მეორე, მესამე, მომდევნო დღეებშიც.

იმედრასახულმა ექიმებმა თქვეს – თუ ასე იყოჩაღა, გადაძლევსო!

ბებია დღედაღამ ლოცულობდა!

დედა, შეტევების გამეორების შიშით, მაინც უთევდა ღამეებს.

ფეხზე იდგა გაბრიელის მთელი სანათესაო აფხაზეთშიც!

გუდაუთიდან მამაც ჩამოვიდა!

ყველაზე მშვიდად და არხეინად კი გაბრიელი იყო - ჭამდა, ეძინა, ლულუნებდა,

ტიტლიკანა ფეხებით ჰაერში „ველოსიპედსაც ატრიალებდა“ და, აქაოდა, რას

ვაკეთებ განსაკუთრებულსო, შიგადაშიგ გაკვირვებით მიაჩერდებოდა მისი

აქტიურობით გაოცებულ და გახარებულ ექიმებს.

ეს ყველაფერი იყო.

ახლა...

ახლა ექიმები მისი სრული გაჯანსაღებისათვის იბრძვიან და ამიტომაც გაბრიელი

ხშირად ჩამოდის გუდაუთიდან. მართალია, ჯერ დამოუკიდებლად ვერ დადის,

მაგრამ იმედი აქვთ, რომ მოვა დრო და მარშრუტ „გუდაუთა — თბილისს“ მარტოც

დალაშქრავს.



...საავადმყოფოში ვარ – გაბრიელის პალატაში!

სძინავს და ამიტომაც ჯერ არ ვიცი, რომ საოცრად ღამაზია – ქერა,

ცისფერთვალეა და ვერცხლისწყალივით მოძრავი.

პალატა მყუდროდ, საცხოვრებელი ოთახივით აქვთ მოწყობილი. შინაურულად არიან – ბებია გარე-გარე დაფუსფუსებს, დედა სანოლში მონავარდე გაბრიელს თვალს წამითაც ვერ აშორებს.

კეთილგანწყობით მხვდებიან!

ასე მგონია, დიდი ხნის ნაცნობ, მონატრებულ ადამიანებს შევხვდი.

სრულიად უცხო გაბრიელის დედა გაკვირვებით, ბავშვური გულწრფელობით მომჩერებია და ვგრძნობ, რომ მემადლიერება. ამით შეთამამებული და, უფრო მეტად, გახარებული მას გულში ვიკრავ და შინაგან განწყობასთან ბევრად შეუსაბამო, შაბლონურ და გაცვეთილ სიტყვებს ვეუბნები. დაახლოებით ასეთს: „ჩვენ ერთი მიწის შვილები ვართ“, „რა გვაქვს გასაყოფი“, „მე აფხაზი ნათესავებიც მყავს“...

გაბრიელის ბებია ყავას მიდუღებს და ღამბაქვზე შოკოლადს მიდებს.

მარხვის დღეებია. შოკოლადს უხმოდ ვდებ მაგიდაზე.

– ეს სამარხვოა, – მიმიხვდა ბებია და მორცხვად, ოდნავ გასაგონდაც დააყოლა, – ჩვენც მარხვაზე ვართ.

– ესე იგი, უკეთ გავუგებთ ერთმანეთს, – ვფიქრობ გახარებული და ბებია უფრო ვუთამამდები. ენას ვერ ვაჩერებ, შიგადაშიგ – ცრემლსაც. არ ვიცი, აღლევისგან რას ვლაპარაკობ და, საერთოდ, გამომდის თუ არა მთავარი სათქმელი – ქრისტიანებს რომ ეროვნება არა აქვთ.

პროდუქტებითა და ჭურჭლით სავსე მაგიდის შუაგულიდან მამა გაბრიელის ხატი თუ სურათი სიყვარულით სავსე თვალებით მოგვჩერებია და გვიღიმის.



...გვერდითა პალატიდან ხმელი აღნაგობის ქალი შემოდის, მისალმების ნიშნად თავს გვიკრავს და გაბრიელის დედას რაღაცას ეკითხება.

თვალეზსა და ყურებს არ ვუჯერებ – ეს ქალბატონიც აფხაზია!


ჩემი მეგზური, დღევანდელ მასპინძლებსა და სხვა აფხაზეთშიც ნდობამოპოვებული ალექსანდრე მიხსნის, რომ ამ ქალბატონის ახალშობილიც მძიმე ავადმყოფია – გაბრიელზე ბევრად უფრო მძიმე, რომ მასაც შემოატარეს რუსეთი, რომ ქართველმა ექიმებმა მასაც რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს და ყველა, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ, როგორც თბილისში სამკურნალოდ ჩამოსულ სხვა აფხაზეტს.





...სანამ მე და ახალგაღვიძებული გაბრიელი ერთმანეთს ვეცნობით, ქალები საუბრობენ – მშვიდად, თავისუფლად, გამოკვეთილი გუდაუთური აქცენტით. საუბარში ალექსანდრეც ერთვება – რუსულად, ქართულად ხუმრობს, ენაკვიმატობს. თვალში საცემია შემოსული ქალბატონის სითამამეც და უშუალობაც.

ქალების საუბრიდან, მართალია, არაფერი მესმის, მაგრამ კარგა ხნის მივინყებულები, უკვე ყურს გადაჩვეული აფხაზურისა თუ სხვა ყოველივე აქ მოსმენილის, ნანახისა და განცდილის ფონზე თავს ჩვენებურ, მშობლიურ გარემოში ვგრძნობ და ვხვდები, როგორ გვეხმარება ჩემს წინ მონებოვრე ეს პატარა მისიონერი, დავამარცხოთ შიში, სიძულვილი, გაუცხოება, გადავთვლოთ ჩვენი გამყოფი ყველა ხაზი და... გავერთიანდეთ, როგორც დღეს, მის ამ ერთ ციციქნა პალატაში.



### გაბრიელს ვითომ პირადად

დიდურად გეტყვი:

იმ დღეს, შენს გარდა, თბილისში სამკურნალოდ ჩამოსული სხვა აფხაზებიც მოვინახულებ. მათ შორის, ერთ-ერთს, რომელსაც იმ დღეს გაუკეთეს ოპერაცია, გული, კვეთის შემდეგ, ზედ საოპერაციო მაგიდაზე გაჩერებია და იგი პირდაპირი, ცოცხალი მასაჟით აუმუშავებიათ ექიმებს.

ქუდბედიანი კაცი ყოფილა – გული კვეთამდე რომ გაჩერებოდა, ვერ ვუშველიდითო, გვითხრა ექიმმა.

ქირურგის მისაღებში მე და ალექსანდრე „ქუდბედიანის“ ქალიშვილს, სოხუმიდან ჩამოსულ მადინასა და მის მეგობარ ჟანასაც შევხვდით.

კარგა ხანს ვისაუბრეთ.

ჟანა ოსი აღმოჩნდა – სამაჩაბლოდან.

...იქ, შენთან, საავადმყოფოში, ემოციებით დატყვევებულს, არ მიფიქრია, ჩვენი – ქართველის, აფხაზისა და ოსის – იმდღევანდელი შეხვედრა შემთხვევითი კი არა, საგანგებო რომ იყო.

გესმის, გაბრიელ, ს ა გ ა ნ გ ე ბ ო !

**განგება კი, იცი, რა არის?**

**განგება წესრიგია, რომლითაც ყველაფერი კეთდება, როგორც ამას ღმერთი ინებებსო – ეს მერე, როცა შენზე და, საერთოდ, იმ დღეს ნანახსა და განცდილზე გასამყარებულ ფიქრებში ჩვენს ნაწილებმოკვეთილ სამშობლოს ვამთლიანებდი, წმინდა მამებთან ამოვიკითხე.**

შენთვის განკუთვნილ ამ წერილს აქ დავასრულებდი, კიდევ ერთი სასწაული რომ არა.

ოჩამჩირედან ჩამოსული ნათელა, რომელიც, ასევე, იმ დღეს მოვინახულებე, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი ნათესავი აღმოჩნდა – აფხაზი მამიდაშვილების მხრიდან.

უნდა გენახა, როგორ მოგვჩერებოდა პალატაში ყველა, როცა საერთო ნათესავების სახელების ჩამოთვლას ერთმანეთს ვასწრებდით.

ცალკე ალექსანდრე იჭაჭებოდა – ომი რომ არა, თქვენ ერთმანეთს ვერ გაიცნობდითო.

ვიცინოდით, ვტიროდით. მერე ისევ ვიცინოდით და ვცდილობდით, არ გვეტირა.

**ხედავ, გაბრიელ, რა პატარაა ჩემი და შენი გასაერთიანებელი სამშობლო?**

**ხედავ, როგორ ელოდება იგი ჩვენს ამ საერთმანეთო ნაბიჯებს?**

**თუმცა, შენ ჯერ ამას ვერ ხედავ და არც სამშობლო იცი, რა არის!**

**სამშობლო, გაბრიელ, იგივე, უფალია, ჩვენი დიდი მშობელი – აბა, დაუკვირდი, როგორ ჰგავს ეს ორი სიტყვა ერთმანეთს?!**

**ჰოდა, როცა გეტყვიან, ამა და ამ ექიმმა გადაგარჩინაო...**

**თუმცა, მე რა უნდა გითხრა – გაიზრდები და თვითონაც მიხვდები, ვინაა შენი გადამრჩენი!**

**მშურს შენი, რადგან წინ გაქვს ყოველივე ამის აღმოჩენისა და შეცნობის სიხარული!**





სულხან-საბა ორბელიანი.  
ავტორი: ლადო გუდიაშვილი

ძვირფასო ყმანვიებო!

ანბანთ ღიგის მიხედვით დადაგებული ძაღიან ბევჲი სიტყვა, ღომელსაც «იაღჲნის» ყოველ ნომეჲში საგანგებოდ განვიღოთ, ღომ აჲა ჰიჲველი ჲაჲთველი ღეჲსიყოგაჲთი სეღხან-საბა ორბელიანი და მისი შუეფასებელი «სიტყვის ჲონა», შესაძღოა, ჲეჲი ჲიღევ სამი საჲეჲენის წინ ყოფიღიყო მივიწყებული ზოგეჲითი მათგანი.

ჲიღევ ნაჲმოსადგენია შვიღიღედ ასო-ბეჲეჲის (ჩან-იღან ჰაე-მღე) მწეჲიჲში განთავსებული ღეჲსიჲეჲი ჲეთუეღები.

«თუ ვისმე გნადს ეს წიგნი, ეგეჲე გმაცს ვითა ჲესთავეღსა»-ო, - ასეთი ღიღი აზიღის იყო ძველი ჲაჲთული საზოგადოება საბას ღეჲსიჲონზე.

ამასთან, ისევე გთავაზობთ უღიღესი მეიგავის ჲიღევ ჲით შთამბეჲდავ ნანაჲმოებს - «ეღისიღის მაგისტროსი», ყვეღა ღჲოსა და ეჲოჲაში ჲითმანეთისთვის გასაზიღაჲებღ გუღმონყაღების ამბავს.

«სიბჲძნე სიღეღისა» შუეღეჲიღ თავისუფალი აზიღვნების შუმოჲმეღებისა. იგი აიღს ჲათეზიზისი\* ჲაჲთული გონება-მაზვიღობისა», - წეღდა გოგღა ღეღონიღე.

- უ -

**შაბარღუხი** – შავი, ღიღი და გვარიანი ჲორი

**შავცეცხლი** – ყუმბარა

**შალალი** – ყოვეღთა წყღულთა ნაღენი, ვითარცა წყალი (ჩირჲი)

**შალვარი** – ბერძნულია, ჲართულად ორკეც ნიფხავს ჰჲევიან როჲანაკი; გარე ამოსაცმელ შალვარს – სანმერთული

**შანღაკი** – ვრცეღსა და ვიწროს საშუალი

**შატაბუღა** – ჩჲარ მოუბარი

**შატროვანი** – ჲევეშაგებზე და ცხენზე გადასაფარებელი უცხო რამე

**შაჲარი** – ინღოურისა ენითა თაფლი შეყინული

**შაშარი** – სისხღის გამოსაშეღები მაზვიღი

**შევაფარიღე** – ფარით (შავი მურიღ) შევსვარე

**შეთიანი** – სნეული, გიჲი

**შემრგე** – უწყინარი

**შეუვრღა** – დაუჩოჲა

**შეფრუშკვა** – ნარბის შეჲეზხვა

**შეჲამადი** – მარზვის საჲმელი

**შვიღაკი** – ცუღშვიღა

**შვიღიშვიღი** – ბაღიში

**შიმუნვარი** – მხღებელი ჲალი

**შიშაგი** – კამბეჩი

**შიშთვიღი** – სახრჩობელი

**შინიში** – ღეიღაშვიღი, მამიღაშვიღი

**შორსსათუღლე** – ღურბინღი

**შორშოფი** – გიჲური ტირიღი

**შუკა** – ფოღორცი (ჲურჩა)

**შუმი** – უწყლო ღვინო

**შუნი** – ღეღალი ჲიზვი

**შური** – მწუხარება სხვისა კეითღსა ზეღა

**შუშტყემალი** – შინაური ტყემალი, რომელსაც სჲარსნი აღუჩას უზმობენ

**შხაჲი** – ჩჲარი წვიმა


**შხორკალი** – ყრმათაგან ჩჲარი ფორთხალი

\* – ჲრისტიანული ღვთისმეტყვეღების მოკლე გაღმოცემა კითხვა-ჲასუღის საზით.



# აიისრის მაგისტროსი<sup>1</sup>

სულხან-საბა ორბელიანი



იყო მაგისტროსი ერთი, ძალზე კარგი და სახელოვანი ჭაბუკი, ყმა კეისრისა. და გაგზავნა კეისარმან მოციქულად საფრანგეთს. ძალზე ქველმოქმედი კაცი იყო, მაგრამ სიკეთეს უფრო ფარულად იქმოდა.

წავიდა. რა გზა განვლო, ნახა, ერთ ადგილას შიშველი მკვდარი ეგდო. გაიარა პაშტა<sup>2</sup> მანძილი და მოსამსახურეთ უთხრა:

– თქვენ წადით, მე ნუ მელით!

რა ისინი მოიშორა, დაბრუნდა, ტანთ გაიხადა; ორი პერანგი ეცვა, ერთი მას მკვდარს ნახურა და მსახურთ მიენია.

მოვიდა ქალაქსა ერთსა. ფოლორცში მწვირე<sup>3</sup> იდგა და შიგ საპყარი<sup>4</sup> გლახა ეგდო. არცა ვინ ამომყვანი ჰყვანდა და არცა ვინ მიმცემი რისამე.

მაგისტროსი ჩამოხტა სახედრიდან და ამოიყვანა საპყარი, ხმელზე დასვა და ერთი ფლურიც<sup>5</sup> მისცა.

წავიდა საფრანგეთს, ჩაჯდა ნავში, ზღვა აღელდა, ნავი დაემსხვრა და მაგისტროსი უფსკრულში ჩავარდა.

მოუხდა კაცი ერთი, მოხვია ხელი და ხმელზე გამოიყვანა. უთხრა მაგისტროსს:

– მე ის გლახა ვარ, შენ რომ წუმბიდან ამომიყვანე. მე კი მის მაგიერ ეს მიქნია!

საფრანგეთში კეისრის ყოველი ბრძანებული გაასრულა და მობრუნდა. მოვიდა კონსტანტინეპოლს. მოედანზე გამოაჭენა ცხენი, რომელიც წაექცა; თვითონ მას კი წვივები სრულებით დაელენა. გამოვარდა მეფე და სრული ჯარი.

აიყვანეს მაგისტროსი, შეიყვანეს, დაანჯინეს, დაუყენეს მკურნალნი, მაგრამ ვერა უწამლეს რა.

მაგისტროსს ერთი გულითადი მონა ჰყავდა, რომელიც სულ სანოლთან ეწვა. მოვიდნენ დასტაქარნი. იკითხა მაგისტროსმა:

– ჩემთვის რას იტყვიან?

მონა გაჰყვა დასტაქართ. მათ თქვეს:

– მოვალთ ხვალ, თუ ფეხს მუხლში მოგვაჭრევინებს, ვუწამლებთ და მორჩება კიდევ; თუ არადა, მოკვდება!

მოვიდა მონა და ყველაფერი უამბო ბატონს.

რა მოისმინა მაგისტროსმა, ასე თქვა:

– მე ცალფეხ სიცოცხლეს მოვკვდე, დია მიჯობს!

მრავალი იტირა და მიეძინა. და მონა იგი ისევ ფერხითი ეწვა.

შუალამისას შემოვიდა კაცი სარკმლიდგან, თეთრი პერანგი ემოსა. დაჯდა. მოიკითხა მაგისტროსი და ფერხის ამბავი იკითხა. მერმე უთხრა:

– მაჩვენე ფერხი, რა რიგად გაქვს?

თავისი უბიდან ერთი მოთხე<sup>6</sup> ამოიღო. მას შიგან წამალი იდგა, ამოიღო თითით და ფერხი დაუზილა.

მეორედაც წაასცხო წამალი და უთხრა:

– ადექ, მომეყრდენი!

მერე დაანჯინა და მესამედაც წაასცხო. ბოლოს უთხრა:

– ადექ, წადი, უკვე მორჩი!

ადგა მაგისტროსი და მთელი კაციც შეიქმნა. მაშინ უთხრა უცნობმა მაგისტროსს:

– მე იგი მკვდარი ვარ, შენ რომ გზაზე მნახე და პერანგი დამხურე. მე შენი სიკეთისათვის პასუხი ესე მიქნია!



1 – მოძღვარი, მასწავლებელი. 2 – მცირეოდენი. 3 – საშინელი სიბინძურე. 4 – ხეიბარი. 5 – ოქროს ფული (4 გრ). 6 – პატარა კოლოფი.



გალილეო გალილეი

1600 წლის 13 აგვისტოს - დომინიკელი ბეჩი, ჯიძიდან ბიძემ - ხომში ჯოცონზე დანვს მხოლოდ იმისთვის, ხომ ამტყუებდა, ედამინა შვის გახშემო ბიუნავსო. თუმცა მამინ მან ასტრონომიული ოპტიკური ხელსაწყო - ტელესკოპის შესახებ ახაფეხი იცოდა.

მალე, 1609 წელს, ამჯეხადაც იტალიელმა მეცნიერმა გალილეო გალილეომ თავისი სახლის უკან მდებარე ბაღში დააყენა ტელესკოპი და ცისკენ მიმავით. წყვიდადიდან გამოიხიოთა ჯეხაც უნახავი ვახსკვლავები და მიემაცა უკვე ცნობილ ვახსკვლავებს.

იმთავითვე შეიცვალა გალილეის ცხოვრება. მას განადიდებდნენ, ხოგოც მეოხე ჯოღემბს, ახად სამყაროთა პიხველად აღმომჩენს. მიენიჭა ჯიდეუ ჰადეის უნივერსიტეტის მთავარი მათემატიკოსისა და სამეთეო ჯახის ფილოსოფოსის წოდებები.

თუმცა მალევე ხომის ჰაჰმა უკმაყოფილება გამოხატა; ის თვიდა, ხომ ციუი სხუელთა მოძიარობა აღწეილია წმინდა წეიღღში - ფსალმუნებში, ისაიას წიგნში და ბიბლიის მთავად ადგილას; ხომ ყველა ეს თემა გაანალიზებულა წმინდა მამების მიუი და უბხლო მოკვდავთათვის მთეხელობაა ისეუ ამ საკითხებით დაინტეხეხება.

გალილეო გალილეი გააფეხიხიდა, "შეუწყვიტა თავდასხმა ზებუნებრივ სამყაროზე". ის მაინც ვეი ისვენებდა; გადწყვიტა, გაეგეძელებინა მთავარისა და ვახსკვლავების ცალკეუდ

ფეგამენტებზე დაჯიხვება, ცლები; ამასთან, შეუქმნა ბევიად მძღავი ოპტიკური ხელსაწყო. ახლა მისი ტელესკოპი, გაოხმადებელი ძარის მქონე ღინზებით, საგნებს ოცჯეხი მეტად ადიდებდა.

1610 წლის იანვარშივე მეცნიერმა გააკეთა პიხველი განსაცვიფებელი აღმოჩენა:

მის მიუი მოკველეი 4 ჰღანეტა სამყაროს შექმნის დღიდან ახავის ენახა - ეს იყო ჰღანეტა იუპიტერი, 4 თანავახსკვლავიდი.

ამ ახალი აღმოჩენის შესახებ სათავით - "ვახსკვლავთის მოციქული" მეცნიერმა სასწავლოდ გამოსცა წიგნი. ეითი ევიხის განმავლობაში კიხაეი სხუად გაიყიდა.

შემდგომი 30 წელიწადი გალილეის აი შეუწყვეტა ციუი სხუელებზე დაჯიხვება; დასკვნები იმ დიოისათვის სენსაციუი იყო: მთავარის ზედაპირი ხომ ედამინისას ჰგავს, ცაზე ვახსკვლავთა დაუსხულებელი წეება ხომ "იხმის ნახკომია", ედამინის მსგავსად, მზეუ ხომ თავისი ღეიძის გახშემო კიიარებს (ეოპეინიეი ამას მახკო ედამინის შესახებ ამბობდა); და ყოველივე ეს გალილეომ მეცნიერუდაც დასაბუთა.

ჯათოლიკეი იწევიზიციას, ჯა თქმა უნდა, მჯაკი იყო ასტრონომის მიმავით. წლების მანძილზე გალილეო იმყოფებოდა მინაპაკიშობაში, აეკიძაღა ჰედაგოგიუი მოღვაწეობა, ეონტაქტი საზოგადოებასთან.

გაიდაცვარებამდე ცოტა ხნით ადეუ, უკვე თითქმის დაბიშავებული, მეგობრისადმი გაგზავნილ წეიღღში მეცნიერი წეხდა:

"ხოცა შეუჯაცყოთა, დაციწვა და წეენა სეკყვასავით მაყყება ყოველი მხიდან, ისლა დამჩენია, მოკვედე დემახებაში".

"ის ან ედიდეი მეცნიერი, ან ნახმოუგენელი შეუეიღი", - ასე შეაფდასა გამოჩენილი იტალიელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი გალილეო გალილეი (1564-1642 წ.წ.) მისმა თანამეღეოვემ.

**„ჩეი ვონების არსი ცნობიდა მხოლოდ ჩემთვის და უფდისთვის ზეცაში“**

**გალილეო გალილეი**



გალილეო გალილეის ტელესკოპი

**მკითხველისთვის ძალზე საინტერესო იქნება 400 წლის წინანდელი სტრიქონები – ამონარიდები დიდი მეცნიერის წერილებიდან თუ ნაშრომებიდან**

„მე დიდი ხნის მანძილზე ვფიქრობდი იმ სიძნელეებზე, რომლებიც თავს იჩენს ტრადიციულ ასტრონომიაში სამყაროს სფეროებთან დაკავშირებით. მოსვენებას არ მაძლევდა ერთი გარემოება: რომ ფილოსოფოსებმა სამყაროსეული მექანიზმის დამაჯერებელ სქემას ვერ მიაგნეს; სამყაროსი, რომელიც ჩვენი სიკეთისათვის შექმნა ხელოვანთაგან საუკეთესომ და ყველაზე უფრო თანმიმდევრულმა. ამის გამო დავფიქრდი დედამინის მოძრაობაზე, თუმცა ეს იდეა აბსურდულად მესახებოდა. ვიცოდი ისიც, რომ ჩემამდეც ცდილობდა ზოგიერთი, აეხსნა ეს ფენომენი...“

ბუნებაში, ალბათ, არ არსებობს არაფერი, მოძრაობაზე უფრო ძველი, რაზეც ფილოსოფოსებს უამრავი ტომი აქვთ დანერლი, რაოდენობითაც და სისქითაც გამორჩეული...“

მე მოვახდინე გასაოცარი დაკვირვება მთვარეზე, რომელიც ყურადღების საგანი არაერთხელ ყოფილა, თუმცა, მგონი, არასდროს შეუნიშნავთ მისი ცვლებადობა. არადა, ის თითქოს ჩვენს თვალწინ ყოველთვის ერთი და იგივეა. მთვარე, მართლაც, ყოველთვის ერთი და იმავე სახით გვესახება – მომღიმარე



ადამიანის სახით, რომელზეც, შეიძლება, გავარჩიოთ თვალები, ცხვირი და პირი; იგი დედამიწისკენ ყოველთვის ერთი მხარითაა მობრუნებული. მისი ბრუნვის პერიოდი ზუსტად ემთხვევა მისი ტრიალის თვით ბრუნვას, ამიტომ მუდამ მის ცალ მხარეს ვხედავთ\*...

ეს სამყარო, რომელიც მე ჩემი დაკვირვებებითა და ცდებით გავაფართოვე ასჯერ, არა, ათასჯერ, იმასთან შედარებით, რაც ადამიანებს ნანახი ჰქონდათ გასული საუკუნეების განმავლობაში, ის ჩემთვის თანდათან ისე ძლიერ დაპატარავდა და შემცირდა, რომ ჩემი სხეულის უზადრუკ გარშემოწერილობამდე შემჭიდროვდა...

კოპერნიკის სისტემის სიყალბე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დგებოდეს ეჭვქვეშ; განსაკუთრებით, ჩვენ, კათოლიკეთა მიერ, რომლებიც წმინდა წერილის უპირობო ავტორიტეტს ვაღიარებთ, განმარტებულს უდიდეს ღვთისმეტყველთა მიერ; მათი არგუმენტები გვეხმარება ჩვენი რწმენის სიმყარეში, რომ დედამიწა უძრავია და მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო..

კოპერნიკისა და მისი მიმდევრების ჰიპოთეზა, რომელიც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, უარყოფილია ყველაზე დიდი და ძლიერი არგუმენტით – სახელდობრ, ღმერთის ყოვლისშემძლეობით.

ჩვენ არ უნდა გვეკონდეს პრეტენზია, შევაჩეროთ უფლის ხელი და დაჟინებით ვიკვლიოთ, თუ რაში ვცდებით.

წმინდა წერილის ასობით გვერდი გვასწავლის, რომ ყოვლისშემძლე უფლის დიდება და სიდიადე სასწაულის ძალით მის ყველა ქმნილებაზე გადმოდის და ზეცის გახსნილ წიგნში ღვთაებრივად იკითხება.

ამიტომ არავის არ უნდა მივცეთ უფლება, დაიჯეროს, რომ ამაღლებულ იდეათა ნაკითხვას, ამ წიგნში რომაა გადმოცემული, სხვა არაფერი მოაქვს, თუ არა უბრალოდ მზისა და ვარსკვლავების მშვენიერების, მათი ამოსვლისა და ჩასვლის ხილვა, ანუ, რაც შეიძლება, შენიშნონ თვით გაუთლებლმა უფიცებამაც კი.

ამ წიგნის ფურცლებზე წარმოდგენილია საოცარი საიდუმლოებები იმდენად ღრმა, და იდეები, იმდენად ამაღლებული, რომ მიუხედავად მღვიძარებისა, გულმოდგინე შრომისა და კვლევისა, ასობითა და ათასობით ყველაზე უფრო გამჭრიახ სწავლულთა შეცნობასაც ვერა და ვერ მიაღწია; არადა, ძიება, ათეული წელია, უწყვეტად გრძელდება.

მე მჯერა, რომ წმინდა წერილის მიზანია, დაარწმუნოს ადამიანები ჭეშმარიტებაში, რომელიც აუცილებელია სულის საცხოვნებლად. ამიტომ არც მეცნიერება, არც სხვა რამე საშუალება უტყუარად არ შეიძლება მივიჩნიოთ. ჭეშმარიტებას მხოლოდ და მხოლოდ სულიწმინდის ხმა გვანიჭებს. თუმცა, არა მგონია, დავიჯეროთ, რომ სწორედ ის ღმერთი, რომელმაც გვიბოძა გრძნობები, მეტყველება, ინტელექტი, წაგვართვა მათი გამოყენების უფლება, რათა შევისწავლოთ ის, რასაც შეგვიძლია, ჩვენ თვითონ ჩავწვდეთ. წმინდა წერილში იმდენად ცოტაა დაწერილი ასტრონომიაზე, რომ პლანეტების სახელებიც არაა მოყვანილი. ცხადია, ბიბლიის მიზანი რომ ყოფილიყო, ადამიანებს ასტრონომია შეესწავლათ, ამ თემას, ესოდენ თანმიმდევრულად, გვერდს ვერ აუვლიდა.

მე ნუგეშისცემის ორი მუდმივი წყარო მაქვს – პირველი ის, რომ ჩემს თხზულებებში შეუძლებელია, იპოვო წმინდა ეკლესიისადმი უპატივცემულობის სულ მცირედი მინიშნებაც კი; ჩემი გონების არსი ცნობილია მხოლოდ ჩემთვის და უფლისთვის ზეცაში. მხოლოდ მან იცის, რომ მე ტყუილად ვიტანჯები; რამეთუ წმინდა მამებიც არ საუბრობენ მეტი მონიშებითა და უდიდესი თავგამოდებით ეკლესიაზე, ვიდრე მე.

ღმერთს უსაზღვრო მადლობას ვწირავ იმისთვის, რომ მან, ესოდენ კეთილმა, პირველი მეო ღირსად, ამ სასწაულთა თვითმხილველი გავმხდარიყავი, რაც საუკუნეთა განმავლობაში წყვედიადით იყო მოცული.“

P.S. 1642 წლის 8 იანვრის ცივ საღამოს ვატიკანის ბიბლიოთეკაში ექვს ხოლსე დაწეს:

"ღლეს მოვიდა ცნობა სინიოხ გალიელის სიკვდილის შესახებ. ეს დანაჯაჰი ეხება ახა მხოლოდ ფლორენციას, ახამედ მთელს მსოფლიოს და მთელს ჩვენს საუკუნეს, ხომელსაც ამ უდიდესმა ადამიანმა მეტი ბიხნიწვადება შესძინა, ვიდრე ყველა სხვა თეოსოფოსმა, ერთად აღებულია. ახლა მუხი ჩაჩემება, ხოლო სხეულოფილება მისი გონებისა გახდება ცნობილი; და გონება იგი გაუძღვება მომდევნო თაობებს, ვითახცა მეგზუხი ჭეშმარიტების ძიებაში".



მეცნიერის ხელნაწერი



გალილეო გალილეი ინკვიზიციის წინაშე. ავტორი: კრისტიანო ბანტი. 1857 წ.

\* – მისი მეორე მხარე დაფარული რჩებოდა კოსმოსური ერის დაწყებამდე მანამ, სანამ უპილოტო საბჭოთა ხომალდმა „ლუნა-3“-მა 1959 წელს მთვარის ორბიტიდან პირველი ფოტოები არ გამოგზავნა.



თემურ შავლაძე

უნდა იცნობდეთ ბატონი თემუი შავლაძეს, უნდა იცოდეთ მისი გზა, სიმამით, კაცივით განვილი, მისი შემოქმედება, ნიჭიერი მწეხლისა და ხელოვანის ნიშნით ხელდასმული, მისი ქვეყანა, გელივით ხომ უფეთქავს და უყვახს.

ღლეს, ხოცა ამოხდელი კაცობიობის ნინაშე თვით სუქეხსახეღმნიფოვობის ბედიც გაუჩვეველია, მსოფლიო ხუჯაზე თითქმის შეუმჩნეველი საქახთველოს თვითმყოფადობა ისევ ჩვენი დასაძღვია. გვათამამებს ისტოიიული ნახსული და საამაყო ნინაჰეები, ეხის სელთა მოფახუენი.

ეხისმთავახი ნეხსე (ვიხი გმიხობის ამბავსაც, 12 საუკუნის ნინანდელს, კიდეც ეხთხეღ გვახსენებს თემუი შავლაძე), ავსოხის თქმით, «ყველა ეხომი თითზე ჩამოსათველი ჰიხოუნებათაგანია.» ამენად, ის ყველა ეხომი ქახთველების თანამეფხოვედ ჩრება, ხომ ნახსელის გაკვეთილებმა შეღმივად განაახლოს ეხოვნელი ცნობიეება (ხაც ასე საშუიხია) და ოდითან ჩვენსკენ მზიხალი მოძადლის სიავემ (ღლეს ასე მოქახებუებმა) კიდეც უფხო ახ დაამცხოს ჩვენი საახხოვნო და კეიხოიიული სიხიცე.

და ბოლოს: თემუი შავლაძე, მწეხალი, ლეეხაუეხის კეიეიოსი, ჰედაგოგი, ახაეხით საგელისხმო ჰოეუეხი, ჰიხოხაული თუ ესეისკეიი ნაშქომის («მთვახის ზამბახეუი», «ბედის სიმები», «ჰოეზია - მეოთხე განზომილება», «შავხაძოვანი», «შვიდი მოთხიობა», «ხადა აქვს გელს ესე ჩემი ნაღველი») ავსოიი თვისის, ხომ «სიმალეა ქახთველობა, ქიხსტიანობა, ხომლის გამოც თვით ახაბმა აბომ თავი გადადო სასიევიღოღ».

## ერისმთავარი ნერსე

თემურ შავლაძე

**იბადებიან პიროვნებები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის ისტორიულ ბედსაც და მოვალეობა-დანიშნულებასაც. ასეთები, ყველა ერში, თითზედ ჩამოსათველენი არიან. სწორედ ასეთი ზოგად-ისტორიული და ეროვნული მოღვაწეა (ჩვენთვის!) ქართლის ერისთავი ანუ ერისმთავარი ნერსე.**

**იგი, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის მთავარი იყო მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში.** ამ დროს, ქართლში, არაბები ბატონობენ. მტერმა მეფობა გაგვიუქმა და შეუდგა ქართველი ხალხის ეროვნულ გადაგვარებასა და ასიმილაციას (რა თქმა უნდა, არაბებთან და არაბობასთან).

არაბებმა კი, თვით ისეთი უზარმაზარი და უძლიერესი იმპერიაც კი, როგორც იყო სპარსეთი, დაიმორჩილეს და მიაღებინეს მაჰმადიანური სარწმუნოება, ტრადიციული მაზდეანობის სანაცვლოდ. მით უმეტეს, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ელოდა ქართლსა და მის მცირერიცხოვან მოსახლეობას.

სწორედ ამის გამო შენიშნავს იოანე საბანიძე: «ირყევთან ქართველნი, ვითარცა ლერწამნი, ქართაგან ძლიერთა“-ო! და რომ არა ქართლის ერისთავი ნერსე, ვინ უწყის, როგორ წარიმართებოდა როგორც ქრისტიანობის, ასევე, ზოგადად, ქართლის სამთავროს მომავალი.

არაბების უპირველესი(!) სამიზნე მაინც ქრისტეს სჯული იყო, როგორც შემაკავშირებელი და გამაერთიანებელი ენისა და მამულისა, ანუ ცნობიერებისა და საზროვნებო სივრცისა. **არადა, უკვე ვახტანგ**



ნმინდა აბო თბილელი. XVIII ს.-ის მინიატურა

**გორგასლის დროიდან (მე-5 ს.) მკვიდრდება ზნეობრივი ცნება: სჯულის (სარწმუნოების!) მოღალატე-უარმყოფელი ეროვნულობის მოღალატე-უარმყოფელი! და თუ ეს მცნება დაირღვა, დაირღვევა ენის, მამულისა და სარწმუნოების სიმტკიცე და მთლიანობა.**

**სწორედ ამ დროსა და ასეთ პირობებში ნერსეს სასახლე წარმოჩინდება ეროვნული სულიერების იმ ოაზისადაც და კულტურულ-საგანმანათლებლო-საუნივერსიტეტო ცენტრადაც, რომლის გამოწვეუქი წვდება კუთხე-სამთავროებად დანაწევრებულ იმდროინდელ ისტორიულ საქართველოს.**

არაბობის მძვინვარებისა და მძლავრობის ეპოქაში ნერსე ახერხებს იმას, რაც თითქმის წარმოდგენაშიც კი თითქმის წარმოუდგენელია და შეუძლებელიც! იგი, როგორც ჩანს, ბრძენი, დინჯი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია – ზომიერი და საქმის მცოდნე ფსიქოლოგიცა და განმანათლებელიც. არ უყვარს ხმაური, ე.წ. „პოპულარობა“ და მეხოტბე-თაყვანისმცემლები. „საქმემან შენმან გამოგაჩინოს!“ – აი, მისი ძირითადი ადამიანური და კაცობრივი შინა-არსი.

იგი სასახლეშივე აარსებს სკოლას – თვითონაც ასწავლის და იწვევს კიდეც დაბრძენებულ აღმზრდელებს; ამასთან, კრებს ნიჭით გამორჩეულ ბავშვებსა თუ ახალგაზრდობას; ამზადებს მათ როგორც სასულიერო, ასევე, საერო მოღვაწეობისათვის; წარჩინებულთ აზიარებს და უსაზღვრავს სწორი აზროვნების პრინციპებსა და მიმართულებას; სწორედ მისი სასახლის აღზრდილები არიან გრიგოლ ხანძთელი (რომელიც, მის მეუღლეს, ძმისშვილად ერგებოდა!), საბა იშხნელი, თეოდორე და ქრისტეფორე, რომლებიც თავად აარსებენ ეკლესია-მონასტრებს ტაო-კლარჯეთში, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო



ცენტრებს, ანუ, იგივე (იმდროინდელ!) უნივერსიტეტებს.

სახელოვანმა მოღვაწეებმა ამით ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს არაბთა როგორც ფიზიკურ, ასევე, სულიერ (რელიგიურ!) ძალადობასაც და იხსნეს ქართველი ხალხი სულიერი წარღვნა-წალექვისგან!

როგორც ჩანს, არაბებს (ადრიდანვე!) შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ნერსეს ეროვნული მოღვაწეობის ეს მხარე და როგორც მათთვის „არასაიმედო“ ერისთავ-მოხელე, გადაუყენებიათ თანამდებობიდან და მოლაღატე-კარისკაცი მათ დედა-ქალაქში გაუწვევიათ. რა თქმა უნდა, პატივყრილი ერისთავი სამი წელი ციხეში „დაუხანებიათ“ და კიდევ კარგა ხნით დაუტოვებიათ ბაღდადს შინაპატიმრობაში!

ამ დროს გაუცვინია და დაუახლოვებია ნერსეს არაბი ჭაბუკი აბო, ნელსაცხებლების ოსტატი; და იმდენად მოუხიბლავს როგორც ქრისტიანსა და დიდბუნებოვან პიროვნებას, რომ არაბების ტყვეობიდან განთავისუფლებულ ნერსე ერისთავს თბილისში თან გამოჰყოლია 17-18 წლის არაბი ჭაბუკი. **სწორედაც აბო აღმოჩნდა ის დაუძლეველი და დაუმორჩილებელი ბასრი იარაღი არაბებისა და არაბობისათვის, რომლითაც იძლივნენ თავადვე ისინი. აი, ეს იყო ყველაზე უდიდესი და უპირველესი დამსახურება ნერსე ერისთავისა ერისა და სარწმუნოების წინაშე.**

აბო, როგორც ცნობილია, არაბებმა აწამეს 786 წლის 6 იანვარს. ნერსე, ამ დროს, ალბათ, უკვე ჭარმაგია და მცხოვანიც, მაგრამ ისევე მხნე და შეუპოვარი. ამასთან, ახლა უკვე მისი მოწაფენი აგრძელებენ მის მიერ დაწყებულ საქმიანობას როგორც არაბებისგან იავარქმნილ ქართლში, ისე ქართლის გარეთ, ბიზანტიის ფარგლებში მყოფ ტაო-კლარჯეთის ქართულ ნიაღში.

**ნერსეს იდეით შთაგონებულებმა სწორედ იქ უნდა შექმნან და აღორძინონ ქართლის ნაცვალის ცენტრი, ტაო-კლარჯეთის სახით და დაელოდონ ჟამს არაბობის დასაძლევადა.**

ჯერ კი აქ, ტაო-კლარჯეთში, უნდა გადარჩეს ძველი ქართლი, თავიდან შეიქმნას და აღორძინდეს ახალი ქართლი, თავისი (ახალი!) სამეფო დინასტიითა და იდეოლოგიური მრწამსით; ანუ: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულებს!“.

აი, ის იდეოლოგიური ფუძე-საყრდენი-ბალავარი, რომლის გარშემო უნდა შეიკრიბოს, შეიკრას და გაერთიანდეს მთელი ერი, მამული და სარწმუნოება; ეს სიტყვები მუდამ გვაკვებს რწმენით, რომ საქართველოა ყველგან, სადაც

ქართულად ლაპარაკობენ, ლოცულობენ და აზროვნებენ! და ეს ყოველივე ნერსე ერისთავის აღზრდილისა და მოწაფის, საქართველოს პირველი უდიდესი „სულიერი სვეტის“,\* გრიგოლ ხანძთელის პირით უნდა გაცხადდეს და განეფინოს სრულიად საქართველოს. და სწორედ აქედანვე უნდა დაფუძნდეს ცნება-სახელწოდება – საქართველო!



ხანძთის მონასტერი ტაო-კლარჯეთში. დააარსა ნერსე ერისთავის აღზრდილმა – გრიგოლ ხანძთელმა

დიახ, არაბები, რა თქმა უნდა, მშვენივრად აცნობიერებენ ნერსეს მნიშვნელობასაც და დანიშნულებასაც როგორც ქართველთათვის, ასევე, არაბობისთვისაც. მაგრამ მათთვის, როგორც საშიშსა და მიუღებელს, არასანდოს! ამიტომაც მუდმივად დევნიან, მსტოვრები აბეზლებენ, არ ასვენებენ, დაძრწიან და ჭორ-მართლით საზრდოობენ.

ნერსეც იძულებულია, დაუსხლტეს არაბებს, გადაიხვეწოს საზარეთსა თუ აფხაზეთში (ანუ დასავლეთ-საქართველოში!) ოჯახითურთ და ახლობლებით და, რა თქმა უნდა, თანამებრძოლებით. მძიმე და აუტანელი ამგვარი ყოფა-მდგომარეობა, მაგრამ უნდა გაუძლოს და გაძლოს ნერსე-ერისთავმა, რადგან მის უკან ის დიდი საქმეა, რომელიც არ შეიძლება, დაუმთავრებელი დარჩეს და არ დასრულდეს სასიკეთოდ! არაბები და არაბობა სწორედაც რომ არაბი აბოს ხელით უნდა დაამარცხოს და აჩვენოს ყველას, თუ რაოდენი სიმძლავრეა ქართველობა, ქრისტიანობა, რომლის გამოც თვით არაბმა აბომ თავი გადასდო სასიკვდილოდ – ქრისტესთვის, ქართველთათვის, მარადიული სასუფევლისათვის!

დიახ, სწორედ ნერსე ერისთავმა შექმნა აბო, ანუ, აბო, როგორც ქრისტიანი და ქართველი ნერსეს ქმნილება! და აქედან, გამომდინარე, როგორც ჩანს, თავად ნერსე ერისმთავრის ქმნილებაა იმდროინდელი საქართველოც.

P.S. აი, ჩას ნიშნავს ისტორიისთვის თითქოს მდუმარე და ნაკლებად შესამჩნევი პიროვნება. ნეხსე ეჩისთავი, ფაქობიხვად, იმეხონდელი ქაიხვი იდეოლოგიური მუშაობის საძიკველია, ბუჩიცი და საყხენიცი; ანუ, სადაც გიგოლ ხანძთელია, იქვე უნდა ვიგულისხმოთ ნეხსე ეჩისთავიც, ხოგოცი ეჩისთავი, მოძლავი და უდიდესი მამულიშვილი.

ამიტომაც, ნეხსე ეჩისთავი სწოხედ ის და იმ ჩრუეტაგანია, ხომელიც უფადმა ინება ქაიხვიის მინაზე მოსავლინებდა! მათდაც ხომ, შეუცნობნი და შეუმეცნებენი ახიან გზანი უფლისანი! ვინ ნახმოიდგენდა, ხომ, მაშინ, ახაბობის ზეობისა და ძლიეხებითი მზეობის ხანაში, სწოხედ აქ, ქაიხვიში, კეხი სელიხად ჩაუხვენებოდა ახაბობის მზე, დაინყებოდა დაისი მათი და აისი ქაიხვიეობისა.

და ამ ყველაფეში ნეხსე ეჩისთავის ახი და მნიშვნელობა განუზომდად უდიდესია და განუახლუხიდად დაუსაზლუხიელი...

\* – რეზო სირაძის განმარტებით.



მაია ჯორჯუა

მაია ჯორჯუა, პუბლიცისტი ავტორი, ჯეი ჩენ ნახმოვანდგენით: სომხური მაია ჯორჯუა უკვე 20 წელს, მშობლებთან ერთად ცხოვრობს სანჯტ-პეტეხეჯეში. ჰოლანდიური ექიმ-ფსიქოლოგი სიამოვნებით დაგვთანხმდა, ითანამშრომლოს «იარაღთან». პეტეხეჯის ელბ «ა? სად? ხოდის?» საქალაქო ლიგის წევრი ნახმატებული მოახოვნეცა. ძალიან უყვარს კითხვა და ამჟვეყნად მახოო მინი ხამ აოცებს: შუოქმედებითი ნიქი და ადამიანური ნიქი. კომუნიკაბედეხი ყვედასთან, ვისაც «თავისთანად» მიიღებს.

მოდით, მაიასაც მოვუსმინოთ; შეიქმნას მკითხველმა ჯანსაღი აზრი ავტორზე, ხომელიც თითოეული პუბლიცისტი უკან დგას:

«დაბადებით ვაჩ სომხური და მთელი ჩემი ახლებით ამ ზღვისპირა კუთხის ნაწილი ვაჩ. მაგამ მსოფლიოში ახლ ერთი ქალაქი ისე ახ მალევეებს, ხოგოხც დასავლეთ საქართველოს ერთი ჰატაჩა, მაგამ უმოხეხი საუკუნეებიდან მზიხალი, ნანგეხე-ნაქალაქი სენაჯი; კუთხე, სადაც ფეხი ავიდგი და სადაც დაფაზე ამოვიკითხე ქაითუდა «აი-ია». ეს იყო პიხველ ჯდასში.

დავამთავრე სანჯტ-პეტეხეჯის პედეატრიული უნივერსიტეტი და ვეშაობ ფსიქოლოგად ნმინდა ოღლას სახელობის ქალაქის ბავშვთა საავადმყოფოში. მზიბდავს ჩემი საქმიანობა, ერთიერთობა ჰატაჩებთან, ჩემს ჰოლანდიას ჯიდეუ უდეო ხომ მავყაჩებენ. ამიკომაც ვეძახი მათ ახაოხინადეხი სამყაიხოს ჰაცენეცებს.

ყოველთვის მადეხობობდა ერთი ხამ: ჩემი მისამახითი ვინმეს ახ გამოყენებინა საშიში უპითეტი - «გაჩხებელი». ამან მიმიყვანა სანჯტ-პეტეხეჯეში მოქმედ ქაითველი ახადგახებების ასოციაციაში «თეხგადედელები». ჩვენი, «თეხგადედელთა» ედევიზია: «სამშობლო, ხოგოხც უდადი, ერთი ჯვეყანაზედა!»

### მწერიჭამია მცენარეები

მომზადა მაია ჯორჯუა  
წერილი რუსეთიდან

ფრინველები რომ იკვებებიან თევზებით, ბუზებით, ჭიებითა და მატლებით, ეს არავის გვიკვირს. არც ის, ფესვებითა და ფოთლებს საშუალებით მცენარეები საკვებ ნივთიერებას რომ იღებენ ჰაერიდან, ნიადაგიდან.



ვენერას მემატლია

მაგრამ შედარებით არაბუნებრივად უღერს, როდესაც საუბარია ისეთ მცენარეებზე, რომლებიც იკვებებიან წერილი კიბობით, ლიფსიტებითა და მწერებით; ანუ, როცა ვსაუბრობთ მწერიჭამია ყვაილეებზე.

მწერიჭამია მცენარეებთან დაკავშირებით გამოიყენება სხვა ტერმინებიც: მტაცებელი, აგრეთვე, ავხორცი მცენარეები.

შესწავლილია ამ მცენარეთა 19 ოჯახის 630-მდე სახეობა, რომელთაც შესწევთ უნარი, დაიჭირონ, ამასთან, მოინელონ კიდეც ცოცხალი არსებები (ძირითადად, მწერები). საუბარია მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეებზე, რომელიც პლანეტის ყველა კუთხეში გვხვდება. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამ მცენარეთა 18 სახეობაა. საქართველოში მხოლოდ 2.

უფრო ხშირად ის გვხვდება ქობულეთის ტორფიან ჭაობებში, მტოშის (ბუჩქოვანი მცენარე, რომლის ნაყოფი იჭმევა), ლურჯი მოცვის, წყლის ბამბისა და ძიგვას შორის, ტორფის ხავსიან კოლბოხებზე\*. ესაა ორი

ტიპური მწერიჭამია მცენარე – დროზერა, ანუ ცვრიანა, და უფრო იშვიათად, ცხიმურა.

მწერიჭამია მცენარეთა შესწავლის შემდგომ ეტაპად ითვლება 1860 წელს ჩარლზ დარვინის მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოები. მართალია, დარვინის მოსაზრებებს განსაკუთრებული გამოხმაურება არ მოჰყოლია თავისი დროის მეცნიერებს შორის, მაგრამ ამ დიდი მკვლევრის ნაშრომები მწერიჭამია მცენარეთა შესახებ დღესაც მნიშვნელოვანია.

თემა – მცენარის უჩვეულო უნარი, იკვებოს ცოცხალი არსებებით – იმდენად არაორდინალურია, ხშირად გარეგნობითაც გამორჩეულ ამ ყვაილეებს სხვა გაზვიადებულ შესაძლებლობებსაც მიაწერდნენ, რომ სათქმელი უფრო საინტერესოდ ასახულიყო პროზაულ ნაწარმოებებში, მხატვრულ თუ ანიმაციურ ფილმებში, სარეკლამო რგოლებში, კომპიუტერულ თამაშებში.

მწერიჭამია მცენარეებით მეცნიერება დაინტერესდა XVIII ს.-ში. 1769 წელს ინგლისელმა ნატურალისტმა – ჯონ ელისმა მეგობრისადმი – კარლ ლინეისადმი გაგზავნილ წერილში პირველად აღწერა ბოტანიკურად ასეთი მცენარე – ეს იყო ვენერას მემატლია. ელისმა პირველმა აღნიშნა, რომ მცენარე იკვებება დაჭერილი მწერებითაც.

უფრო მოგვიანებით, 1782 წელს გერმანელმა ექიმმა როტმა აღწერა დროზერას, იგივე, ცვრიანას საცეცეთა მოძრაობის ტრაექტორია მწერებზე თავდასხმისას; განავითარა კიდეც ელისის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დაჭერილი უხერხემლოები ასეთ მცენარეთა საკვებად მიიჩნევა.



დროზერა (ცვრიანა)



ვენერას მემატლია, რომელიც უკვე ვახსენეთ და, რომელიც ყველაზე ცნობილი შხამიანი მწერიჭამია მცენარეა, გვხვდება ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილის ტორფიან ჭაობებში. ის იკვებება კოლოებითა და ობობასნარებით. ეს არის პატარა ზომის, 7-8 ფოთლიანი მცენარე. თითოეული ფოთოლი გაყოფილია ორ ნაწილად. ქვედა ნაწილი, ჩვეულებრივი ფოთლების მსგავსად, მცენარეს საკვებს აწვდის ჰაერიდან. მეორე, ზედა ნაწილი კი, სანადირო ორგანოა, რომლის კიდეებზე



განლაგებულია ბასრი კბილები. საინტერესოა, რომ ფოთლის ეს კბილებიანი ნაწილი შედგება ორი მოძრავი ნაკვეთისაგან. საკმარისია, რომელიმე ცოცხალი არსება ოდნავადაც შეეხოს მათ, რომ ნაკვეთები ამოძრავდებიან, იწყებენ შეერთებას, მათი კბილები კი ერთმანეთს გადაეჭდობა. რაც უფრო სწრაფად მოძრაობს მწერი, მით უფრო მჭიდროდ იხურება, ასე ვთქვათ, „სანადირო ხაფანგი“. ერთი უჩვეულო დეტალიც: საკვების გადამუშავებისა და შენთვის პროცესი გრძელდება ერთიდან სამ კვირამდე. შემდეგ ნაკვეთები ერთმანეთს შორდება და სანყისს, გაშლილ მდგომარეობას უბრუნდება. მაგრამ თუ ამ „კბილებიან ხაფანგს“ გავალიზიანებთ ამა თუ იმ საგნით, წვრილი ჩხირით ან ასანით, ნაკვეთები მაინც დაიხურება, თუმცა ამ შემთხვევაში მცენარე არ გამოყოფს საკვების მომწელებელ ნივთიერებას და ორნაკვეთიანი ფოთოლი მალევე იღება.



კალიფორნიული დარლინგტონია

**დროზერა**, იგივე, **ცვრიანა** ყველაზე გავრცელებული მწერიჭამია მცენარეა, 200-მდე სახეობით. მას შეხვდებით ყველა კონტინენტზე, ანტარქტიდის გარდა.

დროზერა მონითალო-მწვანე ფერის პატარა მცენარეა, რომელიც თითქმის 50 წელიწადი ცოცხლობს. მისთვის დამახასიათებელია მოძრავ-ჯირკვლოვანი საცეცები, წამწამიანი ფოთლებით, რომლებიც გამოყოფენ მბრწყინავ, ლორწოვან, მოტკბო ნივთიერებებს, რომელიც ცვარს ნააგავს (მეორე სახელწოდებაც – ცვრიანა აქედან წარმოდგება).

ცოცხალ არსებებს იზიდავს სწორედ მბრწყინავი წვეთი. როგორც კი მწერი დროზერას ერთ რომელიმე ნემსს შეეხება, ანუ, მიეკარება საცეცს (ის დაახლოებით 25-მდეა), სხვა საცეცებიც იწყებენ მოძრაობას, რათა მსხვერპლი ხაფანგში მოაქციონ. ამოძრავდება ფოთლის ფირფიტაც: მისი კიდეები იკეცება და მახუბი მომწყდურ მწერს ფარავს. მერე წამწამიანი ფოთოლი ისევ იშლება. მწერის ის ნაწილი კი, რომელსაც მცენარე ვერ აითვისებს, მიაქვს ქარს.

დროზერას მსგავსად, **ცხიმურას** ფოთლებიც (ზომებით უფრო დიდი) ხავსიან ზედაპირზეა გართხმული.

ცხიმურა იმიტომაც ჰქვია, რომ ფოთლების ლორწოვანი ფირფიტა ცხიმნასამულს ჰგავს.

ცხიმურა საკვებს უფრო სწრაფად ინელებს და იწოვს, ვიდრე დროზერა. 24 საათის შემდეგ ფოთლის კიდეები სწორდება. გავრცელებულია მისი 40-მდე სახეობა. გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში, ევროპასა და აზიაში.

**სარაცენია** და **კალიფორნიული დარლინგტონია** ჩრდილოეთ ამერიკის მწერიჭამია მცენარეებია. საინტერესოა, რომ მათი ფოთლების ყუნწები გარდაქმნილია მილებად. აქ გამოყოფილი სითხე საკვების მომწელებელ ფერმენტებს არ შეიცავს; მაგრამ დამხრჩვალ მწერები მილში მყოფ სითხეში იხრწნებიან, გახრწნილ პროდუქტებს კი მილის კედლები ისრუტავს.



ბუშტისებრი ალდროვანდა

სარაცენიის შხამიანი ფოთლების ფერი და სუნი, აგრეთვე, დოქის ფორმის პირლია მახე, იზიდავს მწერებს.

მცენარის ძაბრისებრ ფოთოლს თითქოს წამოცმული აქვს კაპიუშონი, წვიმის წვეთებისგან დასაცავად. მწერებს იზიდავს ყვავილის ფერი, სუნი და გამოყოფილი წვენი – ნექტარი. ყვავილის სრიალა ზედაპირი და ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც ნექტარი შეიცავს, მწერებს აბრუებს და ისინი ვარდებიან ყვავილის შუაგულში არსებულ ხვრელში.

**ბუშტისებრი ალდროვანდა** – ეს ჭაობის ულამაზესი უფესვო მწერიჭამია მცენარეა. როგორც წესი, იკვებება წყლის უმარტივესი ხერხემლიანებით, იჭერს რა მათ სატყუარა ხაფანგით. უფესვო მცენარე თავისუფლად ტივტივებს წყალზე, დაედებს რა თავის მსხვერპლს. სატყუარა შედგება ყვავილის ორი ნახევრისაგან, რომელიც მასში მწერის მოხვედრისთანავე იხურება. დახურვის სისწრაფეა ერთი მემილიონედი წამი, რაც ითვლება ყველაზე სწრაფ მოძრაობად ცოცხალ ბუნებაში.

**გველისეას** 21-მდე სახეობა არსებობს და იზრდება აფრიკის, სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის წყლიან და ჭაობიან ადგილებში. ყვითელყვავილებიან ბალახოვან მცენარეს აქვს კიბორჩხალის მაგვარი მარწუხები. ამ ხაფანგში მოხვედრა იოლია, მისგან თავის დაღწევა კი შეუძლებელი (იქ არსებული მრავალსახოვანი ძაფებისა და აბლაბუდების გამო).

**ბიბლისი**, ანუ **ცისარტყელასებრი** მცენარე გავრცელებულია ავსტრალიაში. სახელწოდება მცენარემ მიიღო მის მიერ გამოყოფილი ლორწოს შეფერილობის გამო, რომელიც მზის სხივებზე მიმზიდველ, ცისარტყელასებრ ელვარებას იძენს.

**P.S.** მწეიჭამია მცენახეებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გახეობა: ხომ ახვ ერთ ამ ყვავილს ახ დაუახგავს ბუნებრივი თვისება, იკვებოს წინაგვიდან და ჰაჰიდან მიღებული ახაოხგანელი ნივთიეხებით. ბუნებრივია ერთხვა: ხაჰომ გაუჩნდა ამ მცენახეებს დამაყებითი ოხგანელი საკვების მიღების მოთხოვნილება?

ხოგოხც გამოიხვვა, ყველა მწეიჭამია მცენახე ცხოვრობს კოხიდან ჭაობში, წყალსაცავებსა და ქვიშახეებზე. ასეთი ადგილები ლაიბია მიწეხაღეხი ნივთიეხეებით, ხასაც საკმაიხის ხაოღენობით ვეი იღებს ჭაობისა თუ ქვიშახის მცენახე.

ეს ახის ძიხითადი მიზეზი იმისა, ხომ მცენახეებს განუვითახდათ ცხოველეხი (ოხგანელი) საკვების მოჰოვების უნახი.



ცისარტყელასებრი ბიბლისი



**კონსტანტინე გუნია**

გაგეილი ჯონსტანტინე გუნია ჰიოფესიით იუჯისტიკა, სამახითაღმცოდნე, საქათველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრიც. წლების მანძილზე სოხუმის უნივერსიტეტსა და საქათველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჯითხელობდა ლექციების ეჯისს.

ძალზე საინტეჯესო ჰუბლიკაციამო «იუზო და მისი ბიჭები» აღწეილია, თუ იოგოი იწყებოდა საფეხბუთო ცხოვება მის მშობლიუი გაგაში; და ქუჩის ფეხბუთის მოთამაშე ჰატახა ბიჭები, «დაუმეავებელი აღმასები» (ავსოხის თქმით), იოგოი აქცია «ბილიანტებად» ეთობა უნიჭიესმა მწეითნემა, ღიმა ჰიოფენებამ და ფეხბუთზე ესახუოი შეევახებემა იუზო შახტავამ.

ჩვენს თვანინ ცოცხლება საოცახი ეაღები - ღი მწვანე ველებ (იომელიც მეე ღი სტადიონად იქცა) სასუე მხეესტის თანხლებით (ფეინის ფიღების მსგავსად) იოგოი თამაშობენ ფეხბუთის სხვადასხვა ასაქისა და ეხოვნების ბიჭები; და მეე, ოღღში გახვითქელები, გასაგიღებლად ჰიღაჰი ზღვამი ეშვებიან. სწოხე «იუზოს ბიჭებიდან», იოგოი მამინ ბატონი იუზო შახტავას აღსახეღებებს ეძახდენ, გაიზახდენ და ეახთუღ

ფეხბუთის შეემანენ «ოქროს ბიჭები»: ვლდიმეე ბახუია, გიოგი სიჭინავა და გოჩა გავაშელი.

ჯონსტანტინე გუნია სამახიღიანად თვის, იომ თუ ღლეს ეახთუღ ფეხბუთის უჭის, აფხაზეთის ტახაღეის ბიღიცაა; ხადგანაც მოიშაღა ეთ-ეთი მთავახი - გაგისა და ლესეიდის საფეხბუთო ბაზები, იომელიც ბიწინვლე ფეხბუთებებს აფითანებდა.

## **რეზო და მისი ბიჭები**

### **„ქართულ ბრაზილიელთა“ უკომპიუტერო ბავშვობა**

**კონსტანტინე გუნია**

ფეხბუთი ფეხბუთზე და, ზოგადად, სპორტზე რომ გაცილებით მეტია, ეს ყველასათვის ცნობილია, მისი ერთმნიშვნელოვანი განმარტება კი – დღემდე უცნობი.

ერთისთვის ფეხბუთი ცალკე სახელმწიფოა – თავისი ხელისუფლებით, კანონებითა და იდეოლოგიით, მეორისთვის იგი წარმოდგენა, ლამაზი სანახაობა, ან, სულაც, ემოციებით დატვირთული დრამა და ნამდვილი სპექტაკლია. ზოგისთვის კი ფეხბუთი საერთოდ ამოუცნობი ფენომენია, რომელსაც ვერავინ ვერ ხსნის. მათ შორის, ვერც მასზე თავდავიწყებამდე შეყვარებული ადამიანიც. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ფეხბუთს ადამიანებზე ძლიერი ზემოქმედების ძალა აქვს და, ფანატიზმსაც თუ გამოვრიცხავთ, მას მოზარდის კეთილშობილ პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი როლი აკისრია.

ფეხბუთს გაგრაში ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა. მართალია, ქართული ფეხბუთის აკვანი ქალაქი ფოთია, მაგრამ აფხაზეთის ქალაქებს და, მათ შორის, გაგრას, უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტის განვითარების საქმეში.

...ჩემი სახლიდან ხელისგულივით მოჩანდა სტადიონი – ფეხბუთზე უზომოდ შეყვარებული გაგრელი ბიჭების ეს ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი, საიდანაც, თამაშით დაღლილ-გახვითქულები, იქვე, ორ ნაბიჯზე, ზღვაში გადაეშვებოდით და გვაიწყებოდა ყველაფერი – გადატყავებული მუხლები, მოგების სიხარული, ნაგების სიმწარე და თამაშისას „აგორებული“ კამათის გაგრძელებაც.

**ზღვა და ფეხბუთი – ჩვენი „უკომპიუტერო“ ბავშვობის ეს ორი განუყოფელი ნაწილი, ურომლისოდაც ცხოვრება ვერ წარმოგვედგინა. ზღვა გვზრდიდა, ფეხბუთი გვავაჟკაცებდა. ვეჯიბებოდით ქუჩა ქუჩას, კლასი – კლასს, სკოლა – სკოლას და არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქართველი იყავი, აფხაზი, რუსი, სომეხი თუ ებრაელი... ერთმანეთს ხელიდან ვართმევდით სახლიდან გამოტანილ კარაქიან პურს და გოლის გატანასთან ერთად, ძმობას, მეზობლობას, მეგობრობასა და ერთმანეთის „გატანასაც“ ვსწავლობდით. შეიძლება, ვცდები, მაგრამ, მაინც მგონია, რომ დღევანდელ, ინტერნეტმანიით შეპყრობილ ახალგაზრდებს სწორედ ეს აკლია – ქუჩის ფეხბუთით მიღებული ხიბლი და ღირსება, ისევე, როგორც ქუჩის ფეხბუთი აკლია დიდ სპორტს, დიდ ფეხბუთს.**

იყო დრო, როცა ქართველ ფეხბურთელებს „საბჭოთა ბრაზილიელებს“ ეძახდნენ. აფხაზეთში „გამობრძმეილი“ ფეხბურთელები წარმატებით თამაშობდნენ მოსკოვის, კიევის, ტამპენტის, როსტოვისა და სხვა ქალაქების წამყვან გუნდებში.

ღლეს თუ ქართული ფეხბუთი სავალალო მდგომარეობაშია, ამის ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, აფხაზეთის ტრაგედიაცაა. ქალაქები – სოხუმი, ოჩამჩირე, გაგრა, გუდაუთა ფეხბუთის საუკეთესო ტალანტების „მომწოდებლები“ იყვნენ ქვეყნის მთავარი გუნდების – თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოსათვის“.

## **იმ მწვანე ველიდან**



გაგრის პატარ-პატარა ქუჩებიდან დაიწყო ქართული ფეხბუთის ვარსკვლავების, „ოქროს ბიჭებად“ წოდებული ვლადიმერ (სიომა) ბარქიას, გიორგი სიჭინავას (ჩორნი), გოჩა გავაშელის დიდი საფეხბუთო კარიერა, ისევე, როგორც სხვა ცნობილი გაგრელი ფეხბურთელების – ვლადიმერ შელიას, ომარ წონორიას, ვიქტორ გეტმანოვისა და სხვების.

ნათქვამია, კეთილშობილი აღმასი ბრილიანტი ვერ გახდება, თუ იგი სათანადო ტექნოლოგიით არ



დამუშავდაო. ასევე, გაგრელ „ქუჩის ფეხბურთელებსაც“, როგორც ოსტატურადაც არ უნდა ეთამაშათ და როგორი საფეხბურთო აზროვნებაც არ უნდა ჰქონოდათ, დიდი ფეხბურთელები მაინც ვერ გახდებოდნენ, გამოცდილ თვალს რომ არ შეემჩნია და ბიჭების სტიქიური თამაშები მკაცრი, პროფესიული ვარჯიშების ყალიბში არ მოექცია.

ასეთი, ფეხბურთის მოყვარულ ბიჭებზე ჩადარაჯებული „თვალი“ კი, გაგრამი რევაზ (რეზო) შარტავა იყო – ყველა გაგრელისა და იმ პერიოდის საქართველოს საფეხბურთო წრეებში კარგად ცნობილი უკეთილშობილესი პიროვნება, გაგრის საფეხბურთო კლუბის, ფეხბურთის ფედერაციის უცვლელი ხელმძღვანელი და მომავალი „ოქოს ბიჭების“ პირველი მწვრთნელი.

ქართული ფეხბურთის ისტორიაში „ფეხბურთის არისტოკრატისა“ და „ქართველი ბრაზილიელის“ სახელებით დამკვიდრებული ვლადიმერ ბარქაია ასე იხსენებს თავის პირველ მწვრთნელსა და მასწავლებელს: „გაგრის საფეხბურთო სკოლაში, რომელსაც რეზო შარტავა ხელმძღვანელობდა, ჩვენს უსისტიემო სირბილს ორგანიზებული ხასიათი მიეცა, დავსერიოზულდით და ფეხბურთსაც სხვა თვალთ შევხედეთ. რეზო ჩვენთვის უფროსი ძმა იყო, რეზო, რომელსაც ყველაფერში ვბაძავდით. სიტყვით ბევრს არაფერს გეტყოდა, თუმცა, მისი თითოეული მოქმედება და შესტი „გვეუბნებოდა“ – „გაკეთე ისე, როგორც მე ვაკეთებ“. ცხოვრებისეულ გაკვეთილებსაც გვიტარებდა – პირველ ადგილზე ყოველთვის ოჯახს აყენებდა... რეზოს დედა, ქალბატონი ანტონინა თითოეული ჩვენგანის დედაც იყო. ვარჯიშით დაღლილებსა და რეზოსგან „განამებულებს“ ამ ერთსულოვან ოჯახში, სადაც ყოველთვის სუფრა იყო გაშლილი, სითბო, სიყვარული და ტკბილეულობა გველოდებოდა. ახლა, როდესაც ჩემ მიერ განვლილ გზას ვაკვირდები, ვხედავ, რამდენი რამ მიკეთებია ჩემი პირველი მწვრთნელის მიბაძვითა და შეგონებებით, როგორც სპორტში, ასევე, ყოფით ცხოვრებაში“.



(შუაში) რეზო შარტავა, (მარცხნივ) გოჩა გავაშელი, (მარჯვნივ) გიორგი სიჭინავა

თავად რეზოს ინტერესიც ფეხბურთისადმი ადრეული ბავშვობიდან დაიწყო.

იმ პერიოდისათვის გაგრამი ფეხბურთი უკვე ძალზე პოპულარული იყო – არსებობდა 5 გუნდი: „ავტომობილი“, „დინამო“, „განთიადი“, „ტენდი“ და „სიხარული“. ეს უკანასკნელი ამავე სახელწოდების კოლმეურნეობას ეკუთვნოდა. ცნობილია, რომ გუნდ „სიხარულის“ თამაშისას, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ძირძველ გაგრელ ავქსენტი ლურწკაიას, კოლმეურნეებთან ერთად სასულე ორკესტრიც მოჰყავდა ფეხბურთელთა მხარდასაჭერად. „როდესაც „სიხარულის“ ფეხბურთელები გოლს გაიტანდნენ, სასულე ორკესტრი, თურმე, მთელი ხმით გუგუნებდა.

ქალაქს მაშინ სტადიონი არ ჰქონდა და ფეხბურთი ერთ უბრალო, მწვანე ველზე იმართებოდა.

გავა წლები და რეზო ამ „მწვანე ველს“ ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ საფეხბურთო მოედნად აქცევს – სამი ათას მაყურებელზე გათვლილი სტადიონით, სარბენი ბილიკებით, საწვრთნელი ბაზით, გასახდელებით, საშხაპეებით, მოწვეული გუნდებისათვის დასასვენებელი ოთახებით...

## ბურთების ქურდები...

გაგრამი საწვრთნელად ჩამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის წამყვანი საფეხბურთო კლუბები, იმართებოდა საკონტროლო თამაშები. რეზო ყურადღებით ადევნებდა თვალს წარმატებული გუნდების ვარჯიშებს და მათ ილიეთებს შემდეგ თავის ბიჭებს ასწავლიდა.

„ახლაც მშვენივრად მახსოვს 1945 წელი, როცა მოსკოვის „დინამო“ მოსამზადებლად ინგლისიდან გაგრამი ჩამოვიდა. მაშინ პირველად ვნახე ლეგენდარული ფეხბურთელები – კონსტანტინ ბესკოვი, ალექსეი ხომიჩი, ტროფიმოვი, კარცევი... მათმა ვარჯიშმა და თამაშმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. იმ დროს უკვე გადაწყვეტილი მქონდა ფეხბურთელობა, მათი ნახვის შემდეგ კი სხვა რამეზე აღარც ვფიქრობდი“, – იხსენებს ვლადიმერ ბარქაია.

...გაგრელ ბიჭებს, თურმე, ერთი მავნე ჩვევა ჰქონდათ – ჩამოსულ გუნდებს ბურთებს ჰპარავდნენ. ეს ფაქტი მწვრთნელს, რა თქმა უნდა, არ გამოპარვია; მაგრამ ვითომ „ვერ ამჩნევდა“ – მას სურდა, ფეხბურთის მოყვარულ უკლებლივ ყველა ბავშვს ჰქონოდა საკუთარი ტყავის ბურთი, რომლის შეძენა ბევრს არ შეეძლო.

ბურთების მოპარვით გულშემოყრილ კივიის „დინამოს“ ადმინისტრატორს ერთხელაც რეზოსთვის უთხოვია, ოღონდაც ბიჭები ბურთებს ნუ მოგვპარავენ და წვრთნების ბოლოს 20 ბურთსა და ფეხბურთის ფორმების მთელ კომპლექტს დაგიტოვებთო.

შემდეგ რეზო იხსენებდა – კივიის „დინამოს“, ჩემი თხოვნით, ბიჭები, რა თქმა უნდა, შეეშვნენ, მაგრამ შემდეგ მოსკოვის „დინამო“ ამოიღეს მიზანშიო.



რეზო შარტავა თავის აღსაზრდელებთან („ოქოს ბიჭების“ შემდგომი თაობა). 1965 წ.



ამ ცნობილ ფოტოს ვლადიმერ ბარქაიას (შუაში) „სახელობის პლაჟი“ უწოდეს (მინდორში განოლილი 3 ბელგიელი მცველის გამო). თბილისის სტადიონი

## ინტელექტუალური ფეხბურთელის „პლაჟი“

გადიოდა წლები. გაგრეელი მოყვარული ფეხბურთელები, ანუ რეზოს ბიჭები, სულ უფრო და უფრო ინვრთნებოდნენ. წარმატებულთა შორის პირველი იყო ვლადიმერ ბარქაია, რომელიც თანატოლთაგან დისციპლინით, ერუდიციით, მოსწრებული სიტყვა-პასუხითა და იუმორით გამოიჩინა. მისი პირველი მწვრთნელის სიტყვებით, „დღედაღამ ბურთთან იყო, ტექნიკაზე მუშაობდა, წიგნის კითხვასთან ერთად, თამაშის კითხვაც უყვარდა, ინტელექტუალურ ფეხბურთს თამაშობდა“.

გავრილ კაჩალინი, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი, უკვე სპორტის დიდ არენაზე გამოსულ ვლადიმერ ბარქაიაზე ამბობდა, **ბრაზილიური იმპროვიზაციის საოცარი უნარი გააჩნიაო.** უფრო მოგვიანებით კი ნოდარ ახალკაცი გაგრის საფეხბურთო სკოლის ყოფილ აღსაზრდელზე იტყვის: **„ბარქაია ოცდამეერთე საუკუნის ფეხბურთს თამაშობდა“.**

დიდი ფეხბურთის ასპარეზზე თავის პირველ გამოსვლას ვლადიმერ ბარქაია ასე იხსენებს: „მოედანზე რომ გავედი და ტრიბუნაზე ამდენი გულშემატკივარი ვნახე, ჩემთვის გავიფიქრე: არც ფეხბურთი მინდა, არც არაფერი, ოღონდ აქედან წამიყვანა და ფეხბურთს საერთოდ არ გავეკარები-მეთქი... შემოვტრიალდი და გასახდელისკენ წავედი. მახსოვს, ვლადიმერ მარლანიამ დამინახა, დამიჭირა და უკან მომბარუნა“.

თავდაპირველად ვლადიმერ ბარქაია საქართველოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა. იმ პერიოდში ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ზურაბ სოტკილავა იყო. საინტერესოა ვლადიმერ ბარქაიას მოგონებაც ცნობილ საოპერო მომღერალთან დაკავშირებით: „ერთხელ სოტკილავამ, რომელიც თითქმის სულ მღეროდა, დინამოელ მიშა პირავეს სთხოვა, ჩემი ხმა მაგნიტოფონზე ჩაინერეო, რაზეც გაკვირვებულმა პირავემა უპასუხა, ესლა მაკლიაო. ზურამ შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მიატოვა, კონსერვატორიაში ჩააბარა და ამის შესახებ არავის არაფერი უთხრა; იმ პერიოდში ახალგაზრდებისთვის და, მით უფრო, ბიჭებისთვის, კონსერვატორიაში სწავლა და ნოტებით სიარული პრესტიჟულად არ ითვლებოდა. ერთხელ, როდესაც ერთი-ერთი მეგობრის სახლში ვიყავით შეკრებილები, მაგნიტოფონი ჩართეს და ოპერის მომღერლის საოცარი ხმა მომასმენინეს. აღფრთოვანებული ვუსმენდი... მასპინძლებმა მკითხეს, გამოიცანი, ვინ მღერისო. მე მხრები ავიჩეჩე, ზურას კი ელიმებოდა... გაოგნებული დავრჩი, როდესაც მითხრეს, სოტკილავა მღერისო“.

## პელეს მაისური გაგრაში

რეზოს ბიჭებს სულ უფრო და უფრო სერიოზულად აკვირდებოდნენ ქვეყნის პროფესიონალი მწვრთნელები, ინვესტორები საბჭოთა კავშირის წამყვანი გუნდები. საგულისხმოა იმ პერიოდში გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნებული სტატია სათაურით „გაგრის კონვეიერი ამუშავდა“.

რეზო, მიუხედავად იმისა, რომ უძნელდებოდა საკუთარ აღსაზრდელებთან განშორებას, ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათ დიდ ფეხბურთში, ანუ წამყვან საფეხბურთო კლუბებში გადასვლას.

საინტერესოა ამის შესახებ იური გვაზავას, გაგრის სპორტული სკოლის აღსაზრდელის მოგონება: „უმაღლესი

ლიგის გუნდებს შორის ერთ-ერთი თამაშის დროს გაგრის სტადიონზე ერთმანეთს ხვდებოდნენ კიევის „დინამო“ და მინსკის „დინამო“. ტაიმებს შორის, შესვენებისას, კიეველთა მწვრთნელმა სთხოვა რეზოს, შემდეგი ტაიმისთვის მიეცა რომელიმე ადგილობრივი ფეხბურთელი ტრავმირებული კიეველის ნაცვლად. არჩევანი ჩორნიზე, ანუ გიორგი სიჭინავაზე შეჩერდა. „ჩორნი, წადი კიეველთა გასახდელში და ითამაშე“, – უთხრა რეზომ.

გიორგიმ ისეთი ოსტატობა გამოავლინა და ისე შეხმატკბილებულად ითამაშა კიეველებთან, თითქოს მათთან დიდი ხნის ნავარჯიშევი ყოფილიყო. მატჩის დასასრულს კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ მას საცხოვრებლად უკრაინაში გადასვლა სთხოვა და ყველანაირ სიკეთეს შეჰპირდა. რეზომ, რომელიც ამ დროს თბილისის „დინამოს“



მარცხნიდან: გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ კავაზაშვილი და მიხეილ მესხი



ხელმძღვანელთა შორიხლოს იდგა, ყვირილი მორთო:

- გვიშველეთ, გვიშველეთ, გვძარცავენ, გვძარცავენ!
- ვინ გძარცვავს, რეზო? - შეეკითხა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი.
- მე კი არა, საქართველოს ძარცვავენ, საქართველოს, გიორგი სიჭინავას კიევში

ნაყვანა უნდათ!..

...ასე მოხვდა გიორგი სიჭინავა თბილისის „დინამოში“ (ძირითად შემადგენლობაში 17 წლიდან თამაშობდა).

გიორგი სიჭინავა იყო პელებს პერსონალური მცველი ბრაზილიასთან ამხანაგური თამაშის დროს; ფეხდაფეხ დასდევდა მას, საკუთარი თამაში ავინყდებოდა და ბრაზილიელთა ლიდერის ფინტებით იხიბლებოდა.

მატჩის შემდეგ პელებ და გიორგი სიჭინავამ მაისურები გაცვალეს...

ასე მოხვდა პელებს მაისური გაგრაში.

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეშიც იქნებოდა მაშინ რეზო შარტავა... ფეხბურთის მეფესთან „მოპაექრე“ სულ რაღაც რამდენიმე ქართველიდან ორი გაგრელი იყო - მის ხელში გაზრდილი ბიჭები.

ამ ამხანაგური მატჩის შესახებ ვლადიმერ ბარქაიას ნაამბობიდან საინტერესოა ერთი დეტალიც: „თამაშის წინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მოროზოვმა გვითხრა, ბრაზილიელებთან მატჩი ჩვენ არ უნდა მოვიგოთო. როდესაც ივანოვმა ჰკითხა, რატომო, მწვრთნელმა უპასუხა, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედლების მოპოვებას მომთხოვენ და იმიტომო“.

სამწუხაროა, რომ იმ ცნობილ ფოტოზე, სადაც პელებ, გიორგი სიჭინავა, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და ანზორ კავაზაშვილი არიან, ვერ მოხვდა ვლადიმერ ბარქაია, რომელიც მატჩის დამთავრებამდე, 15 წუთით ადრე, გავიდა მოედნიდან.



გორჩა გავაშელი

### კიდევ ერთი „პროვინციელი“

ამასობაში კი რეზო გაგრაში „ასაფრენად“ კიდევ ერთს ამზადებს - გორჩა გავაშელს, რომელიც შემდეგ თბილისის „დინამოს“ ცნობილი თავდამსხმელი გახდა.

...გორჩა რეზომ გაგრიდან თვითონ ჩამოიყვანა თბილისში. მეორე დღესვე შეამონმნეს: ძირითად შემადგენლობასთან ერთად ათამაშეს ხარკოვის „ლოკომოტივთან“. გორჩამ იმ დღეს საოცრება მოახდინა - ხუთიდან სამი გოლი გაიტანა; თუმცა, მატჩის დამთავრების შემდეგ დარჩენა არავის შეუთავაზებია და გულდანყვეტილ რეზოს გორჩასთვის უთქვამს, არა უშავს, დავბრუნდეთ გაგრაში, მოვა დრო და აქეთ შეგვეხვეწებინო.

მატარებლამდე დრო ჰქონდათ და კალათბურთის მატჩზე აუღიათ ბილეთები. შუა თამაშიდან გამოუყვანია ერთ-ერთ დინამოელს, დავილალე თქვენს ძებნაში, სად გაიქეციო, მწვრთნელი გაგიჟებულია გორჩას თამაშით და გეძებო.

ასე გაილო დიდი ფეხბურთის კარები რეზოს კიდევ ერთი აღსაზრდელისთვის, რომელმაც 1968 წლის საკავშირო პირველობაზე გატანილი 22 გოლით საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ბომბარდირის სახელი დაიმკვიდრა. სპორტის ოსტატის სახელიც ამის შემდეგ მიენიჭა გორჩა გავაშელს.

P.S. ...იუზო შახტავამ სიცოცხლის უკანასკნელი წლები მოსკოვში გაატარა. მეგობრების დაინებელი თხოვნით, საკუთარი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დეტალებს თავი მოუყარა და ერთ ჰაჟახა ნიგში მოაქცია, სიმბოლური სათაქით, «ჩემი სიმდიხე».

იუზო შახტავას სიმდიხე ჯი სხვა ახაფეხია, თუ ახა მალაღი ჰხოფესიონალიზმი, საქმისადმი ჯიფელება, საკუთარი ოჯახის, ქალქის, მეგობრების, უპიჯელებსა ჯი, ჯვეყნისათვის გაღებული და ასმაგად უკანვე დაბეხებული სიყვარული.

იუზო შახტავას მსგავსი ჰხოფესიონალები ჯმნიან უპოქას, განუჩრეველად იმისა, სადაა მათი მოქმედების ახელი - ჰაჟახა, ჰხოვინციელ ქალქში თუ დიდი ფეხბურთის მსოფლიო ახენახე.



საკავშირო ახალგაზრდული ნაკრები. (მარჯვნიდან პირველი): კაპიტანი ზურაბ სოტკილავა



შოლომ ალექსიძე

ცნობილ ებრაელ მწეხარსა და ეხამატეხს - შოლომ ალექსიძეს ებრაელ მახე ტვენს ეძახიან. მაგჩამ ხოგოხე მახე ტვენთან პიხადე შეხვედრის ეხოს მწეხარმა აღნიშნა, ის თავს მიიჩნევს აშეხიეელ შოლომ ალექსიძემად.

შოლომონ ნაემოვიჩი (ეს მისი ნამდვილი სახელი და გვარია; შოლომ ალექსიძე სიტყვასიტყვით ნიშნავს - «მშვიდობა თქვენდა») დაიბადა 1859 წელს ხუსეთში, ეუქსოდ, პოლტავის გუბერნიამი. ცხოვრობდა ოდესამის, ეიევში (1998 წელს ეიევში მის საცხოვრებელ სახლზე გააჩხეს მემოხილეხი დაფა, მწეხლის ბიუსტი; ძებლი დაედეს მოსკოვში; აქვე გამოსცეს მისი ნაწახმოებების ექსტომეული).

1905 წელს ებრაელების მასობრივი დახვევის გამო მწეხალი გადადის შვეიცარიამი, შემდეგ გერმანიამი, დანიამი. პიხველი მსოფლიო ომის დანყებისთანავე შოლომ ალექსიძე ეუვე აშშ-ია. იგი გახდაიყვანა ტუბეხელოზით, 1916 წელს, ნიუ-იოხში.

«გელეხევილო ბიქენას ფიქეები» დანეხილია 1903 წელს.

პატაქ-პატაქა ამბებად მოყოლილი ისტოიები, ხასაც დღეს ვაქეყენებთ, ეხთი სათქმელია, გამოუსწოხებელი მეოცნებე ემანვილის სულს ხომ ასე აფოხიქებს; ყოვედლიუხომა მისთვის მყაცხი ეუალობაა, ხომელიც ტეივა, ხომელსაც მედამ აპოტეკსებს; მაგჩამ, სამწეხაჲოდ, ამ ესამაჲთლო სამყახოში ის ჯეი ძალზე ემწიფეხია, მოეზადებელია, სამყახოში, სადაც ეეხადეხს ცვლის, სადაც ახავინაა მისი მოსახრე, გამგები.

### გულუზრევილო შიჭუნას ფიქრები

შოლომ ალექსიძე

თარგმნა დალი მუხანაძე

- შენ კარგი ბიჭი რომ იყო, სანამ ჩვენ წმინდა დღისთვის თევზს მოვამზადებთ, მოგვემარებოდი პირშუშას დაჭრაში!

ასე მეუბნება დედა და თან დამხმარე ქალთან ერთად თევზს ასუფთავებს.

თევზი ისევე ცოცხალია, ფართხალეებს. როცა ის დიდ, წყლით სავსე თიხის ჯამში გადააქვთ, უფრო ძლიერად ფართხალეებს და ჯამის კიდეებს საცოდავად ენარცხება.

ყველაზე ყოჩალი მაინც პატარა კარჩხანაა - წითელთვალეება, ფუმფულამუცლიანი, ერთი ბენო პირით. მათლაფას კედლებს აქეთ-იქით აწყდება და თითქოს მთხოვს:

- ბიჭუნა, მიშველე, მიშველე!

მე კი ვხეხავ პირშუშას და ვფიქრობ:

- საცოდავო თევზო, ვერაფრით გეხმარები, რა ექნა?! ახლა ხელებში მოგაქცევენ, დაგჭრიან, დაგამარილებენ, მერე ან ქვაბში მოგხარშავენ, ან დაგადებენ ტაფაზე...

- ცოდოა, - ვეუბნები დედას, - ცოდოები არიან!

- ვინ გეცოდება?

- თევზები.

- ვინ გითხრა?

- რებემ.

რებე დამხმარე ქალს ჰქვია. ის და დედა სიცილით კვდებიან.

- შტერიც და სულელიც ხარ, რებე კი შენზე შტერია! ხა, ხა, ხა! მიდი, დროზე, დროზე გახეხე ეგ პირშუშა!

მე რომ სულელი ვარ, ეგ უკვე ვიცი. დედაც, მამაც, დებიც და ძმებიც ხშირად მიმეორებენ ამას, მაგრამ რებე თუ ჩემზე სულელი იყო, პირველად ახლა გავიგე!



ერთი ამხანაგი მყავს, პინელე, ყასაბის შვილია.

ერთხელ მასთან მივედი და რას ვხედავ: ვილაც გოგონას მოუყვანია დიდი, თვალეზბრილა, პოლანდიური მამალი დასაკლავად. მამალი მძლავრად იქნევეს შეკრულ ფეხებს, კორტნის გოგონას და ამაყად „გაიძახის“, კო, კო, კო. გოგონა უყვირის, რა დღეში ხარ, შენი სუსი არ გავიგო! მეტი რა გზა აქვს მამალს და ისიც ნებდება.

პინელეს მამა წარმოსთქვამს ლოცვებს და ამის შემდეგ დასაკლავად მიჰყავს მამალი.

- პინელე, - ვეუბნები ჩემს ამხანაგს, - მამაშენი ავაზაკია!

- ვითომ რატომ?

- არ ეცოდება ცოცხალი არსება და იმიტომ!

- ააა, არ ვიცოდი, თუ ასეთი ჭკუის კოლოფა იყავი! - მპასუხობს ჩემი ამხანაგი და ცხვირწინ მუშტს მიღერებს.



ჩვენი მზარეული ცალი თვალთ ბრმაა. მას ფრუმა-ბრუციანს ეძახიან. ძალიან ბოროტი, უგულო ქალია. ერთხელ კატა ჭინჭრით იმიტომ გაროზგა, რომ მოეჩვენა, თითქოს საბრალლო არსებამ ქათმის ღვიძლი მოპარა. მერე საგულდაგულოდ დათვალა დაკლული ქათმები და მიხვდა, რომ შეცდა.

მაგრამ, რა? არაფერი! გგონიათ, ინაღვლა, რომ საცოდავი კატა დასუსხა, ან გგონიათ, მოუბოდიშა უდანაშაულო დამნაშავეს? არაფერიც! ყველაფერი მალევე გადაავიწყდა.

თუმცა კატასაც არაფერი გახსენებია, ორი საათის მერე ისე გემრიელად ილუკებოდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. ესეც შენი კატური მეხსიერება!

მაგრამ მე ვერ დავივიწყე ის წუთები. მივედი და პირში მივახალე ბრუციან ფრუმას:

- ტყუილად როგორ დასაჯე კატა, ცოდო არ არის? სულიერი და ცოცხალი უნდა გებრალეოდეს! ღმერთი დაგსჯის ამისთვის!
- მომწყდი თავიდან, თორემ წამოვიდა ტაფა თავში! - მიყვირის ფრუმა და თან ბურღღუნებს:
- ღმერთო, ამ ქვეყანაზე საიდან მოდიან ასეთი სულელი ბავშვები?!



ეს ძაღლის გამო მოხდა. ის საბრალლო ცხელი წყლით დაფუფქა ისევ იმ ფრუმა-ბრუციანმა.

ო, როგორ იტანჯებოდა სანყალი ცხოველი, ყმუოდა, ილოკავდა ბენვს და სანყალობლად კვნესოდა. ირგვლივ კი ხალხი შეგროვილიყო და სეირს მხიარულად უყურებდა.

გული მომიკვდა, ძაღლს მივუახლოვდი. მინდოდა, მივფერებოდი, მაგრამ ის საცოდავი, ძალზე დაფეთებული, ჩემგანაც გაიქცა.

- რა ქნას, - გავიფიქრე, - ძაღლია, მან ხომ არ იცის, როგორ მეცოდება თითოეული სულიერი.
- როცა ძაღლს საშველად გავეკიდე, მამამ დამინახა და დამიყვირა:
- ჩქარა სახლში, შე, მწამებელი, საძაგელო!
- კიდევ მე ვარ მწამებელი?!

ეს ამბავი კი ორი ჩიტის გამო მოხდა. ბიჭებმა ისინი შურდულით მოკლეს. ერთი ბიჭი მეორეზე ცოტათი უფროსი იყო. მოკლედ, უმწეო ფრინველები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, როცა სათითაოდ მიწაზე ჩამოცვივდნენ. მობუზულიყვნენ და ფრთები უკანკალებდათ.

ვერ მოვითმინე, მივვარდი და მთელი ძალით დავიყვირე:

- რას აკეთებთ, რას?! რახან უბრალლო ბელურაა, უნდა მოკლათ?! არ გებრალებათ?!

ბიჭებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს და თითქოს წინასწარ მოილაპარაკესო, მეცნენ და კარგად მიმპერტყეს.

სახლში მამამაც დამიმატა. მაინც ვერ გავიგე, როზგები მე რისთვის მომხვდა!

ჰო, რისთვის მცემეს?

რაბინიც ხომ გვეუბნება, რომ ყველანაირი ქმნილება, ამ ქვეყნის სულიერი, ძვირფასია უფლისთვის. ბუზის მოკვლაც არ შეიძლება, რადგან ის ცოცხალი არსებაა და უნდა გიყვარდეს. არ უნდა მოკლა არც ობობა, არც მტაცებელი ცხოველი. ღმერთს რომ უნდოდეს, თვითონვე მოკლავდა, გვიხსნის რაბინი.

მე კი ვკითხულობ და მიპასუხებთ:

- ასე თუა, რატომ ხოცავენ ხბოებს, ცხვრებს, ბატკნებს, ქათმებს, ძროხებს? არა მხოლოდ ცხოველებს, ადამიანები ერთმანეთსაც არ ინდობენ! რატომ? რატომ?



# მუსიკალური საკრავები ქართულ თქმულებებში და ლეგენდებში

ქეთევან ბაიაშვილი



ქეთევან ბაიაშვილი

ქართული ხალხური სიმღერისა და საჩხავეების მუზეუმი, სიმღერებსა და საჩხავეებთან ერთად, ინახავს ბევრ დოკუმენტურ მასალას. ქართველთა ამ უდიდესი განძის შესახებ ხალხის მესხიეებას ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეული და ლეგენდებზე შემოხრენილი მეტად საგულისხმო ცოდნა შემოუნახავს. ჩვენამდე მოღწეულ ლეგენდებსა და თქმულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური მუსიკის შესწავლისათვის. ისინი ხშირად, ისტორიულ წყაროს უტოდებიან, ხადგან მათი საშუალებით ვიგებთ ხალხის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საჩხავესა ან სიმღერის მიმართ, საზოგადოებაში საჩხავეს როლზე, საჩხავესა და ადამიანის ხმის მაგიურ თვისებებზე, მუსიკის გამოყენების სიხშირეზე ადამიანების ცხოვრებაში, ეპოქის მონაცემებზე და სხვა. ამიტომაც ვუჩინა "იარღვის" მკითხველს ამჯერად მოვუთხოვო ჩამდენიმე ლეგენდას ქართული საჩხავეების შესახებ. ეს ლეგენდები სხვადასხვა გზით მოძიებულია მუზეუმის თანამშრომელთა მიერ.

## დიპლი-პიტა - ორმაგი ხაჭაპური?!

დიპლიპიტო იგივე ორმაგი დოლია. მზადდება თიხისაგან. ბოლოში წანვეტებულია ქოთნის ფორმით, ზემოდან კი გადაჭიმულია ტყავი. ორივე ქოთანი ერთმანეთზე თოკებითაა დამაგრებული, ერთი უფრო დიდია, მეორე კი მომცრო. დიპლიპიტოზე ბზისგან გამოთლილი ჯოხებით უკრავენ, ხანდახან ხელითაც. გამოიყენება ხალხური საკრავების ანსამბლებში.

დიპლიპიტო ორი ბერძნული სიტყვისგან შემდგარი კომპოზიტია: დიპლო – ორმაგი, და პიტა – ხაჭაპური. ამ საკრავის სახელწოდებაზე საინტერესოდ მოგვითხრობს ერთი ლეგენდა:

როცა დიდი ალექსანდრე მაკედონელი ყოფილა საქართველოში, ქართველებს მის პატივსაცემად დიდი სუფრა გაუმართავთ. სუფრასთან მოსალხენად მოუწვევიათ მუსიკოსები. მათ შორის, დიპლიპიტოზე დამკვრელიც ყოფილა. როცა ალექსანდრეს ეს საკრავი დაუნახავს, წამოუძახებია, ეს რა დიპლი პიტააო! ანუ ეს რა ორმაგი ხაჭაპურიაო!

საქმე ის არის, რომ მაკედონიურ ე.წ. ხაჭაპურს, ანუ პიტას შემდეგნაირად აცხობენ: ქოთანში ყრიან ცხელ ნაკვერჩხალს, ზემოდან კი გადააფარებენ ყველიან ცომს; სწორედ ეს არის მაკედონიური ტრადიციული პიტა.

ტყავგადაკრულმა ქოთანმა ალექსანდრეს მშობლიური პიტა გაახსენა და ამიტომაც წამოიძახა – დიპლიპიტააო! ლეგენდა ამბობს, სწორედ ამის შემდეგ შეარქვეს ქართველებმა ამ საკრავს „დიპლიპიტო“.

თუ ამ თქმულებას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ის რამდენიმე საგულისხმო ცნობას შეიცავს:

1. ეს საკრავი ალექსანდრე მაკედონელის დროს, ანუ ქრისტემდე III ს.-ში, უკვე არსებულა (მაგრამ აქ უთუოდ გასათვალისწინებელია თანამედროვე ისტორიკოსთა მტკიცება იმის შესახებ, რომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არასოდეს ყოფილა! რამდენადაც ლეგენდებს ყოველთვის ახლავს პირობითობა, ამიტომ აუცილებელია ისტორიული ფაქტების შემოწმება!).

- 2. დიპლი პიტა – ნამდვილად ორმაგ ხაჭაპურს ნიშნავს.
- 3. მაკედონიაში ნამდვილად თიხის ქოთნებში აცხობენ ტრადიციულ ხაჭაპურს.
- 4. სუფრასთან მუსიკოსთა მოწვევა თურმე მაშინაც სცოდნიათ!

ახლა ვნახოთ, ეს ცნობები რამდენად შეესაბამება სიმართლეს:

როგორც გამოკვლევებით დგინდება, დიპლიპიტო აღმოსავლური საკრავია და, შესაძლოა, საქართველოში უძველესი დროიდანაა შემოსული.

სხვა საკითხია, რამდენად ჰპოვა ამ საკრავმა ჩვენში გავრცელება. მთავარი ის არის, რომ საქართველოში დასარტყამი საკრავების ადგილობრივი წარმოშობა რამდენადმე გაურკვეველია.

დღემდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემონახულია ფერხულები,\* რომელთა შესრულებას, როგორც წესი, ახლავს ტაში; „ცეკვისას კი ფეხის ხმაა, ცეკვის რიტმისა და ტემპის განმსაზღვრელი“.

არქეოლოგიურ მასალებში გვხვდება, უმეტესად, საბრძოლო წინწილი (ლითონის თევშები). ზოგადად, კავკასიაში უფრო ხშირად სწორედ ასეთი, საჩხარუნებელი საკრავებია შემორჩენილი.



დიპლიპიტო



დიპლოპიტო, როგორც დამოუკიდებელი საკრავი, საქართველოში არ გავრცელებულა, ის დარჩა საანსამბლო საკრავად. მეტიც: საქართველოსთვის ხალხურ საკრავთა ანსამბლებიც არ არის დამახასიათებელი. საქართველო – პოლიფონიური ვოკალის, ანუ სასიმღერო მრავალხმიანობის ქვეყანაა და საკრავიერი ანსამბლები ნაკლებად ტრადიციული იყო.

ეს უკანასკნელი (საკრავიერი ანსამბლი), ძირითადად, ქალაქურ მუსიკას ახასიათებდა და შემდეგ საბჭოური პერიოდის პროპაგანდის ნაწილი გახდა. ამდენად, ნაკლებ სავარაუდოა, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის საქართველოში სუფრასთან, მუსიკოსთა ჯგუფში, დიპლოპიტოს არსებობა. მეორე მხრივ, საქართველოს მიერ აღმოსავლეთთან, ნებისმიერ უნებლიე, ურთიერთობის ისტორია გვაძლევს ვარაუდის უფლებას, არ გამოვრიცხოთ საქართველოში დიპლოპიტოს არსებობა. კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იჩენს თავს ამ ლეგენდის განხილვისას: ეს არის სუფრასთან მუსიკოსთა მოწვევა.

## ხალხი სიმლეხა და თამაშობის ინსტიტუტი

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქართული სუფრის ტრადიცია ძველთაგან იქცევდა უცხოელთა ყურადღებას. ქართული სუფრის ნამდვილი მშვენიერება თამაშობის ინსტიტუტი და ქართული სიმღერაა. მიუხედავად ჩვენს დროში ამ თემის უღმობელი კრიტიკისა, ქართული სუფრის ხიბლი სწორედ თამაშის ფუნქციის გაგებაა.

თამადა მხოლოდ მჭევრმეტყველი და „ტკბილად მოუბარი“ ადამიანი არ არის. მისი მთავარი დანიშნულება სუფრაზე ლხინის „გაჩაღება“ და სუფრის ყოველი წევრის ამ ლხინში ჩართვაა. ამისთვის საუკეთესო საშუალება სწორედ ცეკვა-სიმღერაა!

ქართულ ხალხურ სიმღერას შესრულებისას თავისი კანონები აქვს: ზედა ხმებს (შუა და მაღალი) თითო შემსრულებელი უნდა ჰყავდეს, ბანს კი ჯგუფურად მღერიან! სუფრაზე ბანის თქმა სწორედ სუფრის წევრთა გაერთიანებისა და ლხინში მონაწილეობის საშუალება იყო!

ოდითგან ქართული სუფრის თითოეული პერსონა საერთო ლხინის სრულუფლებიანი წევრია (და არა, უბრალოდ, შემსრულებელი, ან მაყურებელი)! ანუ ქართული სუფრა ცოცხალი, დემოკრატიული ორგანიზმია!

ასეთ პირობებში, როგორც კი მესაკრავეთა ჯგუფი ჩნდება, სუფრის სოციალური იყოფა შემსრულებლად და მაყურებლად ანუ მსმენელად!..

ამიტომაც ისმის კითხვა: დასაშვებია კი ჩვ.წ. აღ. III ს.-ში მესაკრავეთა მოწვევის ტრადიცია?

როგორც ვხედავთ, ლეგენდის განხილვამ ძალზედ ბევრი საკითხის შესწავლისკენ შეიძლება გვიბიძგოს.

## მწყემსის სალამუხი

ახლა კიდევ ერთ ლეგენდას გაგაცნობთ, რომელიც მესხეთშია ჩანერილი. ეს ლეგენდა სალამურსა და მწყემსზეა.

ის, რომ სალამური მწყემსის საკრავია, მთელ მსოფლიოშია ცნობილი და სადაც მეცხოველეობაა განვითარებული, ყველგან არიან მწყემსები თავიანთი სალამურებით. აი, რას მოგვითხრობს ეს ლეგენდა:

ერთ დღეს მწყემსი აძოვებდა ფარას. მოულოდნელად მას ქურდები დაესხნენ თავს, სცემეს და მისი ცხვარი წაასხეს. როცა საბრალო მწყემსი გონს მოვიდა, ძალიან შეწუხდა; არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გამწარებულმა აიღო იქვე დაგდებული სალამური და დაიწყო დაკვრა. რამდენ ხანს უკრავდა ასე, არავინ იცის.

მთებში სალამურის ხმა შორს ისმის. როგორც ჩანს, ქურდები დალილები იყვნენ და ჩაეძინათ; ალბათ, ფიქრობდნენ, უკვე მთის გადაღმა გადმოვედით, ახლა ვეღარ მოგვძებნიანო. ცხვრებმა იცნეს თავიანთი მწყემსის სალამურის ხმა, ამ ხმას გამოჰყვნენ და ისევ თავის პატრონთან დაბრუნდნენ.

ახლა ვნახოთ, რას გვასწავლის ეს ლეგენდა. ის, რომ მთაში ყველა ქვეყნის მწყემსები სალამურს იყენებენ, ცნობილია. თუ რატომ, ამაზე ეს ლეგენდა გაგვცემს პასუხს:

თუ დავაკვირდებით, ლეგენდა მოკლეა, მაგრამ შეიცავს ერთ ძალზე მნიშვნელოვან ცნობას:

ცხვრებმა ამჯერადაც იცნეს სალამურის ხმა და მას გამოჰყვნენ. ეს რას ნიშნავს? იმას, რომ ცხოველები აღიქვამენ მუსიკას და მასზე რეაგირებენ.

ჩვენს მუზეუმში არსებობს ასეთი ცნობაც: რომ თურმე ღორების სამწყემსად ძველად თიხის სალამურს იყენებდნენ. თიხის სალამურს ძალიან უხეში მსტვენავი ხმა აქვს. როგორც ირკვევა, ღორს სქელი სასმენი



სალამური



გუდასტივი

მემბრანა აქვს და ძნელად ესმის. ამიტომ მწყემსებმა შეარჩიეს ისეთი სალამური, რომლის ხმასაც გაიგებდა ღორი. ეს ფაქტიც და ლეგენდაში აღწერილი ამბავიც იმას მოწმობს, რომ ცხოველები ნამდვილად აღიქვამენ მუსიკალურ ბგერებს.

ახლა მეორე ფაქტი ვნახოთ ლეგენდიდან:

როცა ქურდებმა სცემეს სანყალი მეცხვარე, მან არ იცოდა, რა ელონა; აილო ხელში სალამური და დაიწყო დაკვრა. როგორც ვხედავთ, სალამური დარდის გასაქარვებლადაც სჭირდებოდათ მეცხვარეებს. გამოდის, რომ მწყემსისთვის სალამური ძალიან საჭირო ნივთია, ის კომუნიკაციას ამყარებს ცხოველებთან და მართავს მათ, ე.ი. შრომის იარაღია (არსებობს ცხვრების გასაფანტავი და მოსაგროვებელი მელოდიებიც).

### გუდასტივი, იგივე, ჭიბონი

ახლა ვნახოთ კიდევ ერთი თქმულება ორ ქართულ მესტივრზე. ეს თქმულება ჩაუნერია კომპოზიტორ გიორგი სვანიძეს 1918 წელს, სოფელ რუისში.

მესტივრეს ხალხში გუდასტივრზე დამკვრელს ეძახიან. დღეისათვის გუდასტივრზე დაკვრის ტრადიცია შემორჩენილია რაჭასა და აჭარაში. აჭარულ გუდასტივრს ჭიბონი ჰქვია. ამ საკრავს გუდასტივირი იმიტომ დაარქვეს, რომ თხის ან ცხვრის

გუდაში ჩამაგრებულია ორი სტივირი; ერთზე ბანს უკრავენ, მეორეზე მელოდიას. გაბერილი გუდის ჰაერით სტივირებზე უკრავენ და თან მღერიან.

ძველად გუდასტივირი ბევრგან ყოფილა გავრცელებული და, განსაკუთრებით, ქართლში. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობით (1861), მეტად განთქმული ყოფილა ბლიაძეების გვარი; იმდენად, რომ, როცა ბლიაძეს იტყოდნენ, მესტივირეს გულისხმობდნენ.

მესტივირეები ხალხში განსაკუთრებული პატივითა და სიყვარულით სარგებლობდნენ. ისინი დადიოდნენ სოფლიდან სოფელში, უკრავდნენ და მღეროდნენ სხვადასხვა ამბავზე. მესტივირეები, ძირითადად, იპროვიზაციულად ლექსის შეთხზვის ოსტატები იყვნენ. ახლა გავეცნოთ ერთ თქმულებას მესტივირეებზე:

გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენში უცხოვრია ერთ სახელგანთქმულ მესტივირე დოდეს. მეტად ლამაზი და ახოვანი კაცი ყოფილა, სოფლელებს ძალიან ჰყვარებიათ და ზედმეტსახელად „დიდი დოდე“ დაურქმევიათ.

დიდ დოდეს შეგირდები ჰყოლია ფარახეთიდანაც კი (ფარახეთი რაჭაში საუკეთესო მესტივირეების ცნობილი სოფელია). დიდ დოდეს „ნალბანდას ბიჭი“, ალექსა-ოქრომჭედელი, ექიმპებოდა თურმე მესტივირეობაში. ალექსას გორში უცხოვრია. ეს ორი მოქიშპე, თურმე, ხშირად ხვდებოდა და შაირობაში ერთმანეთს არ ინდობდა.

„თუ ოქრომჭედლობ, იმჭედლე“, – გამოუნვევია შაირში დოდეს მოპაექრე.

ალექსას იქვე უპასუხებია:

„სტივირი რა შენი საქმეა, ხრინნი გედება ყელშია, თუ ვაჟკაცი ხარ, გამოდი, გავეჯიბრდეთ სიმღერებშია!“

დიდი დოდე დათანხმებულია გამოწვევაზე და სოფელ ფლაგში გამართულა შეჯიბრება. ბევრი ხალხი მოსულა მათ მოსასმენად. დოდესა და ალექსას უმღერიათ, დაუკრავთ სტივირზეც, აუხედ-ჩაუხედავთ ერთმანეთისთვის და... შერცხვენიათ: ნეტავ, რას ვერჩოდით, რად გავამასხარავეთ

ერთთურთიო; გადახვევიან და სიკეთე უთქვამთ. ამის შემდეგ მათი ძმობა სამაგალითო ყოფილა მთელ ქართლში.

ასე დაამეგობრა სიმღერამ და სტივირმა ორი მოქიშპე.

P.S. ქაიხუცი ხაჩხუცი სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის უფროს მუცნიეხ-თანამშრომელს, ეთნომუსიკოლოგს, ანსამბლ „ჯოჯოჭინას“ დამაჩხებელსა და მუზეუმთან ახსებული ანსამბლ „ჭელის“ ხელმძღვანელს, ქაბაჯონ ქეთევან ბაიაშვილს უხნაღის ხედაქცია მადლობას უხდის კიდევ ერთი, ყმანვიღებისათვის საინტერესო პუბლიკაციის მონოგრაფიისთვის (პირველი პუბლიკაცია დაიბეჭდა: „იაცანი“, №1 2017 წ.).



ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავის მუზეუმი. ეროვნული საკრავების კუთხე



ლაზა ბახარია

# სა - ქართველ - ო

ყმანვილქართველის პასუხი  
უცხოელი თანატოლისადმი

– სამშობლო მკითხე?..  
ძველისძველია...  
სა – თავსართია,  
ო – ბოლოსართი;  
ამათ შუა კი...  
თვით ქართველია,  
ღმერთმა გვიბოძა  
ეს მისამართი...

და თუ ქართველიც  
გაინტერესებს?!.  
არ დაგზარდები,  
გეტყვი ქართულად:  
– მეზვრე-მეხმლეა,  
მღერალ-მელექსე,  
ვეფხ და ლომს შუა  
რომ შენმართულა!


## სამადლო თოვლი

„რა სასტიკია, რა სატირალი –  
სხვის ქვეყანაში თოვლი პირველი“.  
მირზა

არ შეგაგონო, გული ვით მიზამს:  
ერთ იად არ ღირს,  
რაც უბარდნია;  
არ იგუნდაო  
სხვის თოვლით, მირზა!

თოვლსაც... ქალივით დაგამადლიან:  
იმ ქერა თმასაც შეგახსენებენ,  
რომ შეამფოთეს დალალ-შოლტები  
და ლარიქსებზე\* მოქსოვილ ვნებებს  
ჩამოატყდებათ სიზმრის ტოტები.

სხვა ღამისაა სანთლები არყის  
და ლექსიც ცივი ცის ფოთოლია;  
მშობლიურ თოვლის ფიფქადაც არ ღირს,  
სხვის ქვეყანაში რაც უთოვია.



\* – მერქნიანი მცენარე, ფიჭვისებრი.



ნარგიზა ბენიძე

«მე ისევ ცოცხალი ვაჩ. ვცხოვრობ შტატებში. ისევ მძიმედ ვატყუებ გასულ საუკუნეში ჩვენთვის, აფხაზეთის ქართველებისათვის, ბოძებულ ცოცხლის სტატუსს. თავს ვეკითხები, ჩემი უნდა ვიყო ცოცხალი. განა ბევრს ვითხოვ? უბრალოდ, მაინტერესებს, ჩემი ლიხს ჩვეულებრივი მოქალაქის სტატუსი?»

ვცხოვრობ იმდით, რომ დავბრუნდები ჯერ თბილისში, მეხე სოხუმში. დავილაღე. უკვე სოხუმიც აღარ მენატრება. მახსოვლობაც სადღაც ჩამიხსება. აღსაფრთხილებს, გახდა მამაჩემის შეშინებული თვალებისა, იმ წუთებისა, რომლებიც დაემიზნეს და ესხოდნენ.

აქ, ამერიკაში, ჩემი სხეული დანის მხოლოდ. იქ კი, საქართველოში, ჩემი სულია. აქ ჩემი შვილები და შვილიშვილებია, იქ ჩემი სამშობლოა და თქვენ. ყველანი მიყვარხართ. მინდა, სათავისო სიტომ ნაწილ-ნაწილ ჩამოგიჩიოთ. ჩემი? ეს ახ ვიცი. მაგჩამ ის კი ვიცი, რომ ძნელია ემიგრაცია. მით უფრო, გეჩქვას ემიგრანტი.

ღმობით გემშვიდობებით. გეხვევით, მიყვარხართ. საქართველოსა და თქვენზე უსაზღვროდ შეყვარებული. ნარგიზა ბენიძე 10 დეკემბერი, 2017 წელი, ქ. ფილადელფია».

ამ კვირიანი სტუდიის ავტორი, სოხუმელი ნარგიზა ბენიძე აფხაზეთის დაცემამდე გაზეთ «აფხაზეთის ხმაში» მუშაობდა. ჰატაჰა პუბლიკაცია, რომელიც მან «ილქანს» გამოუგზავნა, შოხუელ ამერიკაში, პენსილვანიის შტატში მოქმედ ქართული ცეკვის ანსამბლ «მამულა», და, ჩაც მთავარია, იმაზე, რომ სამშობლო უფრო ძვირია.

### «მამული» ფილმონის ავნიუზე

ნარგიზა ბენიძე  
წერილი აშშ-დან

ფილადელფიის ერთ-ერთ გარეუბანში (პენსილვანიის შტატი), ტყის პირას, ცენტრალური ტრასის გაყოლებზე დგას დიდი ბილბორდი, ქართული წარწერით: “წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია“. ეს ადგილი მთლიანად ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. მოვიდნენ ადამიანები, შეუდგნენ განმენდას, გადაბარვასა და ეზოში მდგარი, უკვე დანყებული შენობის დასრულებას.

ეს ადამიანები იყვნენ საქართველოდან დროებით ემიგრაციაში მყოფი ქართველები. არავინ იცის, თითოეული ვინ როგორი გზით მოხვდა ამერიკაში.

დღესდღეობით ეს ეკლესია არის ერთადერთი ადგილი, სადაც შეგიძლია, მოხვიდე, ილოცო, შენი ტკივილი ვილაცხვარო, მოგისმინონ და მოუხმინონ თანამემამულეთ, ისაუბროთ ერთმანეთის ლხინსა და ჭირზე. ეს სალოცავი მთლიანად მრევლის შემონირულობებითაა შექმნილი. მას სათავეში უდგას ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი, მეუფე საბა (ინსკირველი).

სწორედ მისი შეუფასებელი ღვაწლით, ფილადელფიაში მცხოვრები ქართველების, მოსწავლე-ახალგაზრდების დაუზარელი შრომით გალამაზდა ეს კუთხე, რომელიც, გაგიკვირდებათ და, ძალიან ჰგავს საქართველოს.

მოგვიანებით, დაახლოებით 4 წლის წინათ, ეკლესიის მესვეურთა თანადგომით გაიხსნა მასთან არსებული ქართული ხალხური ცეკვის სტუდია. მეუფე საბას თხოვნითა და კურთხევით „მამულს“ სათავეში ჩაუდგა და დღემდე ხელმძღვანელობს ქართული ნაციონალური ბალეტ „სუხიშვილების“ ყოფილი მოცეკვავე – ავთანდილ ყურაშვილი.

თავდაპირველად სტუდიაში არც ისე ბევრი ბავშვი იყო. სტუდიის ჩამოყალიბებისთანავე შეიქმნა განსაკუთრებული გარემო; ჯგუფმა თავი მოუყარა ქართველ ბავშვებსა და მათ მშობლებს, იმ ადამიანებს, ასე მთავარი, ასე მშობლიური – ერთმანეთის სიტომ რომ აკლდათ. სტუდიელი ბავშვების უმრავლესობა აქ იყო დაბადებული, ზოგიც – საქართველოში. მაგრამ სხვა რეალობაც იყო მტკივნეული: ქართული ენა თითქმის არავინ იცოდა.



ანსამბლ „მამულის“ კონცერტი



ცოტა ხანში სტუდიას დაემატა მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული აღსაზრდელები. მალე ეს პატარა სტუდია ჩამოყალიბდა ანსამბლად, რომელსაც სახელად „მამული“ დაერქვა.

დღესდღეობით ანსამბლში გაერთიანებულია 60 ბავშვი.

სცენაზე დაიდგა ქართული ცეკვები – „ყაზბეგური“, „აჭარული“, „დავლური“, „კავკასიური“. ანსამბლის თითოეული წევრისთვის შეიკერა ფორმა. არ ვიცი, უნდა მიხაროდეს თუ მწყინდეს, მაგრამ „მამული“ უკვე გაყოფილია პირველ და მეორე თაობებად. ანსამბლში გაერთიანებული ბავშვები საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან არიან: თბილისიდან, ახალციხიდან, ქუთაისიდან, ხონიდან, გურიიდან, დუშეთიდან, აჭარიდან. აფხაზეთიდან მხოლოდ სამი ბავშვია. მათ შორის, ორი ჩემი შვილიშვილია და ერთსაც ბებო ჰყავს აფხაზი. წარმოიდგინეთ, ის მარტო თავისი შვილიშვილის ბებო არ არის. იგი ყველა ბავშვისთვის საყვარელი ლიანა ბებოა. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ქართული ნაციონალური ცეკვის მაღლს ერთი აზერბაიჯანელი მოზარდიც ეზიარება.



ანსამბლის სოლისტი – ნიკოლოზ ბაბილოაძე

ცეკვის გარდა ბავშვები მღერაინ და უკრავენ ქართულ ხალხურ ინსტრუმენტებზე: ფანდურზე, ჩონგურზე. მსურს, ცალკე გამოვყო ერთი პატარა ფოთელი ბიჭუნა, ნიკოლოზ ბაბილოაძე, რომელიც გამორჩეულად უკრავს გუდასტვირზე და ასეთივე წარმატებით ცეკვავს ანსამბლში. იგი აქაა დაბადებული. სულ პატარას დაელუპა მზრუნველი მამა, დაეჩაგრა პატარა გული, მაგრამ ჰყავს კარგი დედა და დარწმუნებული ვარ, ბედნიერი მომავალი ექნება (მოდით, ვინატროთ: საქართველოში – სხვა მოზარდებთან ერთად).

ცოტა ხნის წინ საქართველოს საელჩომ ქალაქ ვაშინგტონში მიიწვია ანსამბლი. გაიმართა კონცერტი, რომელსაც ესწრებოდა აშშ-ში საქართველოს ელჩი, ბატონი დავით ბაქრაძე. ქართველი ძალიან ცოდვია მშობლიური გარემოს გარეშე. მიხარია, რომ „მამული“ ის სამყაროა პატარებისთვის, სადაც ისინი ასე ლაღად გრძნობენ თავს, აღნიშნა მან.

ამ პატარა პუბლიკაციით მსურს მაღლიერება გამოვხატო ჩვენი პედაგოგის, ბატონ ავთანდილ ყურაშვილის მიმართ. სწორედ მისი დამსახურებაა ის თბილი და შეკრული წრე, სადაც ასე უხარიათ ერთმანეთი, სადაც ხელმძღვანელის თქმით, როცა გიყვარს, სადაც არ უნდა იყო, არც ისე შორსაა მამული. ოკეანისგალმა მყოფი მოზარდებისთვის მათთვის გასაგებ და, ამასთან, ზნეობრივ ფასეულობათა ენაზე ხსნის, რომ უსამშობლობა მონატრებით ცხოვრებაა; ამიტომაც, ყოველი დღე, თითოეული რეპეტიცია „მამულში“ მამულის გახსენებაა, მშობლიური ბგერისა და ილეთის თავიდან შეყვარება; და ეს მათ კარგად უნდა ესმოდეთ, – მიაჩნია ავთანდილ ყურაშვილს.

P.S. ეჩი თავისი ფასეულობებით ხასიათდება. დიდმა იციამ თავის დიხზე ქართული ეჩის ეხელმ სამი სიყვით ასე ამოთქვა: ენა, მამული, სახნუნოება.

და დაჩჩა ის ჩვენთვის თითქმის ბიბლიური ექსიციის მცნებად, ანუ ადამიანის, სამშობლოსა და უელისადმი სავედიხებეც ღოცვად.

გასაგებია, ხომ ხმენის გახეშე შეუძლებელია «ქიხთა თმენანი» და მოგებული ომები საკუთახ თავთანაც ეი; ხომ ეხთმანეთისაგან განყოფელია ნაციონალური ისტოხია, ეკლუხა და ქიხისტიანული მხნამსი; და თითოეული ჩვენგანის ვაღია, წინაპრების მიეხ ესოდენ სულიეხი ღვანდით განმტყიცებული სამშობლო მაჩუო ჩვენად ვიგელოთ და გვჯეხოდეს, ხომ უფაღივით ისიც ეხთადეხითა; და ხომ შინისკენ სავაღი გუბები ყოველთვის მხოლოდ მამულზე გაღის.



ანსამბლ „მამულის“ ბიჭუნები. ზევით, მარჯვნიდან მეორე – ავთანდილ ყურაშვილი



მიხეილ ვორონცოვი

"ივრის" ერთ-ერთ გასულ ნომერში (2017 წ. №1) დაბეჭდილი ჰუბიკაცია მიეძღვნა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საიუბილეო, 200-წლიან თაბილს. წეხილში აღწეხილთ, ხოგოხ შეიჩა "თბილისის გახეუბანში" კავკასიის მთავახმახთებლის ხეზიდენციისათვის ადგილი და 1869 წლამდე ხამდენნახი ცვილება განიცადა 1802 წელს სასწახფოდ აგებულმა ჰიხველმა შენობამ; ხოდის და ხომელი მთავახმახთებლის დამჰეხობლეხი ჰოლიტიკა იყო უფო სასტიკი ამ ედლებში; მაგხამ ისიც ვთქვიო, ხომ: იცვლებოდნენ მთავახმახთებლები და ახ იცვლებოდა სასახლის ჰოლიტიკა.

იმჰეხიის ეხთადეხთი მმახთველი კავკასიაში, ხომელიც ევოჰაში (ეხიოდ, ლონდონში) მილებელი განათლების შემდეგ ხესეთის ტახტსაც ეხთველად ემსახეხა და ქახთველი ეხის სასიკეთოდაც ახახთი მნიშენელოვანი ჰიოქეტი განახოხციედა, იყო მიხეილ ვორონცოვი (1782-1856 წ.წ.).

ამდენად, საჭიხოდ ჩავთვადეთ, საქახთველოში ვორონცოვის 9-წლიანი მოღვაწეობის ჰეხიოდზე განსაკუთხებულ ეონტექუსტში გვესახეხა (თემცა, ვორონცოვის ხოდის შეფასება, თავისი ჰოლიტიკეხი სვლებით, დღემდე საკამათო თემაა ქახთველებისთვის).

და მაინც: მან, ეხთადეხთმა მმახთველმა, უგანათლებელესმა თვადმა, ხესეთსა და ევოჰაში სახელმთხვექილმა ინფანტეხიის გენეხადმა საქახთველოში "ყველახე წესიეხი ხესის" სახელი დამეკვიდა.

"ვორონცოვს თავის სამშობლოსავით უყახდა ჩვენი მსახე და სიყვახილთა და ეხთველებით განაგებდა მას", - იუნებოდა XX ს.-ის დასაწეისში გამოცემული ეხებელი.

## „ველახე წესიერი რუსი!“

### მიძინებული ერის გამოსახეხილებლად

მეფისნაცვლის თანამდებობა რუსეთის იმპერიაში პირველად ეკატერინე II-მ შემოილო, 1775 წელს. იმპერატორის ეს გადანყვეტილება განაპირობა ემილიანე ჰუგაწოვის აჯანყებამ და შიშმა, ასეთი რამ აღარ განმეორებულეყო. მეფისნაცვალი ინიშნებოდა ვოლგისპირეთში, ასტრახანის გუბერნიასა და კავკასიის იმ ნანილში, რომელიც იმ დროისთვის რუსეთს ემორჩილებოდა. ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ, 1796 წელს, იმპერატორმა პავლე I-მა ეს თანამდებობა გააუქმა. მთავარმართებლის თანამდებობა დაწესდა 1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ.\*\*

კავკასიის მეორე მთავარმართებლის, წარმოშობით ქართველის – პავლე ციციანოვის დროს იწყება საქართველოში რუსების მასიურად ჩამოსახლება; აღექსანდრე ტორმასოვის, „უნყალო და მძვინვარე კაცის“ მმართველობისას რუსეთი მყარად იკიდებს ფეხს აფხაზეთში; ფილოპო პაულიჩი სისასტიკით ახშობს ქართველთა ანტირუსულ აჯანყებებს; ივან პასკევიჩი ნიკოლოზ I-ს საქართველოს მართვის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის პროექტს სთავაზობს; ევგენი გოლოვინის გეგმა უფრო ვერაგულია – კავკასიის ხალხებს შორის მოსპოს ეროვნული ნიშნები; ნიკოლაი მურავიოვი ხურავს ქართულ თეატრს; აღექსი ერმოლოვი „სახელს იხვეჭს“ ქართველების მიმართ გამთხატული დაუფარავი ზიზლით. „არ იარსებებს საქართველო და აღარც კავკასიის პრობლემა იარსებებს“, – ასე „ჟღერს“ მისი ერთ-ერთი ცნობილი გამოთქმა.

„ქართველ საზოგადოებას XIX ს.-ის პირველ ნახევარში ეროვნულად გარკვეული ფიზიონომია აღარ ჰქონდა. ძველ დროში თუ იყო რამე კულტურის ნასახი, თითქოს წაშლილიყო. პოლიტიკურად დასწეულეული ეროვნული სხეული დასწეულდა ზნეობრივადაც და გონებრივადაც“, – წერდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე.



მეფისნაცვლის სასახლე

ასეთ ვითარებაში ნიკოლოზ I იღებს გადანყვეტილებას, კავკასია ანდოს დიპლომატიური ნიჭით გამორჩეულ პიროვნებას, ვინც კავკასიაში მოქნილ პოლიტიკას რუსეთის სასარგებლოდ გაატარებს.

იმპერატორის არჩევაწი შეჩერდა გრაფ მიხეილ ვორონცოვზე, რომელიც იყო რუსეთსა და ევროპაში სახელმთხვექილი გენერალი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ევროპული მასშტაბის მოაზროვნე.

მოვესმინოთ ისევე არჩილ ჯორჯაძეს: სწორედ ამ დროიდან, XIX ს.-ის 50-იანი წლებიდან „მიძინებული ერი თითქოს გამოფხიზლდა და განკურნების იმედმა შეიპყრო. ვორონცოვის ხანა შეიქმნა ქართული კულტურის აღორძინების ხანად“.

ასე გაჩნდა ქართულ სინამდვილეში გამოთქმა „ვორონცოვის ხანა“.

\* – მაშინ ეს ადგილი თბილისისთვის გარეუბნად ითვლებოდა.  
\*\* – რუსეთის იმპერიამ 1844 წლიდან კვლავ შემოილო მეფისნაცვლის თანამდებობა.



### გააწროცესა საქართველოს რუსეთთან შეერთება

მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი ძველი თავადური გვარის წარმომადგენელი და ინგლისში რუსეთის ელჩის შვილი იყო. ბავშვობა და სიყმაწვილე მიხეილმა მამასთან გაატარა, ლონდონში, სადაც ლორდის საკადრისი აღზრდა-განათლება მიიღო. ფლობდა რა უძველეს ენებს – ლათინურსა და ბერძნულს, მიხეილ ვორონცოვს ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰქონდა გაცნობიერებული კავკასიის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ცივილიზაციების შესწავლის აუცილებლობა.



ელისაბედ ბრანისცკაია

ერთი საინტერესო ფაქტი: **1801 წელს სამშობლოში დაბრუნებული, 19 წლის ვორონცოვი, დანიშნა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად. ერთ-ერთ სხდომაზე მომზადდა დასკვნა: რომ ქართული სახელმწიფო ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად არსებობას. საბჭოს სხვა წევრებთან ერთად (ვიქტორ კოჩუბეი, ნიკოლოზ ნოვოსილცევი, ადამ ჩარტორიისკი) მიხეილ ვორონცოვმაც მოაწერა ხელი იმპერატორ ალექსანდრე I-დმი მისართმევ მოხსენებას. ხელმომწერი ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების იდეას.**

მალევე ვორონცოვი საკუთარი სურვილით მიემგზავრება კავკასიაში, მთავარმართებელ პავლე ციციანოვის არმიაში ქვეშევრდომად. როდესაც 1805 წელს 22 წლის ვორონცოვი ტოვებდა თბილისს, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ 40 წლის შემდეგ აქ ისევ დაბრუნდებოდა – ამჯერად მეფისნაცვლის რანგში.

**ვორონცოვის მაღალი ზნეობის დასახასიათებლად, სხვა უამრავ ფაქტთან ერთად, ჰყვებიან პარიზის კეთილშობილურ, თითქმის დაუჯერებელ ამბებსაც:**

სამამულო ომის დროს, 1812 წელს ვორონცოვი დაიჭრა ბოროდინოსთან (მსახურობდა ქართველი გენერლის, პეტრე ბაგრატიონის არმიაში); სამკურნალოდ წავიდა საკუთარ მამულში და თან წაიყვანა 50 დაჭრილი ოფიცერი და 300 რიგითი მეზრძოლი, რომლებსაც საკუთარი ხარჯით უმკურნალა.

უფრო მოგვიანებით – 1814-1818 წ.წ. – როცა ვორონცოვი საფრანგეთის საოკუპაციო კორპუსს მეთაურობდა, თავის თავზე აიღო რუსი ჯარისკაცების ვალების გადახდა (რაც არ შედიოდა სამხედრო ხარჯებში): ვორონცოვმა მამიდასგან დატოვებული სამემკვიდრეო მამული გაყიდა და ჯარისკაცთა დროსტარების გამო დაგროვილი ვალები (დაახლოებით მილიონი ფრანკი) სრულად გადაიხადა, რითაც პირნათელი გახადა რუსული არმია მსოფლიოს წინაშე.

**როცა 1844 წლის დეკემბერში იმპერატორმა მიიღო გადაწყვეტილება, თბილისში მეფისნაცვლის თანამდებობაზე დაენიშნა მიხეილ ვორონცოვი, ეს მისთვის ძალზე მოულოდნელი იყო. წერდა კიდევ მეგობარს: „საყვარელო ალექსი! შენ, ალბათ, უეჭველად გოცდი, კავკასიაში ჩემი დანიშვნის ამბავი რომ შეიტყვე. არ დაგიმალავ, მეც გავვოცდი, როდესაც ეს თანამდებობა შემომთავაზეს – მე ხომ უკვე 63 წლის ვარ.“**

### არაქართველს მოუნობდა, შეესწავდა ქართული

„ვორონცოვის მეფისნაცვლად მოვლინებას ქართველები შეხვედრიან სადღეგრძელოებითა, ზარბაზნების სროლითა, ურათი და ჩირაღდებით“, – წერდა იმდროინდელი პრესა.

ვორონცოვს თავისი პოლიტიკის გატარება დაუწყია თბილისში დამკვიდრებისთანავე. ნიკოლოზ I-დმი გაგზავნილ მოხსენებაში ის წერდა: „ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი საქმე, რომელიც ცვლის საუკუნოვან ადათებს, მეტისმეტად ძნელი გასატარებელია ყველგან; განსაკუთრებით, აქაურ მხარეში.“

თუ როგორ აფასებდა ვორონცოვი ქართველებსა და ქართულ კულტურას, კარგად ჩანს მეფისნაცვლის მიერ იმპერატორისადმი გაგზავნილ სხვა წერილშიც: „ლიტერატურისა და მხატვრული სიტყვისადმი გემოვნება აქ არასოდეს წყდებოდა. როდესაც ევროპის ყველა ქვეყანაში სალაპარაკო ენა იცვლებოდა, აქ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ძირეულმა ენამ შეინარჩუნა პირველყოფილება. განთქმული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილი 700 წლის წინათ, თამარ მეფის დროს, ახლაც ითვლება ქართული ენის საუკეთესო ნიმუშად.“

**დიდი ფრანგი მწერალი, ალექსანდრე დიუმ-მამა, რომელიც 1856 წელს თბილისში იყო ჩამოსული, აღნიშნავდა:**

**„ვორონცოვი იყო ერთ-ერთი იმ რუს სახელმწიფო მოღვაწეთაგან, რომლებიც, მიუხედავად მაღალ თანამდებობებზე მუშაობისა, მაინც ასერხებდნენ გარკვეული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას“.**

თანამედროვეთა გადმოცემით, თბილისში ვორონცოვის ჩამოსვლამ ერთიანად შეცვალა ქალაქის ცხოვრება. გრაფს უყვარდა შრომისმოყვარე, უნარიანი ადამიანები; გამორჩეულიც იყო ვორონცოვის დამოკიდებულება ასეთი ღირსეული პიროვნებებისადმი (არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ ისინი); თავადი და ქალბატონი (ანუ ვორონცოვები) თავიანთი პირადი საქციელით იძლეოდნენ უბრალოებისა და გულისხმიერების მაგალითს; როგორც ამბობდნენ,



მუხრანთუბანი (ახლანდელი აღმაშენებლის გამზირი)



ბრანიცკაიას პორტრეტი. ავტორი: ალექსანდრე პუშკინი

მეფისნაცვლის სასახლეში იგივე ავეჯი იდგა, როგორც ადრე. საჭმელი, თუმცა ყოველთვის გემრიელი იყო, მაგრამ არაფრით გამოირჩეული; ღვინოს მხოლოდ კახურს ან ყირიმულს მიირთმევდნენ; თავადის სიკეთე ზოგიერთი პიროვნების მიმართ უკიდურესობამდეც კი მიდიოდა – მას არ შეეძლო, უარი ეთქვა თვით ძალზე მომთხოვნი ადამიანისათვის, რითაც ბევრი სარგებლობდა.

იმდენად გონიერი მმართველი იყო, შეეძლო, თუ საჭირო იყო, კანონსაც დაპირისპირებოდა. ერთხელ გრაფს როგორღაც თავაზიანად მიუთითებს, რომ მისი განკარგულებები არ ეთანხმებოდა სახელმწიფო კანონებს. ამას პასუხად მოჰყვა ფრაზა: „აქ რომ მხოლოდ კანონების შესრულება ყოფილიყო საჭირო, ხელმწიფე მე კი არ გამოგზავნიდა, არამედ კანონთა კრებულს!“

წინამორბედ მმართველთაგან განსხვავებით, ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართველი ერის ისტორიის, კულტურისა და ადათ-წესების მიმართ. იყო რა განწყობილი ლოიალურად ქართული ენისადმი, კანცელარიის ყველა არაქართველ ჩინოვნიკს მოუწოდებდა, შეესწავლა ქართული.\* გრიგორ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ „თითოეულმა რუსმა უნდა იცოდეს ორივე ენა“.

მისი ბრწყინვალეობა – გრაფი ვორონცოვი აწარმოებდა დღიურებს. აი, რამდენიმე ამონარიდი: „ჩამოვედით თბილისში. საოცარი დახვედრა – თავდაპირველად ტაძარში მივედით...“ „ვნახე მეგრული პოლკის ბატალიონი...“ „მერე ცხენებით ვიარეთ კუკიაზე, ავლაბარში და აბანოს ხიდი დავბრუნდით შინ...“ „ბალი არაჩვეულებრივი იყო. ცეკვავდნენ „ლეკურსა“ და „აფხაზურს“.

გრაფ ვორონცოვს, როგორც მისი მეუღლე – ელისაბედ ბრანიცკაია ამბობდა, „ძალიან უყვარდა ქართველები, პატივით ეპყრობოდა მათ დიდებულ წარსულს და მათი უკეთესი მომავალი ეიმედებოდა“; ამბობდა, რომ „პატარა საქართველო რუსულ ნაქარგზე ყველაზე ლამაზი, ყველაზე კაშკაშა ფარჩის ნახატი უნდა გახდეს“.

### ცხრანდიანი მმართველობა...

როდესაც ავადმყოფობის გამო მიხეილ ვორონცოვმა, იმპერატორთან შეთანხმებით, გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება (1854 წლის შემდეგ ის უკვე საქართველოში არ ჩამოსულა), თავის მოადგილეს, გენერალ რეადს დაუბარა: რომ არ უნდა შენელებულიყო ხელისუფლების ზრუნვა ქართული კულტურის განვითარებაზე.

ვორონცოვის 9-წლიანი მმართველობის პერიოდში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, დაიწყო ქალაქთმშენებლობა, მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარება. საქართველოში ჩამოსვლიდან ორ თვეში მიხეილ ვორონცოვმა მოიარა ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, აჭარა, ახალციხის მაზრა. მეფისნაცვალს მიაჩნდა, რომ მის მოღვაწეობაში უმთავრესი იყო ეროვნული მენტალიტეტისა და ტრადიციების ხელშეუხებლობა.

ვორონცოვის ინიციატივითა და მხარდაჭერით, თბილისში დაარსდა რუსული და ქართული თეატრები, იტალიური ოპერა, საბალეტო დასი. რა თქმა უნდა, დაიწყო ზრუნვა თეატრის შენობაზეც. მშენებლობის ხელმძღვანელად მოიწვიეს იტალიელი არქიტექტორი – ჯოვანი სკუდიერი; მაყურებელთა დარბაზი და ფოიე, თავისი ესკიზებით, გააფორმა მხატვარმა – გრიგოლ გაგარინმა. წიგნში „კავკასია“ ალექსანდრე დიუმა ამბობს: „უყუყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა“ (1874 წლის 11 სექტემბერს თეატრს ხანძარი გაუჩნდა და დაინვა)\*\*.

მეფისნაცვლის წინადადებით, ქართულ თეატრს სათავეში ჩაუდგა დრამატურგი – გიორგი ერისთავი. სწორედ მან ჩამოაყალიბა მსახიობთა მუდმივი დასი. პირველი სპექტაკლი („გიორგი ერისთავის გაყრა“) დაიდგა 1850 წლის 14 იანვარს (ეს დღე ქართული თეატრის დღედაა მიჩნეული).



თბილისის თეატრი, აგებული 1850 წელს. არქიტექტორი: ჯოვანი სკუდიერი

XIX ს.-ის 50-იან წლებში განახლდა ქართული პერიოდული პრესის გამოცემა, სახელწოდებით „ცისკარი“ (გამოდიოდა ყოველთვიურად). თბილისში გამოსვლა დაიწყო ყოველწლიურმა კალენდარმა, სადაც თავს იყრიდა ენციკლოპედიური ხასიათის, საკითხავად საინტერესო პუბლიკაციები. მეფისნაცვლის ბიბლიოთეკისა და ჯერ კიდევ 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით გახსნილი „კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ ბაზაზე დაარსდა „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა“. ორიოდ წელში აიგო შენობაც (ვახტანგ ორბელიანის\*\*\* სახსრებით) და იგი ოფიციალურად გადაეცა ბიბლიოთეკას.

ახალი ფორმები და შინაარსი შეიძინა სასწავლებლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლებამ (მათ შორის, არაქართველთა და იმ სამხედრო პირთა შვილებისთვისაც, რომლებიც დროებით იმყოფებოდნენ საქართველოში).

ახალგაზრდებისთვის ხაზინის ხარჯზე დაარსდა 160 სტიპენდია რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად; გაიხსნა გიმნაზიები თბილისსა და ქუთაისში; დაფუძნდა სკოლები ბიჭვინთაში, გალში, ოზურგეთში, თიანეთში;

\* – უცნაურია, მაგრამ თვითონ ვორონცოვმა ქართული ვერ ისწავლა.  
\*\* – შენობა იდგა დღევანდელი თავისუფლების მოედანზე, სადაც ამჟამად წმინდა გიორგის მონუმენტია აღმართული.  
\*\*\* – ერეკლე II-ს შვილიშვილი, თეკლე ბატონიშვილის ვაჟი.



გაიხსნა ქალთა სასწავლებლები; ფრანგული წიგნის მალაზია; 1855 წლის მონაცემებით, საქართველოში უკვე არსებობდა სხვადასხვა ტიპის 147 სასწავლებელი, 6023 მოსწავლელი.

ვორონცოვი უშუალოდ მეურვეობდა საქართველოს ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციას, ეკლესია-მონასტრების რესტავრაციას, ძველი ქართული ტექსტების გამოცემას (ხშირ შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებითაც). **1849 წელს ქართველი მეცნიერი პლატონ იოსელიანი ვორონცოვმა მიაწვდინა ათონის მთის მონასტერში იქ დაცული სიძველეების გასაცნობად.**



მიხეილ ვორონცოვი

მეფისნაცვლის კანცელარიასთან საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივ ნუმიზმატიკურ კოლექციას. თავადის მიერ მოწვეული ცნობილი მეცნიერ-მკვლევრების (რომელთა შორის იყვნენ: ბროსე, აბიხი, ბართლომეი, მურავიოვი, ხანიკოვი) შრომებმაც შეუფასებელი როლი შეასრულა კავკასიის მხარის შესწავლაში.

**სპარსელთა შემოსევის შემდეგ თბილისში, ნანგრევებად ქცეულ ადგილებზე ჩნდებოდა პირველი ფაბრიკები (მაუდის, ლითონისა და თუჯის ჩამომსხმელი, მინის ქარხანა), შენდებოდა საცხოვრებელი კვარტალები, გაიდო ხიდები მტკვარზე, თერგზე; თავადი ზრუნავდა მეღვინეობის განვითარებაზეც (თურმე, ყველა მსურველს საკუთარი ვაზის ნერგებს უგზავნიდა).**

თბილისი თანდათან იცვლიდა იერსახეს: აღმოსავლურ-პატრიარქალურ ყოფას ევროპული ჩვევები ენაცვლებოდა. დედაქალაქში ერთდროულად არსებობდა ჩოხა და ფრაკი, ჩადრი და ჩეფჩიკი, ქარავანი და ფაეტონი, ქართული პოლიფონია და იტალიური არია, „ლეკური“ და „პოლონეზი“, აღმოსავლური ბაზარი და ევროპული მაღაზიები.

**პარიზიდან ჩამოსულმა ფრანგმა კუაფერ ვლოტემ თბილისში გახსნა მოდური ატელიე, სადაც ქართველი მანდილოსნების ჩაცმაზე ფრანგი მოდელიორები ზრუნავდნენ.** ამ საქმეში ვლოტეს მეფისნაცვლის მეუღლე, გრაფინია ბრანიცკაია ეხმარებოდა – სასახლეში ის გამუდმებით მართავდა ნადიმებსა და მეჯლისებს (ელისაბედ ბრანიცკაიას ახასიათებენ, როგორც სათნო, კდემამოსილ, ლამაზი სულის ქალბატონს. ამასთან, ალექსანდრე პუშკინის დიდი მუზა და მისი მრავალი ლექსის ადრესატიც ყოფილა). საინტერესოა, რომ არისტოკრატიული ცერემონიების ხარჯთა განაღდება ვორონცოვების პირადი ანგარიშებიდან ხდებოდა.

„ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. არც წინედ, არც შემდეგში მის მსგავს მოვლენას არ ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება“, – წერდა არჩილ ჯორჯაძე.

### ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკა“ ...

კავკასიაში 9-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, 72 წლის ვორონცოვმა თბილისი დატოვა და დასახლდა ოდესაში, სადაც გარდაიცვალა კიდევ 2 წლის შემდეგ. „ის კავკასიას უკვე ძალზე ავადმყოფი ტოვებდა, – წერდა 1856 წელს გაზეთი „კავკასია“, – თუმცა ამბავმა მისი გარდაცვალების შესახებ მთელი თბილისი დაამწუხრა. სულისშემძვრელი და გულწრფელი მწუხარებაა, თითქოს ღვიძლი ნათესავი დაეკარგათ.“

მიუხედავად სიკეთებისა, მიხეილ ვორონცოვი და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური მოღვაწეობა საქართველოში არაერთგვაროვნად ფასდება. ბევრია ისეთი, ვინც მის ღვაწლს ადიდებს და ყოველივეს ქართველებისადმი პატივისცემის ნიშნად მიიჩნევს. მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც ვორონცოვს უბრალოდ მოქნილ დიპლომატად და იმპერიული ინტერესების გამტარებლად თვლიან (როგორც მეფისნაცვალსა და კავკასიის ჯარების სარდალს, მის სახელს უკავშირდება ბრძოლები შამილის წინააღმდეგ; ჩეჩნეთის გაუვალ ტყეებში გადატანილი სიძნელეების გამო მას პრინცის წოდებაც კი მიენიჭა).

ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკისადმი“ დამოკიდებულება არც რუსეთში იყო ერთგვაროვანი. რუსული შოვინისტური იდეოლოგიის მეთაური – 1860-1880 წლებში – მიხეილ კატკოვი ამტკიცებდა, რომ სწორედ ვორონცოვის პოლიტიკამ აქცია კავკასიაში რუსი დამცირებულ, მეორეხარისხოვან ადამიანად.

ვორონცოვის ძეგლი, რომელიც ქართული საზოგადოების თხოვნით 1866 წლის 25 მარტს დაიდგა ალგეთის ქვის კვარცხლბეკზე, საქართველოში პირველი სკულპტურული ნაწარმოები იყო (მთელ ამიერკავკასიაშიც). ის სანკტ-პეტერბურგში ჩამოასხა სკულპტორმა ნიკოლოზ პიმენოვმა; მისი გარდაცვალების შემდეგ სტატუის მაკეტით სამუშაო დაასრულა სკულპტორის მოწაფე – ვიჩესლავ კრეიგანმა. ძეგლის მცირე ასლი ახლა ინახება მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში\*.



მიხეილ ვორონცოვის ძეგლი. თბილისი

აკაკი წერეთელი იგონებს, რომ „გრაფის სიკვდილის შემდეგ რუსეთში მყოფი, ან იქ მიმავალი თითოეული ქართველი თავს ვალდებულიად თვლიდა, ვორონცოვის ქვრივი ენახა“. აკაკიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა გულწრფელი პატივისცემა ვორონცოვის მიმართ და ასე შეაფასა მეფისნაცვლის „კავკასიური პოლიტიკა“: ვორონცოვი მომავლის საქართველოს განიხილავდა, როგორც „პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავისი სარწმუნოებით, ენითა და ეროვნული ელფერით“.

\* – 55 წლის შემდეგ, 1922 წელს, ბოლშევიკებმა ეს ძეგლი დაანგრეს.



მანანა ბელქანია

ყოველთვის განსაჯეთიხები ექსპრესიით გამოიჩინე იმ ავტომატ ნაწილები, რომლებიც ომის შემდეგ აფხაზეთში, ისტორიულ სამხრეთაფხაზეთში ცხოვრობენ ან ენუხს აქეთ ახიან გადმოსვლები, მაგამ დღემდე აი კახავენ ჯავშიხს მშობლიუი ეუთხესთან.

სულისშემძვხეია მანანა ბელქანიას ჩანაწერები "მავთულებიანობით", რომელიც ასეთი ადამიანების გაოხებუი ყოფას აღწუხს. ნაცნობია ავტომატის განცდა, რომელსაც სამი წლის უნახავი აფხაზეთი უსიზმუხუა. ის სიზმუხი თითქოს ჩვენიცაა, ისე ტუბილი, ცინცხადი და ცხადვიით ნათელი. მანანა ბელქანია აღწუხს ენუხის ხიდზე გადმოსვლისას გაჩენიი გიძნობას, აფხაზეთი რომ აი ეთმობა, მაგამ საქხითველოს გახუშუე აი შუეძლია.

ყველას, ვინც ეთხუე მანაც ენუხის ხიდი თუ მინინაზე გადაევეთა (აი აქს მნიშვნელობა, რომელი მხიდან), თავისი, საუთუხი ისტორია აქს: შიშით, ტუივილითა და, ნახმიიდეგინეთ, ეუხიოხებით სავსეე ეი. მანანა ბელქანიასაც აქს თავისი ამბავი, განსაუთხებელი იმიტომ, რომ შუეძლია, სიყვიით აღწუხის და ქალადზე გადაიტანოს იგი. და ქაობიანი, ენიანი ბილიეებით

მასთან ეთხად ატახოს ისიც ეი, ვისაც ენუხი ახასოდეს გადაეღახავს, ატიძნობინოს, ინსტიტუტუბამდე დასუე თავის გადატიჩენის სუხვიცს ხა უსიამოვნო გემო აქს.

ავტომატის იხსენებს აფხაზეთში გატახებუი ბავშვობას, სუოდას, სადაც დომემებს უნდა დემოტიჩროს ყველა, სადაც თავისუფალი ახიი უევე ამბობია, ხასაც აი გაპტიებენ. ჟონსტახსტი "აქუხობასა" და "იქუხობას" შიხის მძაფხია. ავტომატის მანაც სუეუა, რომ "აფხაზეთში გათენებუი საქხითველოს შუხვდება". იგი იმედით სუედგემულობს, ხადგან შიშობს, თუ იმედი დაეუატიგა, თვითონაც დაიუატიგება.

მანანა ბელქანია თსუ-ს სოციადეი და პოლიტიკუი მუენიეხებათა ფუეტიტეტი (ეუხნისტიკუი მიმახითულებით) სუედენტიკა

### მავთულებიანობით...

მანანა ბელქანია

გათენდა, ფარდა გადავნიე, სახლში ვარ... აფხაზეთში. იქ, სადაც ცაც სხვანაირია, მზეც, ჰაერიც, სურნელიც – სახლის, ტუბილი ბავშვობის. აივანზე გავდივარ, ნიავია, ხარბად ვისუწთუე. ვცდილობ, ბევრი ჩავისუწთუე, რომ დიდი ხანი მეყოს... გამეღვიძა.

მესამე წელია, ერთი ოცნებით ვიძინებ და ვიღვიძებ. სამი წელია, მოვშორდი მშობლიურ მინა-წყალს და, მგონია, მეტს უეკვე ველარ გავუძლებ. მაგრამ მე რა მაქვს სათქმელი? ადამიანებს ოცდასამი წელია, ფეხი არ დაუდგამთ საუეთარ ეზო-კარში. თუმცა, არც ეს არგუმენტი მშველის.



ტუივილი, რომელსაც ენგურის ხიდის გადმოსვლისას ვგრძნობ, გაუსაძლისია. **იციი, როგორ ვცდილობ, უკან არ მივიხედო? თვალებს ვხუჭავ და ისე მოვდივარ. ვიცი, რომ მივიხედო, ველარ ნამოვალ. ვცდილობ, ეს განცდები ჩემში ჩავმარხო და გვერდით მომავალ მამას არაფერი ვაგრძნობინო.** ვერ იტანს ჩემს ცრემლებს. ყოველთვის ნერვიულობს, თავის თავზე ბრახდება-ხოლმე.

– მიდიხარ, გიხარია, ხო? – მეკითხება და ეს სიტყვები გულს მიკლავს, მაგრამ მანაც ვიღვიძებ, ეს გამომუშავებული მაქვს.

– მიხარია, – ვეუბნები და ვცდილობ, დიალოგი შეწყდეს.

დიდი ხნის შემდეგ დაბრუნება კი რალაც არაბუნებრივ განცდებს ინვეეს ჩემში (არადა, დაბრუნება ხომ ყველაზე ბუნებრივი რამაა). მეუფლება შიშიც და სიახრულიც. შიში იმისა, „ჩემმა აფხაზეთმა რომ მიუცხოვოს, ზურგი შემეაქციოს“, მაგრამ ეს განცდა პირველი წუთებისთანავე ქრება. ის მე მეგებება ხელგამლილი, გულში მიკრავს, მეც კალთაში ვუდებ თავს და ვმშვიდდები. ალბათ, ზუსტად იგივეს განიცდი, დედას რომ აცდები, დაიკარგები და დიდი ხნის შემდეგ იპოვით ერთმანეთს.



ახლა ენგურის ხიდზე მოგიყვებით. **როდესაც აფხაზეთში მივდივარ, ეს ხიდი თითქოს უკიდევანოა და ბოლო არ უჩანს. სიძნობით ვითვლი ყოველ ნაბიჯს და ხიდი არა და არ მთავრდება. ის რამდენიმე წუთი უსასრულობად იქცევა, აქეთობისას კი თვალის დახამხამებას, აზრზე მოსვლას ვერ ვასწრებ, ისე ჩქარა აღმოვჩნდები ხოლმე გამოლომა.** არადა, ფეხსაც ვითრევ, ხშირად „ვისვენებ-ხოლმე“. რამდენჯერ მიფიქრია, რა იქნება, ეს გზა არ დამთავრდეს-მეთქი.

**მაგრამ შენს მამულში ქურდით რომ იპარები, ეს ყველაფერი არაფერია ამ განცდასთან. ისე, რომ წყალმა ვერ გაიგოს, როგორ გადაცურავ, ხეებმა ვერ გაიგონ, როგორ ეფარები მას და მესაზღვრებმაც ჩვენს ჩურჩულს არ მოჰკრან ყური! ღმერთო, არავის ვუსურვებ მსგავსი რამის განცდას!**

ჯერ ფსიქოლოგიურად ვემზადები, ყველა შესაძლო შედეგს ვუშვებ, ვამუშავებ, აბა, ასე რომ მოხდეს, აბა, ისე; აბა, თუ დამიჭირეს, მესაზღვრეების ძალმა თუ გამწენა, თუ დავიკარგე? ენგური ადიდებული რომ იყოს და ვერ გავცურო? ღმერთო, რა არ მომდის თავში?!



პირველი ცდა იყო საშინელი. ასეთი სტრესი, მგონი, არასდროს გადამიტანია. მერე თითქოს მივჩვიე. თურმე, რამდენი რამის ატანა შემძლება – შიშის, სიცივის, დამცირების; შიმშილსა და წყურვილზე კი არაფერს ვამბობ. არასდროს დამავინწყდება ის წუთები, როდესაც რამდენიმე საათი განაჩენს ველოდით; სადაც ძროხების სადგომში ვიყავით შეყუჟულები. არავის ვიცნობდი, მაგრამ თითოეულს ახლობლად მივიჩნევდი; გაფართოებული თვალებით ვუყურებდი მათ და ვცდილობდი, ყოველი სიტყვა დამეჭირა; გამეგო, რა ხდებოდა, რას ველოდით. ისინი გამოცდილები იყვნენ, მე ახალბედა.

ველოდით გადაწყევანს, რომელიც ამონებდა ტყეში სიტუაციას. უცებ ის ყმანვილი ბიჭი შემოვიდა და დაიძახა,



წავედითო. უფრო შევმინდი. ალბათ 16-17 წლის თუ იქნებოდა. ეს სად უნდა გაგვიძღვეს-მეთქი, ამრია ფიქრებმა. წავედითო და ჩვენც გავყევით.

მივდიოდი კი არა, მივრბოდი დოლის ცხენივით, ქშენა-ქშენით, რომელს არ გავუსწრებდი(!) იმ მომენტში ჩემთვის არავინ არსებობდა. ვიყავი მარტო ამ განსაცდელის წინაშე და უნდა გადაძვლახა, სხვა არჩევანი არ მქონდა. არ ვიცი, რას შევადარო ეს გრძნობა.

მირბიხარ სადღაც, უაზროდ, უგონოდ, თვალწინ ბინდია. საკუთარი გულის ფეთქვა გესმის, ყელში რომ გიცემს გული, ის მომენტია. ვერ აზროვნებ, ვერანაირ ტკივილს ვერ გრძნობ, ვერც მავთულხლართების, ვერც მცენარეების ნაკანრებს, ვერაფერს. მირბიხარ, ვილაცის ხმას მიჰყვები. შორიახლოს ძაღლების ყეფა გესმის და გამცილებლის ყვირილი – მოდიან, ჩქარა! – აყრუებს არემარეს.

ტყვა, განა რამე, თან როგორი ტყე, გუბებით, პატარა

ჭაობებით. ფეხს რომ ჩაყოფი და ხელებით რომ უნდა ამოგათირონ, ვინ ჩივის? ერთი ფეხსაცმელი ჩამრჩა და ტალახში ვეძებ, ნახევარზე მაქვს ხელი ჩაყოფილი. არ ვწუნუნებ, ვიპოვე. მივრბივარ. ძაღლების ხმა უფრო ახლოს ისმის.

მარტია... გათოშილი, ძალაგამოღებული, მისავათებელი ვხტები წყალში და ეს ყინულივით წყალი სამოთხედ მეჩვენება – ის ხომ გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. მანდ მოვდივარ გონს, თვალეში სინათლე მიბრუნდება. ვხედავ, ახალგაზრდა ბიჭები როგორ ეხმარებიან ბებოებს, ხელში აყვანილები გადმოჰყავთ. ღმერთო, მე მათ არსებობასაც ვერ ვამჩნევდი.

ბრაზი მიპყრობს. კიდევ დიდხანს ვერ ვაპატიებ ამას საკუთარ თავს. ვაცნობიერებ, რომ ძაღლები, მესაზღვრეები, და მათთან ერთად, აფხაზეთიც უკან დარჩა.



ჩემს აფხაზეთთან ერთად უკან დარჩა ჩემი ბავშვობაც, სკოლაც, ყველაფერი, რასაც ასე ვუფრთხილდებოდი. სკოლა... რამდენი რამ მაკავშირებს ამ, ერთი შეხედვით უწყინარ შენობასთან. ვაბრაზებდი, მეც მაბრაზებდნენ.

მასხენდება შემთხვევა, მასწავლებელმა კლასიდან რომ გამაგდო. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ განსხვავებული და მისთვის მიუღებელი აზრი დავაფიქსირე; უწყინარი, არც პოლიტიკას ეხებოდა, არც რამე სხვა გლობალურ თემას. სასაცილოა, მაგრამ ერთ-ერთ მხატვრულ ნაწარმოებზე ვსაუბრობდით; წინადადება ჩამთავრებული არ მქონდა, რომ დამიყვირა. ის ყვირილი, ერთი ხანი, სულ ჩამესმოდა. არადა, მეკამათა მაინც, სიტყვა შემებრუნებინა, უპატივცემლობა გამომესატა?! არა! მარტო იმიტომ გამაგდო, რომ არ უნდოდა, იმ ყველაფრისთვის, რაც ჩვენს თავს ხდებოდა (და ხდება!), სხვა თვალთ შეგვეხედა. მაშინ მივხვდი, რომ მეტის მოლოდინი არც უნდა მქონოდა. ჩვენ ვცხოვრობდით სტანდარტული დოგმების სამყაროში, სადაც არ მქონდა უფლება, ვინმესგან რამე მომეთხოვა.

მანამდე, როდესაც დედა მეუბნებოდა, ნეტა, სკოლას როდის დაამთავრებ და როდის მოშორდები აქაურობასო, ვბრაზობდი. იმ დღეს კი მივხვდი, რატომ ამბობდა ასე დედაჩემი და რასაც გულისხმობდა.



ამას წინათ სტუმარი ჩამომივიდა აფხაზეთიდან, პატარა, საყვარელი გოგონა, IV კლასელი. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვსეირნობდით, ვერთობოდით. ვცდილობდი, სხვა სამყარო დამენახებინა მისთვის. თითქოს დაძაბულობა მოეხსნა, მოეშვა, უფრო თავისუფალი გახდა, რამაც გამახარა. თურმე ვცდებოდი.

ერთ საღამოს სახლში ფილმს ვუყურებდით. უკვე ბნელოდა. უცებ, ახლოს მდებარე რესტორნის ეზოში, ჯერ ჩოჩქოლი ატყდა. შევამჩნიე, გოგონა მაშინვე როგორ შეკრთა, ვერ გაერკვია, რა ხდებოდა. დავამშვიდე, არაფერია, შეზარხობებულები არიან-მეთქი. არ გასულა ნუთი და ფეირვერკების სროლაც დაიწყეს.

ვერ აგინერთ ბავშვის მდგომარეობას! ზედმეტად დაიძაბა, აფორიაქდა, ნერვულად დაიწყო აქეთ-იქით სიარული, ადგილს ვერ პოულობდა, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, რატომ ხდებოდა. განა ფეირვერკი არ ენახა? არა, ეს ხმები სროლის ხმასთან გააიგივა და პანიკაში ჩავარდა. შეშინებული მეკითხებოდა:

– აქ მაინც რა მოხდა?

მისი თვალეები არასდროს დამავიწყდება. ასე უსუსურად ჯერ არ მიგრძვინია თავი.

რამდენმა თაობამ უნდა გადაიტანოს ეს სტრესი, ასეთი დღეები, შიში? ასე რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს? მაგრამ ამ ყველაფერზე მძიმე გაცილებით სხვა რამეა: როცა მეჩვენება, რომ ჩემს თანატოლებს უკვე ისე აღარ ტკივათ აფხაზეთი... მესმის, რომ დრო ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს, მაგრამ...

უნივერსიტეტში პირველად რომ გავცვანით ერთმანეთს ბავშვები და ვთქვი, აფხაზეთიდან ვარ-მეთქი, ყველას სახეზე ლიმილმა გადაჰკრა.

– რა რეისი დაფრინავს აფხაზეთში? – იკითხა ვილაცამ.

ძალიან მეტკინა. ახლაც მტკივა ის კითხვა, ცრემლებამდე მტკივა, მაგრამ არ შემიძლია, იმედი დავკარგო, არ შემიძლია... მგონია, სასიცოცხლოდ აუცილებელია, ყველას გვჯეროდეს, რომ ჩვენ დავბრუნდებით და შევხვდებით „აფხაზეთში გათენებულ საქართველოს!“

გთხოვთ, მითხარით, რომ ასე იქნება, დამამშვიდეთ... რადგან, თუ ეს იმედიც დამეკარგა, დავიკარგები...





ანდრია ბოლქვაძე

"დაფიონს" ასეთი პატარა ავტორი (ასაკს ვგულისხმობთ) ახ ჰყოლია; პატარაა, მაგრამ დიდი აზროვნებითა და ხედვით, იმნაიხი დახვეწილი სიტყვის პატრონია, ბაჩემ, ოხ გამოცდილ მოყარმეს ხომ შეანბილებს. ამიტომ, გასაკვირი ახაა, ხომ ჩვენმა ხედაქცამ გამონაყისი დაუშვა და "აფიონს" ნაცვად "იაქნის" გვეხეები დაუთმომ 8 წლის ანდრია ბოლქვაძის ნანუხებს. გადამებია ის სითბომ და სიყუთუ, ხომლითაც მისი ნანუხებია გაჯუხებელი.

"იხემი" - ასე ჰქვია მოთხრობას, ხომელიც თითქოს ვაჟას "შვლის ნუჯის ნაამბობის" პოსტმოდერნისტული ვაჩინატია. ავტორის თითქოს უნდა, გამოსანოოხოს ადამიანების მიუჩ რადენილი დანაშაული და თავისი სიყვარულით ვაჟას იხემიც გადახჩინოს.

მისი მეოხე მინიატურა "ცუგა" ისეთივე გულმჩამწვდომია, ხოგოხც "იხემი". ყმანვილის აზხით, ცხოველების, ყოველივე სულიხისა და, ზოგადად, ბუნების სიყვარული ისევ ჩვენთვისაა სასიყუთომ, ისევ ჩვენ, ადამიანებს გვჭიხდება, ხომ ახ გავბოხოტვთ.

ანდრია ბოლქვაძე სწავლობს თბილისის 89-ე საჯარომ სკოლაში; ნიჭიხთა ათწლეის ნაჩინებელი მოსწავლეყაა (ფოხტეპონოს განხხით). ხოგოხც ახლობლები ახასიათებენ, ახის გონიუხი, მოწესხიგებელი, ზხიღობიანი და ზედმეტად მოხიღებელი.

## ი ტ ე მ ი

### ანდრია ბოლქვაძე

მთაში ვიყავით გასულ წელს, დიდ პაპასთან.

ზამთარი იყო. ბარდნიდა. სახლში ბუხარი გიზგიზებდა, გარეთ ციოდა. მე, ფანჯრის რაფაზე წამომჯდარი, ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობს“ ვკითხულობდი.

როცა დავამთავრე, ისე შემეცოდა ნუკრი, ცრემლები მახრობდა. დიდხანს ვუყურე წიგნის ყდას, სადაც ლამაზი შველი ეხატა. მერე ქურთუკი შემოვიცვი, ქუდი ჩამოვიფხატე და გარეთ გავედი. კარგა ხანს ვიდექი ასე. ხმას ვერ ვიღებდი.

უცებ ვხედავ: ჩემს წინ მოლანდებსასავით დგას ირემი და ლამაზი თვალებით მიყურებს. ჩვენი სახლის გვერდით სწრაფი ნაბიჯების ხმა და თოვლის ხრამა-ხრუშიც მესმის. გოცტებული ვიყურები და ადგილზე ვშემდები: ჩვენი მეზობელი ირემს სანადირო თოფს უმიზნებს!

თვალეში დამიბნელდა. მერე ადგილს მოვწყდი და ირემს გადავეფარე. ირემი შეკრთა, მაგრამ არ გაქცეულა.



– ეს არის მეგობრობა? – დამიღრიალა გოგოლამ.  
– მამაშენის შვილი ხარ, რა! ნუთუ არ გეცოდება?  
– ვუპასუხე არანაკლები ღრიალით (მამამისი მონადირეა).

– ირემი მოვკლათ და მამაჩემს მივეყვანოთ! დარწმუნდება, რომ ნადირობა შეგვიძლია და გვატარებს მასთან ერთად, გაგვზრდის მონადირეებად!

– ის იმიტომ მოვიდა ჩვენთან, რომ მთაში საჭმელი არა აქვს და ჩვენი იმედი აქვს!

– როგორ გამიტხე გული! – მომაძახა გოგოლამ და ჩემკენ წამოვიდა.

მე მას თვალეში აღარ ვუყურებდი და ის წავიდა. ირემი ჩვენს ეზოში შემოვიდა. მართლაც, ძალიან ლამაზი იყო, თვალს ვერ ვწყვეტდი. თან არ მჯეროდა, რომ ვაჟას მოთხრობის მერე ირემი მართლა ვნახე!

უცრად ისევ ატყდა ხმაური. ისევ შემეშინდა და რას ვხედავ! გოგოლა ზემოდან მოსრიალებს ციგით და ხელით გამხმარი თივა მოაქვს.

მე გული გამალებით მიცემს, გიჟივით მიხარია!!! ირემი თივისკენ დაიხარა.



# ც უ გ ა

## ანდრია პოლქვაზა



დიდი დღე იყო. მახსოვს, ვანო პაპასთან გამოსამშვიდობებლად ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა. ეზო სულ გაივსო. მეც თავი ვერ შევიკავე და ავქვითინდი; თუმცა მერე, მე და ჩემმა ძმებმა სირბილი დავიწყეთ ხალხში მანამ, სანამ დედამ მკაცრად არ შემოგვხედა. დღე ძლივს დაილია. სალამოს ყველანი ჩავჯექით მანქანაში და გულში ყელმობჯენილები თბილისისკენ გამოვეშურეთ. გზაში ბებოს ზარი დაგვენია, ჩემთან საუბარი უნდოდა.

– ჰო,ბე..

– ანდრია, უნდა გაგახარო! ყველა რომ ნახვედით,

ჭიმქარში ძალიან საყვარელი ლეკვი შემოვიდა, ახლაც აქ ზის და, მგონი, აღარ უნდა წასვლა; მოკალათდა სკამის ქვეშ და მიყურებს...

– ბე, დაიტოვე რა?! ცოტა მხიარულად იქნები!

\* \* \*

ბებო მალევე დაბრუნდა თბილისში, მაგრამ ცუგამ აღარ მიატოვა სახლი. იქ დაიდო ბინა, ცივ ზამთარშიც კი დარაჯობდა მას და სხვაგან არ მიდიოდა.

არდადეგებზე ჩასულებს ცუგამ, მართლაც, ძალიან შეგვაყვარა თავი. სულ ჩვენთან ერთად დარბოდა ენაგადმოგდებული. ზედ გვახტებოდა და გვეთამაშებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი კეთილი თვალები და ცქმუტა, ოქროსფერი ტანი.

\* \* \*

– ანდრო, გამარჯობა!

– გაგიმარჯოს, ბე, მაგრამ მუსიკაზე მეჩქარება, მერე დაგირეკავ...

– კარგი, ჩემო ბიჭო, ძმები მომიკითხე!

– შენ – ცუგა, ბე!

– ანდრო, ცუგა წავიდა და არ დაბრუნებულა, – ძლივს თქვა ბებიამ.

– რამდენი დღე გავიდა, ბე? – ვთქვი და ამაკანკალა.

– ერთი კვირაა, ბებო

გენაცვალოს, ალბათ,

დაბრუნდება მალე...

ტელეფონი გავთიშე. მუსიკაზე ვერ წავედი. იქვე ჩამოვჯექი და დიდხანს ვფიქრობდი ჩვენს ცქმუტა ცუგაზე, მის კეთილ თვალებსა და მოსიყვარულე გულზე.

დიდი დრო გავიდა.

ნიკომ, ჩემმა ძმამ, დედას ტელეფონზე ცუგას სურათი დაუყენა და მივხვდი, მასაც ჩემსავით რომ ენატრება...

მაინც ველოდებით. იმედს არ ვკარგავთ, რომ ერთ დღეს ისევ შემოაბიჯებს ჩვენს ჭიმქარში და შემოგვახტება.





კოკო შანელი

## კოკო შანელი

1883 - 1971 წ.წ.

გაბრიელ ბონეჟი კოკო შანელი - ფრანგი დიზაინერი, ცნობილი ბიზნესმენი "შანელი" დამაარსებელი.

"მოდა გადადის, სტილი ჩრება", - თითქმის საუკუნის წინ კოკო შანელის მიერ ნათქვამი ეს ფრაზა დღესაც აქტუალურია. მოახდინა ჩაქვების და მამაკაცების შეხსენება, შანელმა შექმნა ქალის კანსაცმლის უნიკალური სტილი.

კოკო შანელმა მოდის ინდუსტრიაში რევოლუციური გახდაქმნები განახორციელა. მის სახელთანაა დაკავშირებული დიდი სათვადე, ქალის შავი, მოკლე ვაჩხნილობა, ჰაკაჩა, ელეგანტური ქაღალდი, გახუჯული კანით სიხული, ჯაჭვისსახელების ხელჩანთა, ხელოვნური მარგალიტი და, საერთოდ, ბიჟუტერია, უნიკალური "ჰაკაჩა შავი კაბა" და მოდის მხავალი სხვა სიახლე.

კოკო შანელი პირველი იყო, ვინც ლიცენზირებული სუნამოების გამოშვება დაიწყო.

"Chanel №5" ღვინოვანი ხიტი-ხიტი ყველაზე ცნობილი სუნამოა.

შანელი მოდის სფეროდან ხიტი-ხიტი, ვინც ეწინააღმდეგება "TIME"-ის გვერდებზე XX საუკუნის 100 ყველაზე გავლენიან ადამიანთა სიაში მოხვდა. დღეს "შანელის მოდის სახელს- ხელმძღვანელობს კარგად დაგეგმილი, შანელის სტილის ლიხსუდი გამგებლები.

## დაბადება

კოკო-გაბრიელ შანელი დაიბადა 1883 წლის 19 აგვისტოს, საფრანგეთის ქალაქ სომურში. დედამ იგი თავშესაფარში სრულიად მარტომ გააჩინა. გოგონა იქვე, თავშესაფარის კაპელაში მონათლეს და სახელად გაბრიელი დაარქვეს. ნათლობას არც მამა და არც ვინმე ნათესავი დასწრებია.

ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ფორმალურად მოხდა: მშობლები ვითომ კანონიერ ქორწინებაში იყვნენ.

## მშობლები

დედა, ჟანა დევილი, ადრე დაობლდა და ბიძის სახლში იზრდებოდა; თან მკერავის პროფესიას ეუფლებოდა. არდადეგებზე ძმასთან დაბრუნებულმა ჟანამ გაიცნო მათი მდგომარი - ალბერტ შანელი, რომელმაც გოგონა მალე მოხიბლა და აცდუნა კიდევ, მერე კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ფეხმძიმე ჟანამ როგორღაც გამოძებნა ალბერტი, რომელმაც ახალშობილი გოგონა შვილად აღიარა; იქორწინა კიდევ ჟანაზე, თუმცა თვალი სულ გაქცევაზე ეჭირა.

ჟანას სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა. ექვსი შვილის გაჩენამ (მეექვსე მალევე დაიღუპა), ნაწილობა ქალაქიდან ქალაქში და უკიდურესმა სიღატაკემ მისი ჯანმრთელობა საბოლოოდ შეარყია. ასთმის შეტევებს ბრონქიალური გართულებაც დაერთო და საბრალო ჟანა 33 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მამა-ალბერტ შანელი დაიბადა ქალაქ ნიმში. იგი ბაზრის მოვაჭრეთა ცხრამეტეშვილიანი ოჯახის პირმშო იყო. ალბერტმა მამისგან მემკვიდრეობით მიიღო ხელზე მოვაჭრის პროფესია და მოხეტიალე ცხოვრებას შეუდგა. ვერც დაოჯახებამ დააოკა მისი მანანალობის სურვილი. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ცოლის სიკვდილის შემდეგ ბავშვები სხვადასხვა თავშესაფარში მიიბარა და მერე არც მიუკითხავს მათთვის.

კოკო შანელს სიგიჟემდე უყვარდა მამა და სიცოცხლის ბოლომდე მასზე გული შესტკიოდა.

## ბავშვობის ყველაზე ნათელი ხანა



3 წლის გაბრიელი

გაბრიელის დაბადების შემდეგ შანელებმა სომური დატოვეს. მიუხედავად მოხეტიალე ცხოვრებისა, მათი ოჯახი რიცხვობრივად გაიზარდა. უფროსი დის, ჯულიას გარდა, გაბრიელს ჰყავდა უმცროსი და ანტუანეტა და ძმები: ალფონსი და ლუსიენი. შანელები ჟანას მშობლიურ კურპიერში დაბრუნდნენ. ისინი ბიძამ შეიფარა.

ბავშვებისთვის, განსაკუთრებით, გაბრიელისთვის, კურპიერში გატარებული წლები ბავშვობის ყველაზე ნათელი და ბედნიერი ხანა იყო. და-ძმასთან ერთად ის ბიძას ეხმარებოდა ბაღის მოვლაში. ბავშვებმა თევზაობა ისწავლეს, მდინარიდან ამოღებული ქვებისგან პატარა ნავსადგურებს აშენებდნენ და ქალაქის გემებს დინებას აყოლებდნენ.

გაბრიელი პატარაობიდანვე თავნება იყო, ცოტა უცნაურიც კი. შეეძლო, მარტო ასულიყო ძველ სასაფლაოზე. იქ მარხავდა თავის თოჯინებს. სასაფლაოზე გაბრიელი თავს დამოუკიდებელ ადამიანად თვლიდა. იქ ჰყავდა მეგობრები, რომელთაც არავინ წაართმევდა.

მალე შანელებმა კურპიერი დატოვეს. დედის სიკვდილმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი გაბრიელისა და მისი და-ძმების ერთად ყოფნას.



## სამყარო - ვახებისგან დაწევი ჰიჟევი გვიგონით

გოგონებისთვის, რომლებიც მამამ ობაზინის დედათა მონასტერთან არსებულ ობოლთა თავშესაფარში დატოვა, ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო. მშობლიურ კერას იძულებით მონყვეტილი ბავშვებისათვის იქაურობა ციხედ აღიქმებოდა. განსაკუთრებით, გაუჭირდა მგრძნობიარე გაბრიელს.

რამდენიმე კვირაში გაბრიელმა მიიღო დიდი პაკეტი, რომელიც ხელის კანკალით გახსნა. მასში აღმოჩნდა მაქმანებით განწყობილი საუცხოო კაბა პირველი ზიარებისთვის და მოქარგული ქისა, სადაც უზარმაზარი ვუალი და ვარდებისგან დაწეული გვირგვინი იყო. გაბრიელი არ კარგავდა იმედს, რომ მამა გოგონებს მოაკითხავდა.

არამკითხვთა კითხვას, სად იყო მამა, გაბრიელი ამერიკულ ზღაპარს მიაგებებდა: ნიუ-იორკში ცხოვრობს, ფლობს ვენახებს, მუშაობს და დრო არ აქვს. უმნიშვნელო საქმისთვის ოკეანეს ხომ არ გადმოცურავს (შანელი მთელი ცხოვრება იგონებდა და ალამაზებდა თავის ბიოგრაფიას)?!

თავშესაფარში გოგონებს, საგნების გარდა, ხელსაქმესაც ასწავლიდნენ, განსაკუთრებულ ყურადღებას კერვას აქცევდნენ. დებისგან განსხვავებით, გაბრიელი კერვისადმი დიდ ინტერესს არ იჩენდა. მეტიც, გოგონა იმდენად მოუხერხებელი იყო, თითები მუდამ დაჩხვლეტილი ჰქონდა.

ობაზინის სამყარო ნელ-ნელა აყალიბებდა და ხვეწდა გაბრიელის პიროვნების უამრავ ასპექტს. მათ შორის, ესთეტიკას. იქნებ, ამ სამყაროს უნდა უმადლოდეს თეთრი და შავი კონტრასტის მისეულ აღქმას.

დროდადრო გაბრიელს ურთიერთობები ეძებებოდა ამხანაგებთან თუ მასწავლებლებთან. მეამბოხეობას გამუდმებით ავლენდა. პედაგოგების სიცივე მტრულად განაწყობდა. შვებას ლოცვებში პოულობდა.



8 წლის გაბრიელი

## ჰიჟევი საუბები მოცაზე

სამი წლის თავზე გოგონები მამიდა ლუიზამ თავისთან, ვარენში, წაიყვანა. იქ დახვდათ ლუიზას ქალიშვილი მარტა და უმცროსი და ადრიენი. მართალია, ვარენში ცხოვრება უღიმღამოდ მიედინებოდა, სამაგიეროდ, გაბრიელსა და ადრიენს, რომლებიც ერთ ოთახში დააბინავეს, შეეძლოთ, დილაამდე ეხითხითათ და ერთმანეთისთვის საიდუმლოებები გაემხილათ.

ვარენში ერთი თავშესაქცევიც გამოჩნდა-კითხვა. სახლის სხვენში განმარტოვდებოდა და, სიცხის მიუხედავად, კითხულობდა, რაც ხელთ მოხვდებოდა. გაბრიელის ფანტაზია რა სურათებს არ ხატავდა, რომელ გმირად არ წარმოიდგენდა თავს.

გაბრიელმა პირველად სწორედ ლუიზა მამიდას სახლში მოისმინა საუბრები მოცაზე. მონასტერში ნასწავლი კერვა ახლა გამოადგა. გაბრიელი მამიდას მარჯვედ ეხმარებოდა რალა-რალაცების გადაკეთებაში. ლუიზას ქუდებიც აინტერესებდა, მაგრამ არა მზა. თვითონ იძენდა ფეტრის ქსოვილს, თავის ფასონზე ჭრიდა და საკუთარი გემოვნებით რთავდა. სწორედ მამიდასთან გაცნობიერა გაბრიელმა, რომ კერვა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ ნემსი და ძაფი.

## ხოცა ქაქი მასზე აღაჰაყა

გაბრიელი უკვე 18 წლის იყო, მიმზიდველი, მაგრამ მეტისმეტად გამხდარი და ფერმკრთალი. თუმცა მას ჰქონდა განსაკუთრებული და თავისებური ხიბლი, რაც გარშემო მყოფთა ყურადღებას იქცევდა.

გაბრიელი აცნობიერებდა, რომ ობაზინი მისთვის შეუფერებელი ადგილი იყო. აიყოლია ადრიენი და ისიც აუჯანყა ოჯახს. გოგონებს ბევრი არც უფიქრიათ. ერთ დღეს თავშესაფრიდან ისე გამოიპარნენ, ჯიბეში ფრანკიც არ ედოთ.

მულენის „ღვთისმშობლის ინსტიტუტმა“ გოგონები გამყიდველებად მოაწყო მალაზიაში, რომელიც საქორწინო ცერემონიისათვის საჭირო საქონლით ვაჭრობდა. მალაზიის აბრაზე „წმინდა მარია“ ეწერა, რაც მის უმნიშვნელო რეპუტაციაზე მიანიშნებდა. გოგონები მალაზიის პატრონებმა ერთად დააბინავეს. მალაზიაც და ბინაც ქალაქის ცენტრში, ყველაზე ცოცხალ უბანში იყო.

გაბრიელსა და ადრიენს ევალეობოდათ, მოეზიდათ კლიენტები და მიელოთ შეკვეთები. გოგონებმა ისეთი ნიჭი გამოავლინეს, მთელი ქალაქი მათზე ალაპარაკდა. თუმცა გაბრიელს, რომელიც უფრო საღი აზრითა და სითამამით გამოირჩეოდა; არ შეეძლო, მაღალი წრის სტუმრებთანაც მონურად მორჩილი ყოფილიყო. ვერც მალაზიის პატრონების მანსარდზე დარჩებოდა დიდხანს. გაბრიელს დამოუკიდებლობა სურდა. ამიტომ პატარა ბინა იქირავა მდაბიურ უბანში, სადაც კლიენტებს მალულად იღებდა.



17 წლის გაბრიელი

**კოკო შანელი და არტურ კეპელი**

## "ვის უნახავს ყოყო ცხოვრებაში?"

თავისუფალ დროს გოგონები ხან „გრანდ-კაფეში“, ხან ჩაის სალონ „ცდუნებაში“ ჩნდებოდნენ, თუმცა, იმთავითვე, მონასტერში აღზრდილებს, თავი წესიერად ეჭირათ. მათ გაიცნეს ოფიცრები, რომელთანაც კაფე „როტონდაში“ დროს საინტერესოდ ატარებდნენ (შემონახულია იმდროინდელი გაბრიელ შანელის ფოტო).

კაფეს შიგნით იყო სცენა, რომელიც ეთმობოდა მოყვარულ მომღერლებს. გაბრიელს იმდენად სურდა თავისი ხვედრის შეცვლა, გადაწყვიტა, სიმღერაშიც ეცადა ბედი. მერე რა, რომ ხმა საერთოდ არ ჰქონდა? მას ჰყავდა

გულშემატკივართა მთელი არმია და, დარწმუნებული იყო, რომ ეყოლებოდა თავისი პუბლიკაც.

„როტონდაში“ გაბრიელი სულ რამდენიმე სიმღერას მღეროდა. მათ შორის, „კო-კო-რო-კო“-ს. მომღერალს უნდა მიეზარა მამლის ყვილისთვის. შემდეგი სიმღერა იყო „ვის უნახავს კოკო ტროკადეროში“, რომელმაც წარმატება მოუტანა. გაბრიელი მსმენელს ხიბლავდა თავისი თვითმყოფადობით. პუბლიკა ერთხმად სკანდირებდა: „კო-კო! კო-კო!“ ასე შერჩა სახელი „კო-კო“ და მთელი ცხოვრება, როგორც თავის მარკას, ისე ატარებდა. როგორც ამბობენ, თურმე საშინლად ვერ იტანდა ამ მეტსახელს, რომელიც მუდმივად უიღბლო წარსულში აბრუნებდა.

მალე გაბრიელის პოპულარობამ „წმინდა მარია“ მაღაზიის პატრონების ყურამდეც მიაღწია. აღშფოთებულებმა გოგონები მაღაზიიდან გამოაბრძანეს.

სხვებისთვის ეს ტრაგედია იქნებოდა, მაგრამ გაბრიელისთვის მხოლოდ ბიძგი იყო წინსვლისთვის.

მან ჯერ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „როტონდოს“ დირექტორთან; მალე ისიც იგრძნო, რომ მისი პოპულარობა ამ პატარა ქალაქს არ ასცდებოდა. გადაწყვიტა, ბედი ვიშიში ეცადა. ის ხომ რალაციტო პარიზს ჰგავდა! გაბრიელი უკვე 22 წლის იყო.

## "ვინც საქმეში წინ ახ მიიწევს, ის უკან იხევს"

გაბრიელმა იმ ქალაქში გაიცნო ოფიცერი ეტიენ ბალსანი და მასთან სასახლეში გადავიდა საცხოვრებლად. ისინი სამი წელი იყვნენ ერთად. გაბრიელი, ეტიენის მიბაძვით, დაინტერესდა ცხენოსნობით. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო ჯირითობისთვის მოსახერხებელი ტანსაცმლებისა და ქუდეების შექმნა.

მალე შანელი დაუახლოვდა ახალგაზრდა ინგლისელს არტურ კეპელს და მასთან ერთად პარიზში გაემგზავრა. არტურის დახმარებით 1910 წელს მან პარიზში გახსნა თავისი ქუდეების პირველი ატელიე, წარწერით „შანელის მოდეები“, რომელმაც ძალიან მალე მოიპოვა პოპულარობა მაღალ წრეებში. სწორედ აქედან იწყება ბრენდ „შანელის“ ისტორია.

**მერი შარვაშიძე.  
კოკო შანელის მოდელი**

1919 წელს არტურ კეპელი მოულოდნელად ავტოკატასტროფაში დაიღუპა, რაც უდიდესი ტრაგედია იყო შანელისთვის. ამ პერიოდიდან ამკვიდრებს შანელი ცნობილი, თავისი მოკლე შავი კაბების ეპოქას. ბოროტი ხმები ამბობდნენ, რომ შანელმა პარიზელ ქალებსაც, გლოვის ნიშნად, შავები ატარებინაო.

არტურ კეპელის შემდეგ კოკო შანელს უამრავი თაყვანისმცემელი თუ მეგობარი ჰყავდა, თუმცა არასოდეს ჰყოლია მეუღლე და შვილები. შანელს სწამდა, რაც არ უნდა მოხდეს, ადამიანის წინაშე ყოველთვის იქნება კარი, სადაც შეძლებს დაკაკუნებას; და ესაა საქმე, სამუშაო. „წინ და მხოლოდ წინ!“ – ფიქრობდა იგი. სჯეროდა, ვინც საქმეში წინ არ მიიწევს, ის უკან იხევს.

## ნაცისტების აგენტი?!

1920 წელს კოკო შეხვდა ცნობილ ქიმიკოს-პარფიუმერს ერნესტ ბოს. დაძაბული მუშაობის შედეგად მათ შექმნეს 80 კომპონენტისგან შემდგარი ცნობილი სუნამო „Chanel 5“. სისადავე და უბრალოება, შანელის სტილი, სუნამოს პარალელეპიპედის ფორმის ფლაკონზეც აისახა – თეთრი მართკუთხედი შავი წარწერით.

მერლინ მონროს აღიარება, სიმშვიდეს მხოლოდ „Chanel 5“-ის რამდენიმე წვეთის დაპყურება მგვრისო, მისდაუნებურად, სუნამოს რეკლამად იქცა.

1924 წელს შექმნა შანელის სუნამოების საზოგადოება, რომელსაც



ერთობლივად მართავდნენ გაბრიელ შანელი და პიერ ვერტჰაიმერი.\*

30-იანი წლების ბოლოს, მეორე მსოფლიო ომის კრიზისთან დაკავშირებით, შანელი იღებს გადაწყვეტილებას, შეაჩეროს თავისი წარმოება.

საფრანგეთის ოკუპაციის წლებში შანელი ნაცისტებისთვის არ კერავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ნაცისტების საიდუმლო სიაში აღმოჩნდა და ფრანგმა ხალხმა შანელს კოლაბორაციონიზმში დასდო ბრალი. ისტორიკოსების ვარაუდით, კოკო შანელი გერმანული დაზვერვის აგენტი იყო; თუმცა გამორიცხული არაა, თვით შანელმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

მონოტონური, ერთფეროვანი წლების შემდეგ, 1954 წელს, 70 წლის ასაკში კოკო შანელი დაბრუნდა მოდის სამყაროში, გახსნა ახალი ბუტიკი „რიუ კამბონი“ და სახელი და დიდება დაიბრუნა.

შანელი არასოდეს ხატავდა ესკიზებს, ყველგან აძლევდა განკარგულებებს მკერავებს... შემდგომ, სახელგანთქმული მაკრატლით შეიარაღებული, სკულპტორივით იწყებდა მუშაობას – ჭრიდა და ამოვრებდა ყველაფერს, რაც ზედმეტად მოეჩვენებოდა.

„ბედისწერის ხელში მე ვიყავი ის იარაღი, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა წმენდა“, – ამბობდა შანელი.



კოკო შანელი

### "დიდება - ეს მახლობაა"

შანელი ცნობილი იყო თავისი მწარე ენით. განსაკუთრებით, ერჩოდა პიერ კარდენს, მას „უბადრუკ მკერავად“ მოიხსენიებდა. მეტ-ნაკლებად პატივს სცემდა ივ სენ-ლორანს და აქილიკებდა კრისტიან დიორს, როცა ის მსოფლიოს უდიდეს კუტიურედ აღიარეს თავისი „ახალი ხედვის“ გამო.

შანელს მიაჩნდა, რომ ქალს „რა ლამაზი კაბა გაცვია!“ კი არ უნდა უთხრან, არამედ „რა ლამაზი ხარ!“

კოკო შანელს თავიდან მანეკენებად მაღალი საზოგადოების ქალები – გრაფინიები და ბარონესები ჰყავდა. ცნობილია, რომ მათ შორის იყო ქართველი ლამაზმანი მერი შერვაშიძეც.

კოკოს მანეკენების სტუდიაში ყოფნა ძალიან უყვარდა – ათობით ულამაზესი ქალი გარს ეხვია და გულს უთბობდა. ხანდახან მათ ისე ექცეოდა, როგორც ქალიშვილებს. ჰყავდა რჩეულიც – ელენ არნო.

კოკო შანელის ირგვლივ უამრავი ცნობილი ადამიანი ირეოდა: ჟან კოკტო, იგორ სტრავინსკი, პაბლო პიკასო, სალვადორ დალი, ამადეო მოდლიანი, ჟან მარე, ჯორჯ ბალანჩინი და სხვები. ახლო მეგობრები იყვნენ ჟოზე მარია სერტი და მისი მეუღლე, მისია გოდებსკა; აგრეთვე, ქართველი რუსუდან მდივანი. შანელი ახლოს იცნობდა უინსტონ ჩერჩილს, რომელიც მოხიბლული იყო მისით.

მიუხედავად უამრავი მეგობრისა, მაინც მარტო იყო. მიაჩნდა, რომ დიდება, ეს არის მარტოობა.

კოკო შანელი ეწეოდა ქველმოქმედებას, ეხმარებოდა გაჭირვებაში მყოფ ხელოვანებს. იყო უანგარო და ხშირად არც აზმაურობდა თავის გაკეთებულ სიკეთეს.

კოკო, მოდის გენიოსი, რეკლამისა და პუბლიკასთან ურთიერთობის გენიოსიც იყო-სალამოს კაბების შექმნაში გამოვლინდა მისი ტალანტი. შანელს ფილმებისთვის უკვეთავდნენ კოსტიუმებს ცნობილი რეჟისორები: ლუკინო ვისკონტი, ფრანკო ძეფირელი, ლუი მალი, ალენ რენე და სხვები. მისი კაბები ეცვათ ჟანა მოროს, დელფინა სეირიგს, რომი შნაიდერს. ამ უკანასკნელთან მეგობრობდა კიდევ.

კოკო შანელმა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია არც კულტურასთან, არც ხელოვნებასთან, ყველაფერი, რაც შექმნა, მხოლოდ ნიჭისა და თვითგანათლების წყალობით.

ასეთი იყო კოკო შანელი, თავად პარადოქსი, კუტიურე, რომელმაც არ იცოდა კერვა.

#### შანელი, რომელმაც უამრავი რამ შეცვალა მოდის ინდუსტრიაში, ცნობილია თავისი გამონათქვამებით:

- სიზერე არ გიჯავს სიყვარულისგან. სიყვარული კი გიჯავს სიზერისგან.
- მომწონს, როცა მოდა ქუჩაში გადის და არა – შემოდის ქუჩიდან.
- იმისთვის, რომ შეუქრვლელი იყო, საკუთარი თავი ხშირად უნდა ეწვალო.
- აქსესუარების შერჩევისას მოიხსენით ის, რომელიც უკანასკნელად მოირგეთ.
- შეუქრვლელი რომ იყო, უნდა იყო განსხვავებული.
- სილამაზეზე ზრუნვა უნდა დაიწყო სულის გალამაზებით.
- მოდა არქიტექტურასავითაა: ყველაფერი დამოკიდებულია პროპორციებზე.
- იმისთვის, რომ იყო ელეგანტური, აუცილებელი არაა, ახალი კაბა გიჯავს.

კოკო შანელი 30 წლის განმავლობაში ცხოვრობდა სასტუმრო „რიცში“, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1971 წლის 10 იანვარს, 88 წლის ასაკში.

მის გარდერობში ტანსაცმლის მხოლოდ სამი კომპლექტი აღმოაჩინეს.



კოკო შანელი

\* – კომპანიას დღემდე ვერტჰაიმერები მართავენ.



1. რომელ ხელისუფალს ეძახდნენ „თბილისის მეფეს“?

- ა) დავით აღმაშენებელს;
- ბ) თამარ მეფეს;
- გ) გიორგი V ბრწყინვალეს.

2. სად და როდის დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი?

- ა) 1629 წელს, რომში;
- ბ) 1628 წელს, პარიზში;
- გ) 1627 წელს, პეტერბურგში.

3. რამდენი კლავიში აქვს ფორტეპიანოს?

- ა) 50 თეთრი და 34 შავი;
- ბ) 51 თეთრი და 35 შავი;
- გ) 52 თეთრი და 36 შავი.

5. ნოემ თავისი აგებული კიდობნიდან 40 დღის მერე პირველად რომელი ფრინველი გამოუშვა?

- ა) მტრედი;
- ბ) მერცხალი;
- გ) ყორანი.

7. ვინ არის ავტორი ილიას საფლავზე დადგმული ძეგლისა „მწუხარე საქართველო“?

- ა) იაკობ ნიკოლაძე;
- ბ) ვალენტინ თოფურიძე;
- გ) ვახტანგ კოტეტიშვილი.

9. გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ ქართული სამეფო სამთავროებიდან პირველად რომელმა სამეფომ დაამყარა კავშირი რუსეთთან?

- ა) სამეგრელომ;
- ბ) გურიამ;
- გ) კახეთმა.

10. „ქალი? მიყვარს, მიყვარს ქალი, ღვინოც, ოღონდ არა ქარხნის, პურიც, ოღონდ არა ფურნის, პური – თონის, ღვინო – ჭურის, ქალი – მსგავსი გაზაფხულის!“ რომელი პოეტის სტრიქონებია ეს?

- ა) მუხრან მაჭავარიანის;
- ბ) მურმან ლებანიძის;
- გ) ტარიელ ჭანტურიასი.



4. რა ერქვა ბიბლიური ისააკის მამას?

- ა) იაკობი;
- ბ) აბრაამი;
- გ) იუდა.

6. ვინ არის ქართული მხატვრული ფილმ „ფესვების“ დამდგმელი რეჟისორი?

- ა) რეზო ჩხეიძე;
- ბ) გუგული მგელაძე;
- გ) ნოდარ მანაგაძე.

8. დაასრულე ესქილეს ფრაზა: „ბრძენი ის კი არ არის, ვინც ბევრი რამ იცის, არამედ იცის ....“

- ა) საინტერესო რაღაცეები;
- ბ) უცხო რაღაცეები;
- გ) საჭირო რაღაცეები.

# საკიბელი

<p>ილიან ეპოქა XIX საუკუნე... რუსეთის იმპერიის ახალი ტიტული – „საქართველოს მეფე“ ..... 3</p> <p>პიონა მერაბ ელიოზიშვილი - ბაღამთიელი ..... 4</p> <p>ზღვისპირა იანუარი ..... 7</p> <p>ეიზიანტის ძეგლი ბონდო ქურდაძე - სოხუმში მოძიებულ, ქართული ხელოვნების ხონიანი(!)... ანუ მუხარამი ფიქსიონალი ბახუთი "შანდიან" ..... 8</p> <p>ილიან ქვეყანა - 180 ..... 12</p> <p>თახიანი თეოდორ დოსტოვესკი - უფლის სახეობა ..... 14</p> <p>პიონა ელიოზი მამა მამიძე (ჰანტიანი) - რას გვასწავლის ისტორია ..... 16</p> <p>ილიან ნახუარი ..... 19</p> <p>მედიანა ქართული დომინიკი ულტრაორიონის ლეგენდარული "მეფეობა სიმონის" 75 წლისა ..... 20</p> <p>ბაქანთაქანი ვენერა რეზა - ანგელოზის დღე ..... 23</p> <p>ო, ანა რეო სულხან-საბა ორბელიანი - კეისრის მამისტროსი ..... 26</p> <p>ნახილი მომავალი გალილიე გალილიე - "რეო ბონების ახი სნობიანი მონოლე რეოთის და უფლისთვის ზუსარი ..... 28</p>	<p>თუ ქართული ხე თეოდორ შავლაძე - ერისთავი ნერსე ..... 30</p> <p>ბუნება მხიანებელი მარია ჯოჯია - მწერტიანია მცნარეები ..... 32</p> <p>"ოქროს ბიჭები" კონსტანტინე გუნია - რეო და მისი ბიჭები ..... 34</p> <p>თახიანი უფლომ ალექსანდრე - გულუბრძვილი ბიჭუნას უფროები ..... 38</p> <p>ეთნოგრაფია ქეთევან გაიაშვილი - მუსიკალური საკრავები ქართულ თქმულებებსა და ლეგენდებში ..... 40</p> <p>პიონა ლავა ბახარია ..... 43</p> <p>სამოხლო უსოეთში ნარბიზა ბენიძე - „მამული“ უფლონდის ავნიუში ..... 44</p> <p>ილიანის ელანი „მეფეობა უფლონდის რეო“ ..... 46</p> <p>ელანებზე სთქანი მანანა გულქანი - მავთულხლართებით... ..... 50</p> <p>ელანი ანდრია ბოლქვაძე - ირეო ..... 52 ცუბა ..... 53</p> <p>ილიანი ბავშვობაში კოკო შანელი ..... 54</p> <p>ელანთა სანთიანი ..... 58</p>
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**ჩვენი მისამართი:**

ქ. თბილისი, უნაძის ქ. № 68.  
ტელ.: (+995) 598 93 92 84;  
(+995) 599 12 66 80;  
ელ-ფოსტა: [jurnali.ialqani@gmail.com](mailto:jurnali.ialqani@gmail.com)

იალქანი № 3 (38), 2017 წ.  
აფქიო № 3 (11), 2017 წ.

ტირაჟი: 500 ც.  
ფასი სახელმეყრუებო.





"ჩანახატი". სანთავ ნიხაჯი. 14 წიხ. თბილისი.